



ოთარ გაბიაშვილი ქართული  
იზიროთეა

# რელიგიათმცოდნეობა

თბილისი  
1999

# ოთარ ბაბიაშვილი

## რელიგიათმცოდნეობა

### (ღამხარე სახელმძვანელო)

თბილისი  
1999

ქართული ზიგლიოთეკა  
ქობულეთის რაიონის  
კულტურის მუზეუმი  
გენერირი უკი

2 (075.8)

საქართველოს



ილინოისის უნივერსიტეტი

პროფესორობითი ვაბიძაშვილის წინამდებარე წიგნი დაწერილია მოქმედი სასწავლო პროგრამის მიხედვით და განკუთვნილია არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

საქართველოს

რედაქტორი დოც. ბაადურ გელაშვილი

(ილინოისის უნივერსიტეტი)

რეცენზენტი დოც. რუსუდან წიქვაძე

F 89.817

საქართველოს  
პარლამენტის  
სახელმწიფო  
ბიბლიოთეკა

თბილისი  
1999



### შინაპარსი

#### წინასიტყვაობა

რელიგიათმცოდნეობის საგანი

რელიგიის არსება

(არსება. სტრუქტურა. ფუნქციები. ღმერთის ცნება

და თეორიები.)

რელიგიის წარმოშობა

(თეორიები. პერიოდი. ფესვები.)

რელიგიის ადრინდელი ფორმები.

(ანიმიზმი. მაგია. ფეტიშიზმი. ტოტემიზმი. ქართველთა

წარმართობა).

თანამედროვე ნაციონალური რელიგიები

(ინდუიზმი. კონფუციელობა. დაოსიზმი. სინტოიზმი.

ზოროასტრიზმი. ჯაინიზმი. სიკხიზმი.)

თანამედროვე მონოთეისტური რელიგიები:

იუდაიზმი

(ებრაელთა უძველესი რელიგიური რწმენები.

ტომობრივი რელიგია. მონოთეიზმი. ბიბლიური,

თალმუდისტური, რეფორმირებული იუდაიზმი. სიონიზმი.

იუდაიზმი საქართველოში).

ბუდიზმი

(წარმოშობა. წყაროები. ბუდა. ოთხი ჭეშმარიტება.

მიმართულებანი).

ისლამი

(წარმოშობა. არეალი. წარმართობა. იუდაიზმი

და ქრისტიანობა. ხანიფიზმი. მუჰამედი. გავრცელება.

ისლამი საქართველოში. დოგმატიკა. კულტი. ევოლუცია).

ქრისტიანობა

(ისტორია. წყაროები. მისია. ქრისტიანობის გავრცელება

საქართველოში. ძირითადი მიმართულებანი:

მართლმადიდებლობა, კათოლიკობა, პროტესტანტობა, სექტები. რწმენის სიმბოლო. ქრისტიანული ღვთისმეტყველება).

*რელიგიური წიგნები*

(ბიბლია. თალმუდი. ყურანი. ბუდისტური ლიტერატურა).

*თანამედროვე მსოფლიოს რელიგიური სურათი*  
(ევროპა, აზია, ამერიკა, ავსტრალია)

*საზოგადოებრივი პროგრესი და რელიგია*  
(სოციალური პროცესები და რელიგია. ზნეობა და რელიგია. ხელოვნება და რელიგია. კულტურა და რელიგია).

*რელიგიისადმი დამოკიდებულების ძირითადი პრინციპები*

(სინდისის თავისუფლება. სახელმწიფო და ეკლესია. სკოლა და ეკლესია. სჯულთშემწყარებლობა).

*სარეკომენდაციო ლიტერატურა*

## წინასიტყვაობა



რელიგიათმცოდნეობა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება. ამ ბოლო პერიოდში ქართულად გამოიცა რამდენიმე საინტერესო წიგნი, რომელიც ძირითადად, რელიგიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს აშუქებს: 1) ა. ჯაფარიძე, ქართული ეკლესიის ისტორია, ტ. I-II, თბ. 1997. ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის ისტორია, თბ. 1995. ე. ნადირაძე, მსოფლიო რელიგიები, თბ. 1997. რ. წიქვაძე, ისლამი, თბ. 1998. ნ. პაპუა შვილი, რელიგიის ისტორია, თბ. 1997. გ. როგავა, საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ. 1996. მაგრამ სახელმძღვანელო, რომელიც რელიგიათმცოდნეობის შინაარსს უპასუხებდა, ჯერ არ გამოქვეყნებულა. ამ წიგნში ნაცადია შეივსოს ეს ხარვეზი. ავტორმა წიგნის დაწერის პროცესში მოიძია და გამოიყენა მრავალი მასალა თუ ნაშრომი, რათა მკითხველისთვის მიეწოდებინა არა მარტო ცოდნა რელიგიის შესახებ, არამედ შეძლებისდაგვარად გაეღვივებინა მათში რწმენის ნაპერწკალიც. ბიბლიოგრაფია ნაშრომს თან ერთვის. სახელმძღვანელო დაწერილია მოქმედი სასწავლო პროგრამის მიხედვით. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებს და სხვებსაც, ვისაც აქ წარმოდგენილი საკითხები აინტერესებთ. ავტორს მიაჩნია, რომ ყველა საკითხი წიგნში ერთნაირი სისრულით არ არის წარმოდგენილი და იგი ელის ობიექტური მკითხველის ყველა კეთილ რჩევას:

დოც. ბაადურ გელაშვილი



## რელიგიათმცოდნეობის საგანი

ყველა მეცნიერებას თავისი დამოუკიდებელი, კვლევის სფერო გააჩნია. რელიგიათმცოდნეობასაც, როგორც ცოდნის ერთ-ერთ დარგს თავისი განსაკუთრებული შესწავლის საგანი აქვს. თვით დასახელებაში-“რელიგიათმცოდნეობა“, მითითებულია მის საგანზე. რელიგიათმცოდნეობა რელიგიის ცოდნას ნიშნავს. რა კუთხით სწავლობს რელიგიათმცოდნეობა რელიგიას, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას? ეს მიდგომა მრავალმხრივია, რამდენადაც თვითონ რელიგია არის რთული მრავალწახნაგოვანი მოვლენა. რელიგია ადამიანისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი განსაკუთრებული უნარია. იგი ადამიანის გარესამყაროში არ შეინიშნება. თუ ჩვენ ადამიანს ვახასიათებთ როგორც გონიერ, როგორც ზნეობრივ არსებას, რელიგიურობაც ადამიანის ძირითადი მახასიათებელია. ამბობენ-ცხოველებს რელიგია არა აქვთო. ამიტომ თუ გვინდა ვიცოდეთ ადამიანი, უნდა გავიგოთ მისი უმთავრესი ნიშანი-რელიგია. რელიგიათმცოდნეობა სწორედ რელიგიას შეისწავლის, როგორც ადამიანის განსაკუთრებულ უნარს.

თუ რელიგია ადამიანისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მისი წარმოშობა, ჩასახვა ადამიანის გაჩენასთან არის დაკავშირებული. როდის წარმოიშვა რელიგია, სად გაჩნდა იგი პირველად? ეს კითხვებიც ისმება რელიგიათმცოდნეობის წინაშე. მათზე პასუხი მოითხოვს ცოდნის სხვადასხვა დარგებში მოპოვებული მდიდარი მასალის გათვალისწინებას. აქ იგულისხმება, როგორც კონკრეტული მეცნიერების მონაცემები, ასევე საღვთისმეტყველო დარგებიც, რომელთა გათვალისწინების გარეშე დასმულ კითხვებზე სრულფასოვან პასუხს ვერ მივიღებთ. ამდენად, რელიგიათმცოდნეობა თავისი



საგნის გარკვევისას სერიოზულად უნდა ითვალისწინებდეს საკითხების ამ ფართო სპექტრს.

რელიგიამ განვითარების რთული ისტორიული გზა გაიარა. ერთი ღმერთის რწმენიდან, ცოდვაში ჩავარდნის შედეგად კერპთაყვანისმცემლობისა და პოლითეიზმის გავლით, კვლავ ჭეშმარიტი ერთი ღმერთის რწმენამდე მიბრუნებით ადამიანი ცდილობს მიწიერიდან ღვთიურისაკენ ამაღლდეს და განიწმინდოს. რელიგიათმცოდნეობა შეისწავლის ადამიანის ევოლუციური, რელიგიური განვითარების ამ რთულ გზას. ეს რელიგიის ისტორიის სფეროს მიეკუთვნება.

რელიგია რთული ფსიქოლოგიური ფენომენია. მისი ფესვები მყარად არის გადგმული ადამიანის ემოციონალურ-ფსიქოლოგიურ სამყაროში. რელიგიის გამოვლენის ამ სფეროს რელიგიის ფსიქოლოგია შეისწავლის. რელიგიათმეცნეობაში მას-თავისი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

რელიგია ღვთიური ნიჭია, ღმერთის მიერ ბოძებული ჯილდოა, ამიტომ იგი ადამიანისათვის დამახასიათებელი მუდმივი უნარია. მაგრამ რამდენადაც ადამიანი სოციალური არსებაა, რელიგიასაც ღრმა სოციალური ფესვები აქვს. რელიგიის გამოვლენა ხორციელდება სხვადასხვა სოციალურ პირობებში. ამით შეიძლება ავხსნათ რელიგიის ფორმათა გამოვლენის მრავალგვარობა. რელიგიის სოციალური მხარის ჩვენებას რელიგიათმეცნეობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს.

საუკუნეების მანძილზე ადამიანი ცდილობდა გაეგო სინამდვილის იდუმალი მოვლენები, რისთვისაც მას დიდად ეხმარებოდა კონკრეტული მეცნიერებანი, მაგრამ სამყარო ამოუწურავია და ცხადია ადამიანს არ შეუძლია ბოლომდე ჩაწვდეს სამყაროს მრავალფეროვნებას. რელიგია პასუხს სცემს იმ კითხვებს, რომლებზეც მეცნიერების სფერო ვერ ვრცელდება.




ეს არის რწმენის სფერო. რელიგიათმეცნეობას აინტერესებს, თუ რა მიმართებაა რწმენასა და ცოდნას შორის, რომელია მათ შორის მთავარი, არის თუ არა მათ შორის დაპირისპირება და ა.შ.

რელიგია მყარად არის ფესვგადგმული ადამიანთა ურთიერთობებში. იგი აწესრიგებს ამ ურთიერთობებს, აწესრიგებს ადამიანთა ზნეობრივ ცხოვრებას. ამიტომ ზნეობისა და რელიგიის მიმართების პრობლემებს რელიგიათმეცნეობა განსაკუთრებულ ადგილს უთმობს. ასევე დიდი ადგილი უკავია რელიგიათმეცნეობაში რელიგიისა და ხელოვნების, რელიგიისა და კულტურის ურთიერთობის საკითხებს.

რელიგიათმეცოდნეობა სწავლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ეპოქებში რელიგიის გამოვლენის თავისებურებებს, რელიგიისადმი დამოკიდებულების საკითხების სხვადასხვა სახელმწიფოთა სისტემებში. რელიგიათმეცოდნეობა ძირითად პრობლემებს მჭიდროდ უკავშირებს საღვთისმეტყველო დარგებს, საკითხებს განიხილავს საღვთო წერილის ობიექტური ანალიზის საფუძველზე.

რელიგიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე რელიგიათმეცოდნეობა აჩვენებს, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რელიგია იყო მძლავრი იმპულსი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა. ამის მაგალითებია ბუდიზმის გამარჯვება აზიის ქვეყნებში, სახარების გამოჩენა ანტიკურ სამყაროში, ისლამის აღმოცენება ბედუინთა შორის, დასავლეთის ეკლესიების რეფორმაცია და ა.შ. ამ პროცესების გაცნობიერებას არა მარტო ისტორიული, არამედ უდიდესი სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ყველა ეპოქისათვის.

რელიგიის განსაკუთრებული ძალა არა მარტო კაცობრიობის გრანდიოზულ ძვრებში ვლინდება, არამედ იგი ადამიანის პირადი, ინტიმური ცხოვრების აუცილებელი



ელემენტი. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რელიგიისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ ყოფილა. რელიგია და მისი ცალკეული ელემენტები ხშირად იწვევდა განსხვავებულ მოსაზრებებს, იგი იხატებოდა სხვადასხვა მწვალებლური აზრებისა და ერესების სახით. არაიშვიათად რელიგიას აფასებდნენ კულტის მსახურთა ცხოვრების წესით, მათი ზნეობრივი მოქმედებების მიხედვით. მაგალითად, ფრანგი მატერიალისტების აზრით თუ გვინდა ვაჩვენოთ რელიგიის რეაქციული როლი ისტორიაში, უნდა ვაჩვენოთ კულტის მსახურთა ზნეობრივი ცხოვრება. რა თქმა უნდა ჩვენ შეგვიძლია ისტორიაში მოვნახოთ არაერთი უარყოფითი მაგალითი კულტის მსახურთა ცხოვრებიდან, მაგრამ ამით რელიგიის ჭეშმარიტი როლის დადგენა, რა თქმა უნდა არ შეიძლება. სინამდვილეში სულ სხვაა რელიგია, როგორც განსაკუთრებული ფენომენი და სხვაა ცალკეულ ადამიანთა მოქმედებანი, რომლითაც ვერ შეფასდება რელიგია. ამას კარგად აჩვენებს რელიგიის ღრმა ანალიზი, მისი ისტორია და ადგილი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში.

## რელიგიის არსება, სტრუქტურა და ფუნქციები

რელიგია უაღრესად რთული მოვლენაა. მისი ფესვები ღრმად არის გადგმული უჩინარ მისტიურ სამყაროში, ადამიანის რთულ და ამოუცნობ ბუნებაში, საზოგადოების მრავალწახნაგოვან სოციალურ ყოფაში, პიროვნების მრავალმხრივ ფსიქოლოგიურ ხასიათში და ა.შ. რელიგიის არსებაში რომ გავერკვეთ, ყველა აღნიშნული ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის რელიგია, საკაცობრიო აზრის ისტორიაში, მრავალი განსხვავებული თეორიის სახით

ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ინტელექტუალური მომენტის წინ წამოწევით ღმერთს აბსოლუტური იდეით ცვლის, ხოლო კანტი რელიგიას ზნეობრივი მოვალეობის გრძნობას უკავშირებს. ლ. ფოიერბახმა რელიგიის არსება ადამიანთა შორის კავშირში დაინახა, ხოლო გერმანელი თეოლოგი შლეიერმახერი ამას დამოკიდებულების გრძნობაში ეძებდა. ინგლისელი ეთნოგრაფი ა. ტეილორი “რელიგიის მინიმუმად” სულიერი არსებების რწმენას აცხადებდა, ფრანგი სოციოლოგი ე. დიურკჰეიმმა რელიგიას აიგივებდა ყოველგვარ წმინდანთან. ჯ. ფრეზერი რელიგიას განსაზღვრავდა, როგორც ადამიანზე მალა მდგომი ძალების თავის მხარეზე გადმოყვანას, ხოლო ბევრი მოაზროვნის მიხედვით რელიგიის არსება გამოიხატება რაღაც უჩინარის წინაშე შიშში. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ რელიგია არის ადამიანის შინაგანი განწყობილება, რომელიც თვინიერებასა და მიტევებაში ვლინდება, ხოლო ფრანგი განმანათლებლები რელიგიას შეგნებული ტყუილის სახით წარმოადგენდნენ. არის შეხედულება, რომლის თანახმადაც რელიგია არის პირველყოფილი ადამიანის უმეცრების ნაყოფი, ხოლო მარქსისტულ ფილოსოფიას რელიგიის არსი მთლიანად დაყავს მხოლოდ საზოგადოებრივ ფაქტორებამდე, მის ბაზისად აცხადებს მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებს. ამის გარდა კიდევ ათეულობით მოსაზრებებს ვხვდებით რელიგიის არსების შესახებ, რაც რელიგიის რთულ ბუნებაზე მიუთითებს. ყველა ეს შეხედულებანი გათვალისწინებული უნდა იქნეს რელიგიის არსების გარკვევის დროს.

ტერმინი “რელიგია” ლათინური “რელიგარე“-დან (“რელიგარე”) მომდინარეობს და კავშირს ნიშნავს, ხოლო ამ კავშირში იგულისხმება ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირი. და მართლაც, ყველა რელიგია ხომ ერთი მთავარი საკითხის

ირგვლივ ტრიალებს, კერძოდ, როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, როგორ გააჩინა ადამიანი თავის მსგავსად და ხატად, როგორ განაგებს მის ბედს, რას უმზადებს მას, რა მოთხოვნებს უყენებს, რა მოვალეობანი აკისრია ადამიანს ღმერთის წინაშე და ა.შ. რელიგია გარკვეულ პასუხს იძლევა ყველა ამ კითხვაზე.

რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმები, ის სინამდვილის ასახვას წარმოადგენს. იგი არის ასახვა ადამიანთა დამოკიდებულებისა ბუნებისა და ერთმანეთის მიმართ. მართალია, რელიგია იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ მისი სპეციფიკა ის არის, რომ ის სინამდვილის ასახვის განსაკუთრებული ფორმაა. კერძოდ, თუ მეცნიერება სინამდვილეს ცნებებით გამოხატავს, თუ ხელოვნება სინამდვილეს მხატვრული სახეებით გვაწვდის რელიგია სინამდვილის ისეთ სფეროს ეხება, რომელიც სრულიად უჩინარია და მიუწვდომელია ყოველგვარი მეცნიერებისათვის.

**რელიგიის სტრუქტურა.** რელიგიის სტრუქტურის ანალიზის დროს ზოგიერთი ავტორი განსხვავებულად წარმოადგენს მის ძირითად ელემენტებს, მაგრამ თუ ყველა მათ საერთო ნიშანს მოუნახავთ, რელიგიის სტრუქტურაში ჩვენ შეიძლება შევიტანოთ სამი ძირითადი ელემენტი: რელიგიური ცნობიერება, რელიგიური კულტი და რელიგიური ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

რელიგიური ცნობიერება ეს არის იდეებისა და შეხედულებათა გარკვეული სისტემა და მასთან დაკავშირებული გრძნობებისა და ჩვეულებების ერთობლიობა, რომლებიც მორწმუნეთა ჯგუფებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, რელიგიური ცნობიერება შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ - რელიგიურ იდეოლოგიად და რელიგიურ ფსიქოლოგიად. ეს გაყოფა არ ნიშნავს იმას, თითქოს რელიგიური

იდეოლოგია და რელიგიური ფსიქოლოგია რელიგიური ცნობიერების განსხვავებული საფეხურებია. მათ აქვთ როგორც სპეციფიკური, ასევე საერთო ნიშნები.

რელიგიური იდეოლოგია ეს არის შეხედულებათა დამუშავებული სისტემა ღმერთის, სამყაროს, საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ. ეს შეხედულებანი გარკვეული სისტემის სახით ყალიბდება თეოლოგებისა და კულტის მსახურთა მიერ.

რელიგიური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი არის ღვთისმეტყველება, ანუ მოძღვრება ღმერთის შესახებ. იგი დამუშავებულია თეორიული სახით და მოიცავს ძირითად თეოლოგიურ დისციპლინებს. ყველა თანამედროვე რელიგიას აქვს თავისი საკუთარი ღვთისმეტყველება. თეორიული თვალსაზრისით, ღვთისმეტყველება ემყარება რელიგიური დოგმების რწმენას. ღვთისმეტყველება ცდილობს დაასაბუთოს ღმერთი, დაადგინოს მისი თვისებები, გაარკვიოს სინამდვილესთან მისი მიმართება, დაამტკიცოს რელიგიურ დოგმათა ჭეშმარიტება, რელიგიური წიგნების ღვთაებრიობა, ზნეობის განსაკუთრებულობა, დაადგინოს სამღვდლოებისა და მორწმუნეთა ქცევის წესები, აჩვენოს ეკლესიის ღვთიური ბუნება. ღვთისმეტყველება მიზნად ისახავს გარკვეულ სისტემაში მოიყვანოს მთელი რელიგიური კომპლექსი.

ღვთისმეტყველების გარდა რელიგიურ იდეოლოგიაში შედის აგრეთვე ფილოსოფიური, ეთიკური, ეკონომიკური მოძღვრებანი, ისინი ეკლესიის მიერ დაკანონებულ წესებში არ შედიან, მაგრამ ემყარებიან რელიგიურ დოგმატებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთლიანად რელიგიურ კომპლექსში.

რელიგიურ იდეოლოგიას ისტორიაში, როგორც წესი, გაბატონებული კლასები ქმნიდნენ და მისი სოციალური დანიშნულება ყოველთვის იყო გაბატონებული ზედაფენის



ინტერესების დაცვა. ამასთან ერთად რელიგიური იდეოლოგია იმდავარად ყალიბდებოდა, რომ მასში ჩაგრული, ბეჩავი ხალხიც ხედავდა ისეთ იდეებს, რომლებიც მათში რაღაც იმედს ბადებდა. საერთოდ კი ღვთისმეტყველების სხვადასხვა დისციპლინები ერთ მთავარ ფუნქციას ასრულებენ - დაასაბუთონ ყოველი რელიგიის ცენტრალური იდეა-ზებუნებრივის რწმენა.

რელიგიურ ცნობიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური ფსიქოლოგია. იგი არის მორწმუნეთა გრძნობების, წარმოდგენების, ჩვევების, განწყობილებების ერთობლიობა. რელიგიური ფსიქოლოგია რელიგიური იდეოლოგიისაგან განსხვავდება თავისი სტრუქტურით, კომპონენტით, ადამიანთა ცხოვრების ობიექტური პირობების ასახვის ფორმით. რელიგიური ფსიქოლოგია ყალიბდება სტიქიურად, როგორც ადამიანთა ცხოვრების პირობების წინაშე მათი უძლურების უშუალო ასახვა. როცა რელიგიურ ფსიქოლოგიას ეხებიან, თეოლოგები გამოყოფენ რელიგიურ გრძნობას, როგორც ღმერთისაკენ მისწრაფების, მისი წვდომის განსაკუთრებულ უნარს, რომელიც მისტიკური გასხივოსნების გზით ხორციელდება.

რელიგიური ფსიქოლოგია იმით განსხვავდება რელიგიური იდეოლოგიისაგან, რომ მასში არ ვხვდებით მწყობრად ჩამოყალიბებულ რელიგიური იდეების სისტემას. მასში წინა პლანზეა წამოწეული სახეებით აზროვნება, რაც ცხოვრების პირობების უშუალო გავლენით ხორციელდება, ისინი ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობასთან არიან დაკავშირებულნი.

რელიგიური ფსიქოლოგიის მოვლენები სხვადასხვაგვარია. მათ ზოგჯერ ახასიათებთ შედარებითი მდგრადობა, ზოგიერთი განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა. ყველაფერი ეს შესაბამის გავლენას ახდენს ხალხთა განწყობილებაზე და მას

შესაბამისი შედეგები მოსდევს. თუ კონკრეტულად ვილაპარაკებთ რელიგიურ გრძნობებზე, რღმლებიც მორწმუნეთათვის არის დამახასიათებელი, შეიძლება დავასახელოთ რელიგიური შიში, სიყვარული, ემოციები, ფანტაზია, მწუხარება, გლოვა, მარტოობა და ა.შ. რელიგიურ ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიურ ჩვევებსა და ტრადიციებს, რომელთაც შედარებით უფრო მეტი სტაბილურობა და მდგრადობა ახასიათებთ.

რელიგიური ფსიქოლოგია თავდაპირველად რელიგიური იდეოლოგიის საფუძველია. მაგრამ ჩამოყალიბების შემდეგ ეს უკანასკნელი შედარებით დამოუკიდებლობას იძენს და აქტიურ ზემოქმედებას ახდენს რელიგიურ ცნობიერებაზე საერთოდ.

რელიგიის სტრუქტურაში კულტი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. რელიგიური კულტის დამუშავებას, დახვეწას ეკლესია საუკუნეების მანძილზე აწარმოებდა. კულტი ისეთი რელიგიურ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომლითაც მორწმუნე ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს არა მხოლოდ ზებუნებრივ ძალებზე, არამედ რეალურად არსებულ საგნებსა და მოვლენებზე. რელიგიურ კულტს მიეკუთვნება ყველაფერი, რაც ზებუნებრივთან ადამიანის მიმართებას პრაქტიკული მოქმედებით გამოხატავს. ასეთებია: რელიგიური რიტუალები, წეს-ჩვეულებანი, საიდუმლოებანი, მარხვები, ლოცვები, მსხვერპლთშეწირვები, მისტერიები. კულტს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი მატერიალური საგნები, როგორცაა: ტაძრები, სამლოცველო სახლები, წმინდანთა ნაწილები, ხატები, ჭერები, სანთლები, რელიგიური სამოსი და ა.შ.

კულტს მორწმუნეებზე ემოციური ზემოქმედების განსაკუთრებული უნარი აქვს. ამიტომ იგი რელიგიის ელემენტებში ყველაზე აქტიური ელემენტია. რელიგიურ კულტს ისეთივე ძველი ისტორია აქვს, როგორც რელიგიას. იგი



პირველყოფილ საფეხურზე მაგიური მოქმედების სახით ჩამოყალიბდა, რომელიც ემყარებოდა მატერიალური საგნების ზებუნებრივი თვისებების რწმენას. განვითარების შემდგომ საფეხურზე შემუშავდა შელოცვების, ექსტაზური ცეკვების, სიმღერების რიტუალი, რომლითაც ადამიანი სასურველ შედეგს აღწევდა. უფრო მოგვიანებით ღმერთების გულის მოგების მიზნით დაიწყეს მსხვერპლთშეწირვა. მონოთეისტურ რელიგიებმა, განსაკუთრებული რელიგიური კულტი შეიმუშავა, რათა გაეძლიერებინა ადამიანთა რელიგიური გრძნობები.

არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეკლესიამ ადამიანებზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებანი შეიმუშავა. ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი იქნა გათვალისწინებული - დაბადება, გარდაცვალება, მწუხარება, ნუგეში, ავადმყოფობა, გაჭირვება. ყველა ამ მოვლენასთან დაკავშირებით შესაფერისი წესები იქნა შეიმუშავებული, რომლითაც კულტის მსახურები მორწმუნეებში ძლიერ ემოციურ გრძნობებს აღძრავდნენ, მათში სიმშვიდისა და კმაყოფილების განწყობილებას ქმნიდნენ.

რელიგიური კულტი განსაკუთრებული კონსერვატულობით ხასიათდება. რელიგიური კულტის მრავალგზისი გამეორების ძალით იგი განსაკუთრებულ მდგრადობას იძენს და საუკუნეებში უცვლელად გადადის. ადამიანთა ნაწილი რელიგიასთან ხშირად კულტის საშუალებითაა დაკავშირებული.

ყოველი რელიგია სათანადო დაწესებულებებში მორწმუნეთა რაღაც ორგანიზაციულ გაერთიანებას წარმოადგენს. ეს გაერთიანებანი რელიგიური რწმენისა და კულტის საფუძველზე ყალიბდება. რელიგიური ორგანიზაციები არეგულირებენ საკულტო საქმიანობას და უზრუნველყოფენ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილებას.

ისტორიის მანძილზე რელიგიური ორგანიზაციები



ეპოქისათვის შესაბამის ფორმას ღებულობდა. აღრეულ საფეხურზე რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარებას საერო ხასიათი ჰქონდა. შემდეგში ჩნდება ჯადოქრების, შამანების, ქურუმების ინსტიტუტი, როცა საკულტო საქმიანობას განსაკუთრებული სოციალური ფენა ახორციელებს. რელიგიური ორგანიზაციების ფუნქციები გართულდა და გაფართოვდა კლასობრივი საზოგადოების გაჩენის შემდეგ. მონოთეისტურმა რელიგიებმა კიდევ უფრო დახვეწეს რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურა, მორწმუნეთა გაერთიანებების სათავეში მოექცა სამღვდლოება მკაცრად განსაზღვრული იერარქიული პრინციპით. რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას განსაზღვრავს თეორიულად დამუშავებული საეკლესიო კანონი. კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით რელიგიური ორგანიზაციები ღებულობს ან მონარქიულ, ან დემოკრატიულ ხასიათს.

რელიგიური ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას შესაბამის დაწესებულებებში ახორციელებენ. რელიგიურ დაწესებულებათა ჩამოყალიბება განსაკუთრებული სისტემის სახით დაკავშირებულია მონოთეისტური რელიგიების წარმოშობასთან. სწორედ ამ დროს ჩნდება მკაცრად ცენტრალიზებული რელიგიური ინსტიტუტი ეკლესიის სახით. ეკლესიის დაწესებას შედეგად მოჰყვა მორწმუნეთა დაყოფა სასულიერო და საერო ჯგუფებად. წარმოიშვა პროფესიონალი კულტის მსახურნი, რომლებმაც მოიპოვეს პრივილეგიები სასულიერო საქმეებში. ეკლესიამ მოიპოვა განსაკუთრებული მნიშვნელობა, მორწმუნეთათვის იგი თაყვანისცემის საგანი გახდა.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, რელიგია როგორც განსაკუთრებული მოვლენა შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ სტრუქტურული თვალსაზრისით: რელიგია არის

განსაკუთრებულ შეხედულებათა (რელიგიური ცნობიერება), მოქმედებათა (რელიგიური კულტი) და შესვლამის დაწესებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ზებუნებრივის რწმენასთან.

ზემოთაღნიშნულ განსაზღვრებაში ხაზგასმულია ზებუნებრივის რწმენა და ეს გასაგებიც უნდა იყოს, რადგან რელიგია არის იქ, სადაც არის ზებუნებრივის რწმენა. სხვა შემთხვევაში შეიძლება იყოს შეხედულებანი, მოქმედებანი, დაწესებულებანი და ა.შ. რომელთაც არავითარი რელიგიური შინაარსი არ გააჩნიათ. ისინი რელიგიურნი ზებუნებრივთან მიმართებაში ხდებიან.

რა არის ზებუნებრივი? ერთი სიტყვით ამ კითხვას შეიძლება ასე ვუბასუხოთ: ზებუნებრივი არის ღმერთი. აქ მნიშვნელობა არა აქვს რას ვგულისხმობთ ღმერთში. ზებუნებრივის შინაარსს ატარებს პირველყოფილი ადამიანის ფეტიშები, ტოტემური საგნები, პოლითეისტური ღმერთები, თუ თანამედროვე რელიგიების ღვთაებანი. ღმერთი არის ზებუნებრივი არსება, რომელსაც განსაკუთრებული ნიშნები ახასიათებს. ძირითადად ღმერთის ცნებაში სამ ნიშანს გამოყოფენ:

1. ღმერთი არის შემოქმედი არსება, 2. ღმერთი არის გამგებელი არსება, და 3. ღმერთი არის სრულყოფილი არსება. ღმერთის ეს ძირითადი ნიშნები არაერთხელ არის დაფიქსირებული ბიბლიაში. მაგრამ ისტორიაში ხშირად ისმებოდა კითხვა: არსებობს თუ არა შემოქმედი, გამგებელი და სრულყოფილი არსება, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვეძახით. ქრისტიანული ეკლესია ამ კითხვის დასმას არაკანონიერად თვლიდა, რადგან ღმერთი რწმენის სფეროს განეკუთვნება და არა განსჯის სფეროს. წმ. წერილი გარკვევით გვასწავლის, რომ არსებობს სრულყოფილი ძალა-ღმერთი, რომელმაც შექმნა და განაგებს სამყაროს. აქ რაიმე კითხვა ზედმეტია. ეს უნდა

F 89. 817

გვწამდეს. თუმცა ისტორიაში ეს საკითხი არაერთხელ წამოიჭრა და მრავალნაირი თეორიების სახით გაფორმდა. ამ თეორიებიდან შეიძლება გამოვყოთ ოთხი: 1. თეიზმი, 2. პანთეიზმი, 3. დეიზმი და 4. ათეიზმი. რას გვასწავლიან ეს თეორიები?

თეიზმი არის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა და მარადიულად განაგებს სამყაროს. პანთეიზმი არის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო, რომელიც წარმოადგენს ღმერთის მარადიულ გამოვლენას. დეიზმის თანახმად ღმერთმა გააჩინა სამყარო, მაგრამ ქმნადობის შემდეგ იგი აღარ ერევა მის წესრიგში. ათეიზმი არის თეორია, რომლის მიხედვითაც სამყარო არა მარტო არ შეუქმნია ღმერთს, არამედ ღმერთი საერთოდ არ არსებობს. ამას გარდა ისტორიაში ჩვენ ვიცნობთ ღმერთის არსებობის დასაბუთების მრავალ სხვა არგუმენტებს (კოსმოლოგიური, ტელოლოგიური, ონტოლოგიური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, ისტორიული და ა.შ.). მაგრამ ღმერთის არსებობის ბიბლიური გაგებისაგან განსხვავებით ყველა ეს თეორია ღმერთის დასაბუთებას ცდილობს არსებულიდან, შექმნილიდან. ბიბლია ასწავლის: არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო. აღნიშნული თეორიები ასწავლის: არსებობს შექმნილი ქვეყანა, ე.ი. უნდა არსებობდეს შემოქმედი. სწორედ ამის გამო არ მიიღო ქრისტიანულმა ეკლესიამ ეს არგუმენტები.

**რელიგიის როლი და ფუნქციები.** რელიგიის როლისა და სოციალური ფუნქციის საკითხი რელიგიათმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებში მას სხვადასხვა ადგილი უჭირავს იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს რელიგიური ცნობიერება, როგორ ფუნქციონირებს რელიგიური კულტი, რა საქმიანობას ეწევა რელიგიური ორგანიზაციები. ცალკეული ამ ელემენტის



დადებითი ფუნქციონირება ამა თუ იმ პერიოდში არ უნდა აურიოთ საერთოდ რელიგიის შეფასებაში.

რელიგია თავისი წარმოშობის დროიდან ასრულებდა და ასრულებს ერთ მთავარ ფუნქციას. იგი დაკავშირებულია სინამდვილის გაცნობიერებასა და ახსნასთან. ამასთან ერთად, იგი არის ადამიანის სისუსტისა და უძლურების შევსება, კომპენსაცია, ე.ი. რელიგიას აქვს უპირველეს ყოვლისა კომპენსატორული ფუნქცია. ეს ფუნქცია დამახასიათებელია ყველა რელიგიისათვის. ამასთან, რაც უფრო უძლურია ადამიანი, მით უფრო წინა პლანზე იწვევს ეს ფუნქცია. რელიგიაში ხდება ადამიანის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების მოხსნა: რეალურ ჩაგვრას ხსნის თავისუფლება, ადამიანის უძლურება იხსნება ღმერთის ყოვლადძლიერებით, ადამიანის უვიცობა-ღმერთის ყოვლისმცოდნეობით, ბოროტებას ფარავს ღვთიური სიკეთე, სიძულვილს-ქრისტეს სიყვარული და ა.შ. რელიგია კომპენსატორული ზემოქმედების მდიდარ საშუალებებს ფლობს.

რელიგიას აქვს კომუნიკაციური ფუნქცია. ამ ფუნქციის დამუშავებას ეკლესია დიდ ყურადღებას აქცევს. კომუნიკაციური ფუნქცია ადამიანის ღმერთთან და ადამიანთა შორის შეერთების როლს ასრულებს. აქედან პირველი უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე მეორე. რელიგია აერთიანებს ადამიანებს რელიგიურ თემებად. ადამიანთა გაერთიანება ხდება ძირითადად საკულტო მოქმედებების დროს. ტაძარში წირვა, რელიგიურ საიდუმლოებათა აღსრულება, კოლექტიური ლოცვები და ა.შ. ადამიანთა გაერთიანებასა და მათ ღმერთთან შეერთებას უწყობს ხელს. ასეთ გაერთიანებებში ადამიანთა შორის მყარდება რელიგიური ურთიერთობანი. ამიტომ კულტის მსახურნი რელიგიის ამ ფუნქციის მოწესრიგებას დიდ ადგილს უთმობენ.

რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ეს არის



მისი რეგულაციური ფუნქცია. რელიგიური იდეები, საკულტო მოქმედებანი, რელიგიური დაწესებულებანი ადამიანთა ქცევის რეგულატორის ფუნქციას ასრულებს. რელიგია მკაცრ კონტროლს აწესებს ადამიანის მოქმედებაზე, მის ყოველდღიურ საქმიანობაზე, კრძალავს ან ნებას რთავს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებას. სამაგიეროდ აწესებს გარკვეულ “ანაზღაურებას”- სიკეთისათვის ჯილდო- სამოთხე, ბოროტებისათვის სასჯელი- ჯოჯოხეთი, საბოლოოდ ადამიანთა მოქმედების რეგულირება რელიგიის მიერ არსებული წესრიგის შენარჩუნებას ემსახურება.

ბოლოს უნდა ავლნიშნოთ რელიგიის ინტეგრაციული ფუნქცია, რომელიც საზოგადოების ინტეგრაციის როლს ასრულებს. რელიგია ადამიანთა აზრებს, გრძნობებს, მისწრაფებებს აერთიანებს, რითაც ხელს უწყობს ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფების განმტკიცება-შენარჩუნებას.

რელიგიის ყველა ზემოთ აღნიშნული ფუნქციის დანიშნულება არის ზებუნებრივის რწმენის განმტკიცება, რელიგიური იდეების შენარჩუნება, რელიგიურ წეს-ჩვეულებათა აღსრულება, რომელთაც ყოველი ადამიანის პირად ცხოვრებაში ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რელიგიას, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმას სხვა ფუნქცია არ გააჩნია. ამ ფუნქციებით ღირებულებას იძენს ადამიანის როგორც ამქვეყნიური, დროებითი, ისე იმქვეყნიური, მარადიული ცხოვრება.

**რელიგიის წარმოშობა.** რელიგიის წარმოშობის საკითხი რელიგიათმცოდნეობის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. რამ განაპირობა რელიგიის აღმოცენება, როდის წარმოიშვა იგი, სად ჩაისახა პირველი რელიგიური წარმოდგენები, რა განაპირობებს რელიგიურ რწმენათა მრავალგვარობას,-ეს და ამასთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხი მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემების საფუძველზე



არგუმენტირებულ პასუხს მოითხოვს. შესავალში ნათქვამი იყო, რომ ადამიანი არის რელიგიური არსება, რომ არარელიგიური ადამიანი საერთოდ არ არსებობს. ყველა ადამიანს თავისი რელიგიურობა შეიძლება გაცნობიერებული არ ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი არარელიგიურია. რელიგიური მუხტი ყველა ადამიანში დევს, რომელიც საჭირო პირობებში გამოვლინდება. თუ ეს ასეა, როგორ ავხსნათ რელიგიურ რწმენათა ევოლუცია, რელიგიურ რწმენათა მრავალფეროვნება?

ძველი აღთქმა როცა ქმნადობის შესახებ ლაპარაკობს, მიუთითებს, რომ ქმნადობა განხორციელდა ექვს დღეში და სწორედ მეექვსე დღეს შეიქმნა შემოქმედების გვირგვინი, მსგავსი და ხატი ღმერთისა ადამიანი. პირველ ადამიანს ამ ვერსიის მიხედვით არ შეიძლება ჰქონოდა სხვა რწმენა, თუ არა რწმენა მისი შემოქმედი ერთი ღმერთისა. ე.ი. რელიგიის პირველი საფეხური მონოთეიზმი იყო. მაგრამ მოგვიანებით პირველმა ადამიანმა დაარღვია ღმერთის დარიგება, გასინჯა აკრძალული ხილი და საკაცობრიო ცოდვაში ჩავარდა. ამას შედეგად მოყვა ადამიანისა და ღმერთს შორის კავშირის გაწყვეტა. შემოქმედი ღმერთი პირველი ადამიანისათვის დაიკარგა, იგი დარჩა მარტო და მთლიანად მიეჯაჭვა ბუნებას, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეეძლო. ამის გამო მან გააღმერთა ბუნების კონკრეტული საგნები და მოვლენები და მონოთეიზმის ნაცვლად ჩამოყალიბდა ბუნებრივი რელიგია, წარმართობის სხვადასხვა ფორმები.

ბუნებრივი რელიგია მოგვიანებით, ბუნებაზე ადამიანის გაძლიერების შედეგად, შეცვალა პოლიტეიზმმა, სადაც ბუნების ძალებმა ადამიანური სახე მიიღეს, ხოლო უფრო გვიან ადამიანი კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ რელიგიას მონოთეიზმს იუდაიზმის, ბუდიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის სახით. ასე



გამოიყურება ადამიანთა რელიგიური ევოლუცია ისტორიულად.

როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოების განვითარების პირობა არის მატერიალური დოვლათის წარმოების წესი. საზოგადოებრივი ცნობიერება მეორადი მოვლენაა, რომელიც საზოგადოებრივი ყოფიერების წიაღში და მის შედეგად ისახება. სანამ ადამიანები ფილოსოფიას, რელიგიას, მეცნიერებას, პოლიტიკას მოჰკიდებდნენ ხელს, მანამ მათ უნდა შექმნან, მოიპოვონ გარკვეული დოვლათი,-საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, მიწა და ა.შ. ყოველივე ამის მისაღწევად ადამიანი უნდა შრომობდეს, ქმნიდეს მატერიალურ დოვლათს, აწარმოებდეს და რაც უფრო განვითარებულია შრომისა და წარმოების პროცესი, რაც უფრო მეტია მატერიალური დოვლათის წარმოება, მით უფრო მეტი საშუალება ეძლევა ადამიანს ხელი მოჰკიდოს ფილოსოფიას, ხელოვნებასა და მეცნიერებას. ადამიანთა საზოგადოებამ თავის განვითარებაში სხვადასხვა საფეხური განვლო, რომლებიც ერთმანეთისაგან სწორედ წარმოების ხასიათით, საწარმოო ძალთა განვითარების დონით განსხვავდებიან. წარმოების პროცესში ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობანი ყალიბდებიან და ისინი ადამიანთა ცნობიერებაში აისახებიან, ამიტომ საზოგადოების განვითარების გარკვეულ პერიოდს გარკვეული შეხედულებანი შეესაბამებიან.

ადამიანთა საზოგადოებამ ფეხი შორეულ წარსულში აიდგა. ამ პერიოდის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ საწარმოო ძალების განვითარების დონე მეტად პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა, ადამიანმა უხეში იარაღით დაიწყო ბუნების წინააღმდეგ მოქმედება და ბრძოლა, რაც მას მძიმე ტვირთად აწვა. პირველყოფილი ადამიანი სრულიად დაბეჩავებული იყო არსებობისათვის ბუნებასთან ბრძოლის სიძნელით.



საზოგადოების განვითარების პირველყოფილ საფეხურზე, როცა ადამიანი ფლობდა შრომის პრიმიტიულ იარაღებს, როცა მას არ ჰქონდა გამოცდილება და პრაქტიკა, მისი ცოდნაც სამყაროს შესახებ ღარიბი იყო, იგი ვერ ერკვეოდა სინამდვილის მოვლენების მრავალფეროვნებაში.

საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე პირველყოფილ ადამიანს ბუნებაზე დამოკიდებულს ხდიდა. ადამიანის შრომა ამ პერიოდში მხოლოდ არსებობისათვის საჭირო იმ საგნებით შემოიფარგლებოდა, რომელთა მიღება მას ბუნებისაგან შეეძლო. მაგრამ ბუნებასთან ყოველდღიური ურთიერთობა და არსებობისათვის ბრძოლა თანდათან ცვლიდა ადამიანის ცხოვრების პირობებს. შრომის პროცესში ადამიანი სახეს უცვლიდა ბუნებას. როცა პირველყოფილმა ადამიანმა შეძლო ბუნების ბევრი მოვლენის დაძლევა, მაგრამ გაცილებით მეტი დაუძლეველი დარჩა, მას გაუჩნდა აზრი ამ ძალების ზებუნებრივი საიდუმლო ხასიათის შესახებ, რომლის წინაშე იგი თავის თავს უძლურად თვლიდა.

უძლურება, რომელსაც პირველყოფილი ადამიანი განიცდიდა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონით. ამრიგად, ადამიანის უძლურება ბუნების ძალების წინაშე პირველყოფილი რელიგიის წარმოშობის ძირითადი მიზეზია. მაგრამ ბუნების ძალები მრავალნაირია, ამიტომ ადამიანის რელიგიური შეხედულებანიც სხვადასხვანაირია იმის მიხედვით, თუ როგორ ზემოქმედებას განიცდიან ისინი ამ ძალების მიერ.

პირველყოფილი ადამიანის რელიგიური შეხედულებანი, მისი მრავალნაირი ღმერთები პირველად ბუნების ძალებს გამოხატავდნენ, საზოგადოებრივი ძალები მაშინ ჯერ კიდევ არ უპირისპირდებოდნენ ადამიანს როგორც გარეშე, უცხო მოვლენები, არ ახდენდნენ მასზე რაიმე განსაკუთრებულ





ზემოქმედებას. საზოგადოებრივი ურთიერთობანი მაშინვე  
კიდევ არ იყო ადამიანის მიერ გაცნობიერებულნი.

საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე საწარმოო ძალების განვითარებამ შექმნა ობიექტური პირობები პირველყოფილი საზოგადოების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობისათვის. ამან, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა აგრეთვე რელიგიის განვითარებაში. თუკი ადრე რელიგიის მიზეზი ის იყო, რომ ადამიანზე ბატონობდნენ ბუნების ძალები, რომელთა წინაშე ადამიანი უძლური იყო, კლასების გაჩენის შემდეგ ამას დაემატა აგრეთვე საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ასევე ბატონობდნენ ადამიანზე და იმორჩილებდნენ მას.

კლასობრივი საზოგადოების გაჩენის შემდეგ ბუნების წინაშე ადამიანის უძლურება, როგორც რელიგიის წარმოშობის ძირითადი მიზეზი, მეორე რიგში გადადის. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ბუნების წინაშე უძლურება, როგორც რელიგიის მიზეზი, იხსნება. მაგრამ რელიგიის ფესვები, რომლებიც კლასობრივ საზოგადოებაში წარმოიშვნენ, უწინარეს ყოვლისა უნდა ვეძებოთ არა ბუნების ძალების გაღმერთებაში, არამედ იმ ისტორიულ პირობებში, სადაც ეს რელიგიები ჩაისახა.

ამრიგად, რელიგიის ფესვები როგორც პირველყოფილ საზოგადოებაში, ასევე ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში უპირველეს ყოვლისა სოციალურია. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საზოგადოებრივი ძალების ბატონობის დროს აღარ მოქმედებს ბუნების ძალები როგორც რელიგიის მასზრდობელი მიზეზი. ბუნების სტიქიური ძალების ზემოქმედება ადამიანზე ძველად, მართალია, უფრო ძლიერი იყო, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დღესაც განაგრძობს არსებობას.



პერიოდი, როცა რელიგია გაჩნდა, ხასიათდება საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონით (სოციალური ფესვი) და ადამიანის ცნობიერების, მისი შემეცნებითი უნარის შესაბამისი განვითარებით (გნოსეოლოგიური ფესვი), როცა სოციალურ მომენტს გნოსეოლოგიური მომენტი დაემატა, გაჩნდა სინამდვილის შესაბამისი ასახვა-რელიგია.

რელიგია აღმოცენდა არა მარტო ადამიანზე ბუნებისა და საზოგადოების სტიქიური ძალების მოქმედების შედეგად, არამედ იმიტომაც, რომ შესაძლებელი გახდა ამ პროცესის გააზრება ადამიანის თავში. ამდენად, რელიგიის სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა არ შეიძლება.

რელიგიის გნოსეოლოგიური ფესვები მდგომარეობს შემეცნების პროცესის და ადამიანთა გრძობებისა და ემოციების ზოგიერთ თავისებურებაში, რომელიც ქმნის სინამდვილის სპეციფიკური ასახვის შესაძლებლობას.

სინამდვილის ასახვა არ არის უბრალო ფოტოგრაფიული სურათი. შემეცნება-ეს რთული წინააღმდეგობრივი და ხანგრძლივი პროცესია, რომლის დროსაც ადამიანი არაცოდნიდან ცოდნაზე გადადის. რელიგია სინამდვილეზე ადამიანის შეხედულებათა სისტემაა.

ბუნების სწორი ასახვა რთული საქმეა, იგი პრაქტიკის ხანგრძლივი ისტორიის პროდუქტია. ბუნების ძალები პირველყოფილ ადამიანს რაღაც საიდუმლო, საკვირველ ძალებად ეჩვენებოდა. განსაზღვრულ საფეხურზე, რომელიც თითქმის ყველა კულტურულმა ხალხმა გაიარა, ადამიანმა ბუნების ეს ძალები გააღმერთა და ზებუნებრივი ხასიათი მიანიჭა მას.

სინამდვილის შემეცნება, რომლისკენაც ადამიანი მისწრაფვის, დაუსრულებელი პროცესია. ამიტომ ჭეშმარიტებაც

სინამდვილის შესახებ არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, არამედ იგი აბსოლუტურისა და შეფარდებითის ერთიანობაა. მეცნიერებას არ შეუძლია ერთბაშად შეიმეცნოს ყველაფერი, იგი თანდათან ვითარდება და ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებს. ეს გარემოება რელიგიური შეხედულების წარმოშობის შესაძლებლობას ქმნის. იმ მოვლენებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შეცნობილი, რელიგია მიაწერს რაღაც განსაკუთრებულ ღვთიურ ძალას. ჯერ კიდევ შეუსწავლელ ბუნების ძალებსა და მოვლენებს რელიგია აცხადებს ღვთიურ ძალის გამოვლინებად და ა.შ.

რელიგიის გნოსეოლოგიური ფესვები ის არის, რომ შემეცნების რთულ, მრავალმხრივ პროცესში ადამიანს შეუძლია აიღოს რომელიმე მომენტი, გააზვიადოს იგი სინამდვილის სხვა მხარეების ხარჯზე, მოწყვიტოს მატერიას, აბსოლუტურად აქციოს იგი და საბოლოოდ გააღმერთოს კიდევ.

შემეცნების მიზანი ჭეშმარიტების მიღწევაა. მაგრამ იგი უბრალოდ არ დგინდება. ადამიანი სინამდვილის შემეცნებას ცოცხალი განჭვრეტით იწყებს. თავისი განვითარების პირველ საფეხურზე ადამიანი მხოლოდ ხელითა და თვალით (გრძნობის ორგანოების შემწეობით) მოქმედებდა. მისთვის მაშინ არსებობდა მხოლოდ “ეს ხე“, “ეს ქვა“ და ა.შ. მისთვის არსებობდა მხოლოდ ის საგანი, რომელსაც უშუალოდ ხედავდა თვალწინ. ადამიანის გამოცდილების გაღრმავების შედეგად განვითარდა მისი ტვინიც, რამაც შესაძლებელი გახდა ადამიანს “ამ ხეში“ საერთოდ “ხე“ დაენახა, “ამ ბალახში“ - “ბალახი“, “ამ ქვაში“ - “ქვა“ და სხვა, ე.ი. შესაძლებელი გახდა ზოგადი ცნებითი აზროვნების დაწყება. აზროვნება, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, აბსტრაქტულია (ცნებითია), მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ადამიანმა შეძლო ცნებითი აზროვნება, ფართო გზა გაეხსნა აგრეთვე ფანტაზიას, რომელიც რელიგიის



წარმოშობის მნიშვნელოვანი მომენტი.

რელიგიური რწმენის ფსიქოლოგიური არსი ის არის, რომ იგი ასახვის ემოციური ფორმაა. იგი არ იძლევა რეალური სამყაროს სწორ სურათს, ობიექტურს ცვლის სუბიექტურით, ფანტასტიკური სახეების წყალობით ქმნის ილუზიას. ფანტაზიის საშუალებით იქმნება ისეთი წარმოდგენები, რომლებიც ადრე ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებაში არ შედიოდა.

რელიგიის ფესვები მხოლოდ ადამიანის აზროვნების თავისებურებებში, შემეცნების პროცესის ცალკეული მხარეების გაზვიადებაში ან მეცნიერების განვითარების დაბალ დონეში როდი მდგომარეობს. იგი აგრეთვე ადამიანის გრძნობებში და ემოციებში იმალება.

რელიგიური შეხედულებების წარმოშობას უთუოდ უწყობს ხელს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა და ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სავსებით გასაგებია, როდესაც რელიგიის ბევრი მკვლევარი მას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. ასოციაციები, შიში, სიხარული, გაჯავრება, მოლოდინი და სხვა გრძნობები ბევრ შემთხვევაში იქცევა რელიგიის მასაზრდოებელ მომენტებად. ამას გვიჩვენებს მრავალი ფაქტი რელიგიის ისტორიაში.

რომაელი პოეტი სტაციუსი ამბობდა: “შიშმა შექმნა ღმერთები”. შიში ის გრძნობაა, რომელიც ადამიანის უძლურებას, სისუსტეს გამოხატავს. პირველყოფილ ადამიანს აშინებდა ბუნების სტიქიური ძალები და ამის გამო მასში რაღაც უცხო ძალას ხედავდა: ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანს, ბუნების ძალების გარდა, აშინებს საზოგადოებრივი ძალებიც. შიში ის გრძნობაა, რომელსაც გარკვეულ შემთხვევაში, თუკი იგი აფექტამდე მივიდა, შეუძლია ადამიანს “დაანახოს” ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს. შიში თიშავს ადამიანს, აქვეითებს მის ნებისყოფას,

ხელს უშლის ნორმალურ აზროვნებას, რის გამოც ადამიანი ვეღარ ერკვევა შექმნილ ვითარებაში. ყველაფერი ეს ხელს უწყობს რელიგიის წარმოშობას.

რელიგიური შეხედულებების აღმოცენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ასოციაცია. შრომითი საქმიანობის პროცესში ადამიანი (მათ შორის პირველყოფილი ადამიანი) ხვდება საგნებს, მოვლენებს და ა.შ., რომლებიც მას მოაგონებს სხვა საგნებს, სხვა მოვლენებს და შესაბამისად ადამიანს ასოციაცია უჩნდება. მაგრამ ასოციაციების დროს ადამიანი მოვლენებს შორის ხშირად ამყარებს კავშირს, რომელიც სინამდვილეში არ არის, რაც იწვევს ცნობიერებაში არასწორი აზრების წარმოშობას. როცა პირველყოფილი ადამიანი ბუნების რომელიმე მოვლენას ან საგანს ადამიანურ თვისებას მიაწერს, ამით იგი აღმერთებს მას. ადამიანმა დაინახა საგანი, რომელმაც სრულიად შემთხვევით მოაგონა მას მეორე საგანი, მეორემ მესამე და ა.შ. რაკი ერთი საგანი ჰგავს მეორეს, მას პირველის თვისებაც უნდა ჰქონდეს. ამნაირად ადამიანის აზროვნება ასოციაციების გზით მიდის ზებუნებრივი ძალების აღიარებამდე.

სინამდვილის ცვალებადობისა და განვითარების პროცესს ადამიანი საკუთარი თვალთ ხედავდა, მაგრამ ვერ ხსნიდა მის გამომწვევ მიზეზებს, რაც ხელს უწყობდა იმას, რომ ბუნება მას რელიგიური თაყვანისცემის ობიექტად გადაექცია. ველური ხედავდა მზის ამოსვლასა და ჩასვლას, მაგრამ მან არ იცოდა ამის რეალური მიზეზი, რაც საკმაო პირობა იყო იმისათვის, რომ მზის ჩასვლასა და ამოსვლას, შიშისა და სიხარულის გრძნობით შეხვედროდა. მზე რომ მუდამ ერთ ადგილზე ყოფილიყო გაჩერებული, მას ადამიანი ყურადღებასაც არ მიაქცევდა და სხვა.

ამრიგად, ადამიანის უძლურება ბუნებისა და საზოგადოების სტიქიური ძალების წინაშე, ადამიანის შემეცნებითი უნარის

განვითარების დაბალი დონე, ადამიანის ემოციური მდგომარეობა-ასეთია რელიგიის ფესვები პირველყოფილ საზოგადოებაში.

## რელიგიის ადრინდელი ფორმები

გვაროვნული წყობილების პერიოდში, დაახლოებით 100 ათასი წლის წინათ ჩამოყალიბდა რელიგიის ადრინდელი ფორმები. ადამიანთა საწარმოო საქმიანობის განვითარების დაბალ საფეხურზე სხვა რელიგიურ წარმოდგენებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბუნების ძალების განსულიერებას, რომელიც ანიმისტური რწმენის სახით გაფორმდა, ამიტომ რელიგიის ერთ-ერთ ადრეულ ფორმად ანიმიზმი ითვლება.

ანიმიზმი ეს არის სულის თუ სულებისადმი რწმენა, იგი მსოფლიოს ყველა ხალხისათვის იყო დამახასიათებელი. მისი წარმოშობა განაპირობა პირველყოფილ ადამიანის ბნელმა, არასწორმა წარმოდგენებმა გარემომცველი ბუნების შესახებ. განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანს თავისი თვისება და უნარი გადაჰქონდა მის გარეთ არსებულ მატერიალურ ობიექტებზე, ანსულიერებდა მათ. საკუთარი ჩრდილი, წყალში დანახული საკუთარი სახე, სიზმარში ნანახი მისი ორეული და ა.შ. მას რეალურად ჰქონდა წარმოდგენილი. მსგავს მოვლენებზე დაკვირვების შედეგად იგი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ იგი ერთი კი არა, ორია, რომელთაგან ერთს- სულს განსაკუთრებულ უნარს მიაწერდა. პირველყოფილი ველური თანდათანობით მიდიოდა სულის უკვდავების რწმენამდე, ამასთან, სულიერი თვისებებით წარმოადგინა მან მთელი მატერიალური სამყარო. სულის უკვდავების რწმენას თანდათან მოჰყვა ქვეყნის სააქაოდ

და საიქიოდ გაყოფის რწმენა, რომელიც შემდეგში ყველა რელიგიის ერთ-ერთ ცენტრალურ იდეად გადაიქცა. ანიმისტურმა რწმენებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თანამედროვე რელიგიებში სხვადასხვა ღმერთის, ანგელოზის, დემონის და სხვათა სახით.

რელიგიის ადრინდელი ფორმებიდან ცნობილია ასევე **მაგია**. იგი არის ყველა რელიგიის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი, რომლის მიხედვით ადამიანსა და სხვა საგანს შორის არსებობს ისეთი რაიმეც, რომლითაც შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა. მაგია არის გარკვეულ მოქმედებათა სისტემა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქმიანობასთან. პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით ცნობილია მაგიის სხვადასხვა სახე: კერძოდ, დამცველი მაგიის მიზანია გარეშე ძალით ავი ზემოქმედებისაგან თავის დაცვა, საზიანო მაგიის მიზანია ზიანი მიაყენოს მტერს; სამედიცინო მაგია სხვადასხვა შელოცვითა და ექიმბაშური ხერხებით ადამიანის გამოჯანმრთელებას ემსახურება; საომარი მაგია ბრძოლაში წარმატებებისათვის არის გათვალისწინებული და ა.შ. მაგიური მოქმედებანი, რომლებიც ადამიანის უძლურებამ განსაზღვრა ჩვენს დრომდე შემორჩა სხვადასხვა სახით. მაგია, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა თანამედროვე რელიგიაში.

რელიგიის ერთ-ერთ უძველეს ფორმად ითვლება ფეტიშიზმი. იგი არის სხვადასხვა უსულო საგნების თაყვანისცემა, რომელთაც ზებუნებრივი თვისებები მიეწერებათ. მან გარკვეული ევოლუცია განიცადა, მაგრამ სხვადასხვა სახით შემორჩა თითქმის ყველა რელიგიას. ფეტიშიზმი შეიძლება იყოს ნებისმიერი მატერიალური საგანი-ქვა, ხე ან საგანი, რომელსაც ადამიანის ფანტაზიით რაღაც ფორმა ეძლევა. ფეტიშიზმის, ისე როგორც რელიგიის ყველა სხვა ადრინდელი ფორმის



საფუძველი ბუნების წინაშე ადამიანის უმწეობა იყო.

ადრინდელი რელიგიის ფორმებს შორის ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენა **ტოტემიზმი** იყო. იგი ადრეული გვაროვნული საზოგადოების რელიგიაა, რომელშიც თავისებური სახით აისახა ამ პერიოდის საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ტოტემიზმის თანახმად, ადამიანსა და მის გარეთ არსებულ საგნებს (ცხოველი, მცენარე ან სხვა საგანი) შორის არსებობს სისხლით ნათესაური კავშირი. ამიტომ ადამიანთა შორის არსებული ყველა კავშირიც ამ ნიშნით განისაზღვრება. ტოტემური რწმენის თანახმად, ადამიანის უძველესი წინაპარი იყო რაღაც ფანტასტიკური, ნახევრად ადამიანი, ნახევრად მცენარე ან ცხოველი, ამიტომ ტოტემი გვარის წინაპრად ითვლება და მის მიმართ ადამიანები პატივისცემით არიან განწყობილნი. ტოტემურ საგანზე არსებობს მკაცრი ტაბუ-მისი მოკვლა, ჭამა იკრძალება. ტოტემიზმის მიხედვით ასევე იკრძალება ერთი ტოტემის წევრთა შორის შეუღლება, სქესობრივი კავშირები. ტოტემიზმი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეურნეობის ისეთ ფორმებთან, როგორიცაა მეცხოველეობა და მონადირეობა. ადამიანებმა მათთვის სასარგებლო ცხოველები და მცენარეები რელიგიური კულტის ობიექტებად აქციეს. ტოტემიზმში ასახვა პოვა არა მარტო პირველყოფილი ადამიანის სამეურნეო ცხოვრების პირობებმა, არამედ მისმა საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისებურებებმა.

### ქართველთა წარმართობა

ქართველმა ხალხმა, არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, გაიარა რელიგიური რწმენების ყველა ის



საფეხური, რაც მსოფლიოს სხვა ხალხმა, რამდენადაც ეს ისტორია, მიუხედავად გარკვეული სპეციფიკისა, მსოფლიო ისტორიის კანონზომიერ ჭრილში თავსდება. ქართველი ხალხი თავისი განვითარების უძველეს პერიოდში ბუნებასთან არსებობისათვის, მძიმე ბრძოლაში ქმნიდა რელიგიურ შეხედულებათა სისტემას, რომელიც ამ ბრძოლის გამოხატულება იყო.

ქართველ ხალხს უძველესი დროიდან ჰქონდა ურთიერთობანი სხვადასხვა მეზობელ ქვეყნებთან, რომელთა ზნე-ჩვეულებანი, რელიგიური სარწმუნოება და ცხოვრების წესი თავისებურ გავლენას ახდენდა მათ ცხოვრებაზე.

ქართული წარმატობის დახასიათების დროს არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის საყურადღებო ფაქტი, რომ ამ პერიოდის თითქმის ყველა ღვთაებას რაღაც მიმართება, კავშირი აქვს ქართველი ხალხის ცხოვრების პირობებთან.

საქართველოში უძველესი დროიდან შეიმჩნევა ანიმისტური რწმენების, მაგიური პრაქტიკის, ფეტიშიზმისა თუ ტოტემიზმის ნიშნები. ამას ადასტურებს მდიდარი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა, მითოლოგია და ფოლკლორი. ბუნების ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის ზებუნებრივი სახით წარმოდგენასთან ერთად ქართველთა ცალკეულ გვარს, ტომს, თემს თავისი საკუთარი მფარველი ღმერთი ჰყავდა. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამასთან ერთად, ამ უძველეს ხანაში ქართველ ტომებს წარმართულ პანთეონში ერთი საერთო ღმერთიც ჰყავდათ. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, “როგორც ეხლაცაა თითოეულს თემს ჰყავს საკუთარი ხატი, გარდა საზოგადო ხატისა,... რომლის სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს კისრად, ისე უძველეს დროსაც, უეჭველია, უნდა ყოფილიყვნენ ყველა ტომთათვის, საზოგადო ღვთაებანი და ამასთანავე თითოეულ ტომს,

საკუთარი ღვთაებანიც ეყოლებოდა. თანდათან დროთა განმავლობაში ვაერთიანების, ან ერთ-ერთი ტომის გაძლიერების დროს, ზოგიერთი საკუთარი ღვთაებანი საზოგადოდა ხდებოდნენ“. (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თბ., 1960, გვ. 39.)

როგორც ირკვევა, უძველეს პერიოდში ქართველები ბუნების სხვა ძალებთან ერთად, განსაკუთრებულ პატივს მნათობებს სცემდნენ. მაგრამ მნათობებიდანაც გამოყოფილი იყო უზენაესი, მორიგე ღმერთი მთვარის სახით. “ახლა შეიძლება ითქვას, კარგად არის გარკვეული, რომ იმ დროს ქართულ წარმართულ პანთეონს სამეული მეთაურობდა. პირველი მათგანი უფროსად მიჩნეული უზენაესი ღმერთი იყო, მეორე ქალღმერთი მზე ან მზექალი, ხოლო მესამე-კვირია. უზენაესი ღმერთი ან მორიგე ღმერთი პანთეონსაც ედგა სათავეში და ცხადია-სამეულსაც“. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 661.)

სოციალური ცხოვრების შემდგომ საფეხურზე მოხდა ზოგიერთი ცვლილებანი რწმენის სფეროში, რაც წარმართული პანთეონის მეთაური ღმერთის მთვარის ახალი სახელით გამოვლენაში გამოიხატა. უკვე ამ პერიოდისათვის მთვარე ქართლში არმაზის სახელით მოიხსენიება, რომელიც “ქართველთა ეროვნულ ღვთაებადაც“ კი არის მიჩნეული. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის დროს მისი ყველაზე ძლიერი მტერი აქ არმაზი იყო და ცხადია გამარჯვებისათვის ბრძოლა ქრისტიანობას არმაზის მსხვრევით უნდა დაეწყო. ეს მართლაც ასე მოხდა. ქრისტიანობამ განდევნა არმაზის სახელი, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა წარმართი ქართველის შეგნებიდან განდევნათ უძველესი და უზენაესი ღვთაების მთვარის რწმენა. ამიტომ მისი ადგილი ქართველებისათვის წმინდა გიორგიმ დაიკავა.

როდესაც ქრისტიანობამ "არმაზი" განდევნა ქართული პანთეონიდან-ნამდვილად კი-განიდევნა სახელი ღვთაებისა "არმაზი", ხოლო მთვარის თაყვანისცემა, როგორც უზენაესი მორიგე ღმერთისა, მამამღმერთისა, ძალიან დიდხანს შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა, ოღონდ უკვე "წმინდა გიორგის" სახითა და სახელით. ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგიმ ძველი, წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების-მთვარის ადგილი დაიკავა". (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I. თბ., 1970, გვ.669.)

ქართულ წარმართობასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ განსაკუთრებით მისი სიმტკიცე და სტაბილურობა. ძნელი არ არის დავინახოთ, რომ თექვსმეტი საუკუნის ქრისტიანულმა ისტორიამ საბოლოოდ ვერ ჩაკლა წარმართობისდროინდელი შეხედულებანი. ქრისტიანობამ თვითონ წმინდა გიორგი გამოიყენა გზის გასაკაფავად. ქრისტიანულ ტაძარში მან შესასვლელში გამოხატა თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი ავსულს რომ ებრძვის. დიდი ხნის მანძილზე ეკლესიაში ადამიანი დადიოდა უფრო წმინდა გიორგის თაყვანსაცემად, რამდენადაც მის ისტორიასთან, მის სულთან უფრო ახლოს იდგა ბოროტებასთან მებრძოლი, აქტიური, სიცოცხლისუნარიანი წმინდა გიორგი.

ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებებს მჭიდრო კავშირი აქვთ იმდროინდელ საქართველოს ყოფასთან, ეკონომიკურ-სამეურნეო ცხოვრებასთან. საქართველო, როგორც ისტორია დამაჯერებლად გვეუბნება, არის უძველესი ქვეყანა, რომელიც ადრეულ პერიოდში ეზიარა კულტურასა და ცივილიზაციას. მდიდარი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალები ამის უტყუარ საბუთს იძლევა.

ქართული წარმართული რელიგიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს ამ პანთეონის ღვთაებათა



ანთროპომორფული ხასიათი წარმოადგენს. ამ ნიშნის მიხედვით ქართული წარმართული ღვთაებანი განსხვავდებიან სხვა მეზობელი ხალხის მსგავსი ღმერთებისაგან, რომელთათვისაც თითქმის უცხოა ადამიანური სახე და ხასიათი და უფრო მეტად, სიმბოლური ნიშნებით გვევლინებიან. ქართლის ცხოვრებაში მითითებულია, რომ წმინდა ნინომ ნახა ღმერთი - სპილენძისაგან გამოქანდაკებული კაცი სხვადასხვა საჭურვლით. ა. აფაქიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ: "ვანის ანტიკური ნაქალაქარის თხრისას 1947 წელს აღმოჩენილია ძვ.წ. III ს. სამარხი, რომელშიც დაკრძალული აღმოჩნდა რკინისაგან გამოხატული მამაკაცი, შემკული ოქროს საყურეებით, ყელსამკაულით და კილიტებით. შესაძლოა, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს ანთროპომორფული რკინის კერპის - ღმერთის საკულტო დაკრძალვასთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თვით რკინის ანთროპომორფული კერპის აღმოჩენა. იგი გვიჩვენებს, რომ ფარნავაზის ხანაში ღვთაებათა ქანდაკოვანი გამოსახულებანი სრულიადაც არ არის წარმოუდგენელი რამ საქართველოსათვის". (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1970, გვ. 667.). საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მსგავსი მასალები ქართულ წარმართულ პანთეონს წარმოადგენს როგორც ორიგინალურს, რომელიც ნათელს ფენს ერის ისტორიის ბევრ სხვა საკითხსაც.

## თანამედროვე ნაციონალური რელიგიები

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას ასრულებენ ამა თუ იმ ხალხის ეროვნული რელიგიები. რა ისტორიულ პირობებში აღმოცენდნენ ეს რელიგიები, როგორია მათი გავრცელების არეალი, რა ცვლილებები

განიცადეს მათ, როგორია მათი სპეციფიკური ნიშნები და გამოვლენის ფორმები თანამედროვე პირობებში?

ეროვნული რელიგიები კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდში წარმოიშვნენ. მათთვის დამახასიათებელია თავისი ხალხის მფარველი ღმერთების თაყვანისცემა, მსხვერპლისშეწირვის რთული წეს-ჩვეულებანი და კულტის მსახურთა განსაკუთრებული კასტის არსებობა.

ერთ-ერთ უძველეს ეროვნულ რელიგიას წარმოადგენს ინდუიზმი. იგი ადრეულ შუა საუკუნეებში გაფორმდა ძველი ვედური და ბრაჰმანისტური რელიგიური სინკრეტიზმის საფუძველზე. სწორედ ამ რელიგიებიდან შეითვისა მან, ერთი მხრივ, უხეში მსხვერპლთშეწირვისა და მისტიციზმის ელემენტები და, მეორე მხრივ, მკაცრი ვეგეტერიანიზმი და ასკეტიზმი. ამ რელიგიის მიხედვით სინამდვილეში არსებობს ადამიანთა უთანასწორობა და მისი დაძლევა შეუძლებელია. ადამიანი ბედნიერებასა და თავისუფლებას აღწევს სიკვდილის დაუსრულებელი რიგის გავლის შემდეგ. არსებობს ე.წ. მისაგებელი-კარმა, ანუ მოძღვრება ადამიანის მომავალი გარდასახვის წინასწარგანზრახულობის შესახებ. ინდუიზმის ეს პრინციპები ამართლებდა იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების შინაარსს. იგი ამართლებდა საზოგადოების დაყოფას კასტებად და კასტურ უთანასწორობას მუდმივ მოვლენად აცხადებდა. ინდუიზმისათვის დამახასიათებელია რთული წეს-ჩვეულებები. ინდუისტურ ტაძრებში ღმერთების ქანდაკებებს ამკობენ ყვავილებით, მსხვერპლად წირავენ მცენარეებსა და ცხოველებს. არსებობს ბოროტი და კეთილი ძალების რწმენა. თაყვანს სცემენ წმინდა ცხოველებს (ძროხა). რელიგიური კულტის მსახურებია ქურუმთა კასტა და ა.შ.

ეროვნული რელიგიებიდან აღსანიშნავია *კონფუციულობა*, რომელიც ჩინეთშია გავრცელებული. ამ რელიგიის შექმნას



უკავშირებენ ძველი ჩინელი მოაზროვნის კონფუციის სახელს, რომელიც ჩვ.წ. აღრიცხვამდე VI-V სს. ცხოვრობდა. კონფუციის ცნობილია როგორც განვითარებული ეთიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების ავტორი. ამ მოძღვრებაში განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული ჰუმანიზმის იდეებს, ანუ უფროსი ადამიანებისადმი პატივისცემას, ერთგულებასა და სიყვარულს. ეს იდეები საბოლოო ანგარიშით არსებული წესწყობილების გამართლებას ემსახურებოდა. კონფუციის ეთიკურმა სისტემამ უდიდესი გავლენა მოახდინა და მისი სიკვდილის შემდეგ მის სახელს განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებენ. II-I საუკუნეებში კონფუციელობა ჩინეთში გაბატონებულ რელიგიად გადაიქცა, კონფუცი რელიგიური კულტის ობიექტი გახდა. მის პატივსაცემად მრავალი ტაძარი იქნა აგებული. მაგრამ, რა თქმა უნდა, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ კონფუციელობა, როგორც რელიგია და კონფუცი, როგორც ისტორიული პიროვნების ეთიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება.

ამავე პერიოდის ჩინეთის ეროვნულ რელიგიას მიეკუთვნება **დაოსიზმი**, თავდაპირველად იგი იყო ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის ფუძემდებლად ასახელებენ ძველ ჩინელ ფილოსოფოსს ლაოძის. ეს მოძღვრება მატერიალიზმისა და დიალექტიკის ელემენტებს შეიცავდა და სამყაროს ღვთაებრივ წარმოშობას უარყოფდა. ამასთან ერთად, თავის სოციალური პრინციპებით იგი ჩაგრულთა ინტერესებს გამოხატავდა, მიმართული იყო მდიდართა წინააღმდეგ, ღარიბ-ღატაკთა საყოველთაო სიყვარულს ქადაგებდა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ჩინეთში უაღრესად მწვავედება კლასობრივი ბრძოლა. გაბატონებული ზედა ფენის იდეოლოგიურ გამართლებას ემსახურებოდა კონფუციელობა. ასეთ პირობებში იქმნება ახალი რელიგიური, დაოსთა სექტა, რომელშიც ერთიანდებიან არსებული წყობილებით უკმაყოფილო

ელემენტები. სექტა გამოდიოდა კონფუციელობის წინააღმდეგ. ფილოსოფიურმა დაოსიზმმა მიიღო რელიგიური შინაარსი, ჩამოყალიბდა მოძღვრება საიქიო ცხოვრების, უკვდავების შესახებ, შეიქმნა ბოროტი სულების, მაცდური ძალების შესახებ დოგმები, დამუშავდა შელოცვებისა და წყევლის გარკვეული თეორია და პრაქტიკა, შედგა ღვთაებათა მთელი ჯგუფი, რომელთაც სხვადასხვა ფუნქცია აკისრიათ. შუა საუკუნეებში, როცა საბოლოოდ გაფორმდა დაოსიზმი, მასში მთავარი ადგილი დაიკავა შამანობის, ჯადოქრობის, ასტროლოგიის, მკითხაობის სხვადასხვა სახემ. ამგვარად, ეს რელიგია ხალხის რეგულირების საშუალებად და გაბატონებული კლასების მოხერხებულ იდეოლოგიურ იარაღად გადაიქცა.

ეროვნული რელიგიების ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე სინტოიზმი. იგი წარმოიშვა იაპონიაში შუა საუკუნეებში, მას საფუძვლად დაედო იაპონური ტომობრივი კულტები, რომელთა დამახასიათებელი თავისებურება იყო სხვადასხვა სულებისადმი რწმენა. ეს რელიგია იაპონიის სახელმწიფო რელიგიად მე-19 საუკუნეში გადაიქცა. სინტოიზმი ასაბუთებს საიმპერატორო ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობას და ამგვარად ემსახურება არსებულ წეს-წყობილებას. თუმცა 1947 წლის კონსტიტუციით იგი გათანაბრებულია სხვა რელიგიებთან, მაგრამ დღემდე გრძელდება მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა მისი ძველი უფლებების აღდგენისათვის.

ერთ-ერთ უძველეს რელიგიას **ზოროასტრიზმი** წარმოადგენს, რომელიც მეორე ათასწლეულში წარმოიშვა შუა აზიისა და ამიერკავკასიის ნაწილში. ამ რელიგიის დამაარსებლად მიჩნეულია ლეგენდარული ზარატრუსტა. ზოროასტრიზმის ძირითადი დებულება არის ორი საწყისის - კეთილისა და ბოროტის შესახებ მოძღვრება. ამ რელიგიის მიმდევრები თავყვანს სცემენ ცეცხლს, მათ სწამთ სულის



უკვდავება, საიქიო ცხოვრება, ზოროასტრიზმის წმიდა წიგნს ავესტა ეწოდება. VII საუკუნიდან ეს რელიგია ინდოეთში გავრცელდა პარსიზმის სახელით. ამ რელიგიას მიეკუთვნებიან აგრეთვე იეზიდები.

VI საუკუნეში ინდოეთში წარმოიშვა რელიგია, რომელიც ჯაინიზმის სახელითაა ცნობილი. ამ რელიგიის სახელი მისი დამაარსებლის-ჯინას სახელთანაა დაკავშირებული. ჯაინიზმი მიმართული იყო ბრაჰმანიზის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ხსნა შესაძლებელია ყოველი ადამიანისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება ის.

XV საუკუნეში ინდოეთში გავრცელდა თავისებური პროტესტანტული სექტა **სიქიზმი**. იგი მონოთეისტური რელიგიაა, არ ცნობს სამღვდლოებას, უარყოფს კოლექტიურ ღვთისმსახურებას. იგი იბრძვის კასტური დაყოფის წინააღმდეგ და ადამიანთა თანასწორობას ქადაგებს.

## თანამედროვე მონოთეისტური რელიგიები

თანამედროვე მონოთეისტურ რელიგიებს მიეკუთვნება იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ამ რელიგიების შედარებითი ანალიზი, მათი შეფასება და ურთიერთკავშირი, შესაბამისი რელიგიური ლიტერატურის გაცნობა და მათი მეცნიერული ანალიზი, ბევრ საკითხს ფენს შუქს.

თანამედროვე რელიგიების საერთო ნიშანი მონოთეიზმია, ხოლო მონოთეიზმში იგულისხმება რელიგიური სისტემები, სადაც წინა პლანზეა წამოწეული ერთი ღმერთის რწმენა. მონოთეისტურ რელიგიებში ჩვენ ვხვდებით სამყაროს შემოქმედი ერთი ღმერთის იდეას, რომელიც თითქოს მთლიანად გამორიცხავს ბუნებრივ თუ პოლითეისტური რელიგიების





ელემენტებს.

სინამდვილეში ტერმინი “მონოთეიზმი“, ერთი შეხედვით პირობითი შინაარსის შეიძლება მოგვეჩვენოს, რამდენადაც მონოთეიზმში ღმერთი პოლითეიზმისაგან განსხვავებით გვევლინება როგორც ყოვლისმომცველი ძალა, რომლის საზღვრები დაუდგენელია, მაგრამ არცერთ მონოთეისტურ რელიგიაში ერთი ღმერთის იდეა არ არის ბოლომდე თანმიმდევრობით მიყვანილი. მაგალითად, იუდაიზმში ერთი ღმერთის გვერდით არის მრავალი თაყვანისცემის ობიექტები, მამაღმერთი და ანგელოზები, წინასწარმეტყველები და წინაპრები, დემონები და ა.შ. ქრისტიანობაში ერთი ღმერთი სამი სახით გვევლინება - მამაღმერთის, ძეღმერთისა და სულიწმიდას სახით. ამასთან ერთად, ქრისტიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღვთისმშობელს, ანგელოზებს, წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, წმინდანებს, დემონებს. ასევეა ისლამშიც, სადაც მრავალრიცხოვანი წინასწარმეტყველების, მოციქულების, ანგელოზების, დემონების რწმენა გამორიცხავს ძირითად დოგმას - “არ არის ღმერთი ალაჰის გარდა“. თუმცა ყველა თანამედროვე რელიგიის გაცნობა, მისი წარმოშობის მიზეზების ახსნა, მათი როლი და ადგილი თანამედროვე პირობებში ნათლად უჩვენებს ამ რელიგიების თავისთავადობას და არსებით განსხვავებას ბუნებრივი თუ პოლითეისტური რელიგიებისაგან.

### იუდაიზმი

რელიგიური შეხედულებანი, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულში შექმნეს მომთაბარე ებრაელმა ტომებმა, ცნობილია იუდაიზმის სახელით. იგი ჩაისახა წარმოების

განვითარების დაბალ დონეზე, გვაროვნული წყობილების დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო კლასები. ისტორიული განვითარების მსვლელობაში, როცა გაჩნდა კლასობრივი საზოგადოება, ცვლილება განიცადა იუდაიზმშიც.

ბიბლიის თანახმად, ებრაელთა უძველესი და ერთადერთი რელიგია იყო მონოთეიზმი და ებრაელ ხალხს თავიდანვე ჰქონდა ერთი ღმერთის რწმენა. მაგრამ ებრაელთა უძველესი რელიგიის შესახებ არსებული მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათი მონოთეისტური რელიგია გვიანდელი განვითარების პროდუქტია. ასეთი რელიგია დიასპორებში აღმოცენდა. გვაროვნული წყობილების დროს არ იყო აგრეთვე მრავალღმერთიანობაც, იმ აზრით, რომ გარკვეული დასახელების ღმერთების რწმენა არ არსებობდა. ასეთი რწმენა, უფრო გვიან, გვაროვნული წყობილების რღვევის პერიოდში ჩაისახა.

ებრაელთა უძველესი რელიგიური შეხედულებანი არ იყო არც მონოთეიზმი და არც პოლითეიზმი. იგი წარმოადგენდა ანიმიზმისა და ტოტემიზმის ნარევს, რომელიც შემდეგში მონოთეიზმშიც შემორჩა.

ებრაელთა უძველესი ტომობრივი რელიგია გამოხატავდა ადამიანთა დამოკიდებულებას ბუნების შეუცნობელი ძალებისადმი. ეს რელიგია შეიცვალა XIII საუკუნეში ძვ.წ.-ით, როცა ებრაელთა ტომებმა დაიპყრეს პალესტინა. გვაროვნული წყობილების რღვევას და კლასობრივი საზოგადოების აღმოცენებას თან მოჰყვა ამ პროცესის შესაბამისი ასახვა იუდაური რელიგიის ახალ ფორმაში.

მონათმფლობელური საზოგადოების გაჩენის პერიოდში, ათასგვარი სულებისა და წინაპართა კულტის რწმენამ თანდათან დაუთმო ადგილი ჯერ ადგილობრივ და შემდეგ კი სახელმწიფო ღმერთებს. ბიბლიაში ღმერთი სხვადასხვა სახელით მოიხსენიება, კერძოდ ჩვენ ვხვდებით ასეთ დასახელებებს:

ელოჰა, ელოჰიმ, აღონაი, იაჰვე, საბაოთი. თუმცა ამ სახელებში ღმერთის კონკრეტულ დასახელებასთან არ გვაქვს საქმე, არ ვხვდებით პიროვნული ღმერთის იდეას.

თავდაპირველად ღმერთს თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა გვარისა და ტომის წევრები როგორც სულსა და დემონს. შემდეგში იგი გადაიქცა იუდას ტომის ღმერთად. გვიანდელ პერიოდში არსებობდა რწმენა, რომ მათი ღმერთის ძალა არ სცილდება პალესტინის საზღვრებს. უძველეს პერიოდში ღმერთი მიაჩნდათ ომის ღმერთად. მას მსხვერპლს სწირავდნენ და შესთხოვდნენ დახმარებას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ღმერთი, ჩვეულებრივად, წარმოდგენილია მრისხანე ცეცხლისა და ქარიშხლის სახით.

ამ პერიოდის რელიგიის კულტის მთავარი ნიშანი იყო მსხვერპლის შეწირვა, რაც ბიბლიაშიც აისახა.

მას შემდეგ, რაც ებრაელი ხალხი პალესტინაში დასახლდა, მათი ღმერთი კიდევ დიდხანს განაგრძობდა ადგილობრივი ღმერთის, კერძოდ, იუდას ღმერთის ფუნქციის შესრულებას. მაგრამ, როცა ებრაელთა ტომები თანდათან გაერთიანდნენ იუდას ტომის ხელმძღვანელობით, ერთმა ღმერთმა პირველი ადგილი დაიჭირა, სხვა ღმერთების ატრიბუტები შეიძინა, ის ხდება მოსავლიანობის ღმერთი, ხელოსნობის წინამძღოლი, ომში მფარველი, ვაჭრობის მომწესრიგებელი და ა.შ. სხვა ღმერთები მისი მსახურები და დაქვემდებარებულები ხდებიან. ეს იყო მნიშვნელოვანი მომენტი ებრაულ მონოთეიზმზე გადასვლისა. იგი დაკანონდა, როცა 622 წელს ძვ.წ. მეფე იოსიამ გამოსცა კანონი, რომლითაც აკრძალა ერთი ღმერთისათვის მსხვერპლის შეწირვა იერუსალიმის ტაძრის გარეთ და გააუქმა ყველა ღმერთის კულტი, გარდა ერთი ღმერთისა.

ძველი ებრაელების გადასვლა მრავალღმერთიანობიდან ერთღმერთიანობაზე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ

პალესტინაში შეიქმნა მონარქიული მონათმფლობელური იუდეა-ისრაელის სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა ერთმპყრობელი მონარქი.

ებრაელთა ღმერთის გადაქცევა მსოფლიო ღვთაებად, რომელიც ზოგადასაკაცობრიო ზნეობის მატარებლად გამოდის, იყო ახალი დოგმა, რომელიც ასახავდა ებრაელი ხალხის ისტორიაში მომხდარ ცვლილებებს. ახალ პირობებში ეროვნული ღმერთ-მფარველის იდეა უვარგისი გამოდგა. ღმერთი, რომლის ერთადერთ საქმეს თავისი რჩეული ხალხის მფარველობა შეადგენდა და რომელმაც ძალიან ცოტა რამ გააკეთა მისთვის, არ შეიძლებოდა პოპულარული ყოფილიყო ხალხში. ამიტომ გაჩნდა მოთხოვნილება ამ ღმერთის შეცვლის ან სრულყოფის შესახებ. ამას თან დაერთო ისიც, რომ ებრაელი ხალხი გაფანტული აღმოჩნდა იუდეას გარეთ და დასახლდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ეს გარემოება მოითხოვდა ღმერთს მსოფლიო ღვთაების ხასიათი მიეღო. ეს ახალი იდეები განვითარდა და გავრცელდა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამისათვის არსებობდა სერიოზული საფუძვლები ებრაელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მონოთეისტური ებრაული იუდაიზმი არ უნდა წარმოვიდგინოთ ისეთ მოვლენად, რომელიც აღმოცენდა თავისუფალ ადგილზე და არ განუცდია სხვა რელიგიების გავლენა. ჯერ კიდევ ადრე, პალესტინაში მოსვლის დღიდან ებრაული რელიგია განიცდიდა ქანაანელთა რელიგიის დიდ გავლენას, ხოლო უფრო გვიან, “ნაციონალური ღმერთის“ იდეის გამდიდრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ასირიულ-ბაბილონურ კულტურას. დემონებისა და “მესიამსხმელთა“ მოძღვრება ებრაულ რელიგიაში ნასესხები იქნა ქალდეური რელიგიებისაგან. იუდაიზმი დიდად არის დავალებული ბერძნული ფილოსოფოსიდან, სადაც მან იპოვა არა მარტო მდიდარი

მასალა ერთი ღმერთის ჩამოყალიბებისათვის, არამედ ამ ღვთაებად ეროვნული ღმერთის გადაქცევის მეთოდიც. სწორედ ბერძნულ ფილოსოფიას მივყავართ მოძღვრებადღე ერთიანი ღმერთისა და ადამიანის უკვდავი სულის შესახებ.

I საუკუნეში, მას შემდეგ, რაც რომაელთა მიერ საბოლოოდ იქნა განადგურებული იუდეია, დიდი გავრცელება მიიღო მესიანიზმმა. მისი წარმოშობა განპირობებული იყო ჩაგრულთა მძიმე მდგომარეობით. მას შემდეგ, როცა ჩაგრულთა მრავალგზის ბრძოლა განთავისუფლებისათვის ამაო გამოდგა, ფეხი მოიკიდა იდეამ, რომ განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოვა მხსნელი მესია, რომელიც სამართალს გააჩენს და ცოდვილთ დასჯის. ამ იდეამ რეალიზება ქრისტიანობაში ჰპოვა.

დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს არსებობის დროს ძირითადი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იერუსალიმის ტაძარი იყო. ებრაული სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ებრაელი ხალხი დასახლდა პალესტინის გარეთ, მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. ამრიგად, მათ დაკარგეს საკუთარი სამშობლო და იერუსალიმიც. ჯერ კიდევ ადრე, იუდაური სახელმწიფოს დაღუპვამდე აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში-ბაბილონში, ეგვიპტეში და სხვაგან განვითარდა მსხვილი ებრაული თემები. ამასთან დაკავშირებით, გაჩნდა მოთხოვნა კულტის ცენტრის დაარსების შესახებ-გაჩნდა პირველი ადგილობრივი სინაგოგები, სადაც რელიგიური რიტუალი ტარდებოდა. შემდეგში ასეთი სინაგოგები გავრცელდა და იგი დიასპორებად მყოფი ებრაელების რელიგიურ თავშესაყრელად გადაიქცა.

ებრაელი ხალხის ცხოვრების წესებს და კანონებს, სანამ ისინი პალესტინაში ცხოვრობდნენ და ახერხებდნენ დამოუკიდებლად არსებობას, ბიბლია განსაზღვრავდა, მაგრამ ებრაული სახელმწიფოს დანგრევისა და ქვეყნის გარეთ



დიასპორების წარმოშობის პირობებში იგი უკვე ცხელად გამოხატავდა შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში ზოგიერთი დებულება ახალ ვითარებაში მოძველებული აღმოჩნდა. ამიტომ საჭირო იყო ბიბლიის ახლებურად განმარტება, რასაც ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში მოჰკიდეს ხელი "მწიგნობრებმა", რომლებიც დიდ ტაძარში იყვნენ გაერთიანებულნი. მათ საფუძველი ჩაუყარეს ძველი აღთქმის ახლებურად ახსნას ე.წ. თალმუდს, რაც განმარტებას ნიშნავს.

ებრაელების რელიგიას პირობითად სამ პერიოდად ყოფენ. პირველ პერიოდს ბიბლიური იუდაიზმი ეწოდება და იგი მოიცავს XV-V საუკუნეებს. მეორე პერიოდი თალმუდისტური იუდაიზმის სახელითაა ცნობილი და ძვ.წ.ად. V-XV საუკუნეებს მოიცავს. იგი დიასპორაში მცხოვრები ებრაელების განწყობილებებს გამოხატავდა. მესამე პერიოდი ე.წ. რეფორმირებული იუდაიზმის სახით XV საუკუნიდან იწყება, როცა ყალიბდება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელიც გამარტივებულ და განახლებულ რელიგიას საჭიროებდა. იუდაიზმის ეს სამი საფეხური სამი პიროვნების სახელს უკავშირდება: ბიბლიური იუდაიზმი მოსე წინასწარმეტყველს, თალმუდისტური იუდაიზმი მოსე მაიმონიდს, რეფორმირებული იუდაიზმი მოსე მენდელსონს. მოსე წინასწარმეტყველმა კაცობრიობას ათი მცნება დაუტოვა, მოსე მაიმონიდემ რწმენის 13 სიმბოლო შექმნა, ხოლო მოსე მენდელსონმა ბიბლიური ლიტერატურა მსოფლიოს ყველა ხალხის გასაგებ ენაზე თარგმნას ჩაუყარა საფუძველი.

იუდაიზმი თავის მიმდევრებს მრავალ მოთხოვნებს უყენებს შესასრულებლად, რაც მართლდება ფორმულით: "მხოლოდ მკვდრები არიან თავისუფალნი მცნებათაგან".

იუდაიზმის მიხედვით, ამ რელიგიის ყველა მიმდევარი ებრაელები ძმები არიან და მათ შორის არ შეიძლება იყოს

რაიმე კლასობრივი ბრძოლა. ებრაელი ხალხის "რჩეულობის" ამ რელიგიურ იდეაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აღმოცენდა ნაციონალისტური მიმდინარეობა - სიონიზმი, რომლის თეორიამ და პრაქტიკამ დიდად განსაზღვრა ებრაელი ხალხის ბედი თანამედროვე მსოფლიოში.

ინტერესმოკლებული არ იქნება შევეხოთ საქართველოში ებრაელთა გამოჩენის ისტორიას. საქართველოში ებრაელთა დასახლებას უძველესი ისტორია აქვს. ამ ისტორიის ბევრი მომენტი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ახსნილი. ცნობილია, რომ ებრაელთა პირველი მოსვლა საქართველოში ძვ. წ. აღ. VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დანგრევის პერიოდში საქართველოში ებრაელთა მოსვლის შესახებ პირდაპირ მიუთითებს "ქართლის ცხოვრება": "როცა ნაბუქოდონოსორ მეფემან ააოხრა იერუსალიმი, იქედან დევნილი ებრაელები მივიდნენ ქართლსა და მოითხოვეს მცხეთელი მამასახლისისაგან მიწა ხარკითა, რომელმაც დაასახლა ისინი მდინარე არაგვის ზემოთ, რომელსაც ჰქვია ზანავი". (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 53.). საქართველოში უძველესი დროიდან ებრაელთა მოსვლისა და დასახლების შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით სომეხი ისტორიკოსების ნაწერებში. ჩვენს საუკუნეში მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი იქნა საფლავის ქვები ებრაული წარწერით, რომლებიც, დ. ხვოლსონისა და გ. წერეთლის მტკიცებით, ანტიკურ ხანას მიეკუთვნებიან. ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს ისტორიაში" მითითებულია, რომ წმინდა ნინოს მოსვლის დროს IV საუკუნეში საქართველოში ებრაელთა დიდი კოლონიები და უბნები არსებობდა და რომ წმინდა ნინომ ქალაქ ურბნისს "იხილა ერი, რომელიც ემსახურებოდა ქვათა, ძელთა და ცეცხლთა (ე.ი. წარმართი ქართველები) და შევიდა ებრაელების უბანში,



ესაუბრა მათ ებრაულ ენაზე და ქრისტიანობაზე მოაქცია ებრაელი მღვდელი აბიათარი და ქალი მისი სიდონია“. (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1885, გვ. 60.)

ქართველ ებრაელთა შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით V საუკუნის, შემდეგ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, ებრაელ მოგზაურთა აღწერებში და სხვა სახის მასალებში. ყველა ეს ცნობა თავისთავად ღარიბია და ვერ გვაძლევს საქართველოში ებრაელთა დასახლების სრულ სურათს, მაგრამ საყურადღებო ამ მასალებში ის არის, რომ ყველა ისინი ერთნაირად წარმოადგენენ ამ პროცესს და მათში თითქმის არ ვხვდებით რაიმე წინააღმდეგობებს. საქმე ის არის, რომ ებრაელებისათვის საქართველო ოდითგანვე მყუდრო თავშესაფრად ქცეულა. საქართველოში მოსული ებრაელები ადვილად შეგუებიან ადგილობრივ პირობებს, შეუთვისებიან ენა, ადათი და წეს-ჩვეულებანი. ეს კარგად ჩანს დღესაც ებრაული ქორწილის, ნიშნობის, ტირილის და სხვა წესების მგავსების მაგალითზე. იგი მოწმობს იმ მჭიდრო და ხანგრძლივ კულტურულ-სოციალურ კავშირს, რომელიც არსებობდა უძველესი დროიდან ქართველებსა და ებრაელებს შორის. ამითვე აიხსნება ისიც, რომ საქართველოში მოსახლე ამ ორი სხვადასხვა რწმენის მიმდევართა შორის ადგილი არ ჰქონია რელიგიურ და ნაციონალურ შუღლსა და მტრობას, რაც სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა გასულ საუკუნეში, “ებრაელები იშვიათად თუ სადმე შეთვისებიან სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეთვისნენ. ებრაელები საქართველოში არც ერთ იმ უფლებას არ იყვნენ მოკლებულნი, რაც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებული“. ქართველების მხრივ ამ დიდ სიკეთეს ებრაელებიც შესაფერისი სიყვარულით პასუხობდნენ. მთელი ისტორიის მანძილზე, საქართველოს ძნელბედობისას, თუ გამარჯვების





სიხარულის დროს ებრაელები ქართველების გვერდით იდგნენ და მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ; ისტორიამ ამის დამადასტურებელი ბევრი ამაღელვებელი მაგალითი შემოგვინახა.

ზოგჯერ კითხულობდნენ: როგორ მოხდა, რომ საქართველოში ებრაელები დევნას არ განიცდიდნენ, მაშინ, როცა ისინი აქ მოვიდნენ სრულიად უცხო სარწმუნოებით, რომელიც მიუღებელი იყო ადრე ქართული წარმართობისათვის, ხოლო უფრო გვიან ქრისტიანობისათვის. ხომ არ არის აქ რაიმე რელიგიური შემწყნარებლობა?

ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე წერდა: “საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, თუმცა ბევრი ებრაელი იყო, მაგრამ ისინი არამცთუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ქრისტიანობას, პირიქით, ნიადაგიც კი მოუმზადეს მას. პირველი პროზელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში პოვა და ისინი ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას, როგორც, მაგალითად, აბიათარი, სიდონია და სხვები. საერთოდ ებრაელები ისეთ პოლიტიკურ-კულტურულ ძალას არ წარმოადგენდნენ, რომ მათ შეძლებოდათ სახელმწიფოებრივი მეტოქეობა გაეწიათ. ამიტომ არც ქართველებს ქონდათ საბაზი, რომ მათ წინააღმდეგ დამოუკიდებელი პოლიტიკური თუ ლიტერატურული ბრძოლა ეწარმოებინათ”. (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, 1960, გვ. 476.)

იუდაიზმის ზოგიერთი დოგმა, განმტკიცებული საუკუნეების ტრადიციით, დღესაც განაგრძობს არსებობას. ებრაელ ხალხს აქვს დიდი ისტორია, მან მსოფლიოს მისცა ბევრი გამოჩენილი მოაზროვნე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ცივილიზაციის განვითარებაში.

## ბუდიზმი



ერთ-ერთ უძველეს მონოთეისტურ მსოფლიო რელიგიას წარმოადგენს ბუდიზმი. იგი წარმოიშვა ძვ.წ. VI ს. ინდოეთში და მალე გასცდა ამ ქვეყნის ფარგლებს. ძირითადი დებულება, რომელიც მან წამოაყენა, ასეთია: მთელი არსებულის საფუძველი არის მარადიული, შეუცნობელი სულიერი საწყისი, რომელიც იმყოფება აბსოლუტურ მყუდროებაში — “ნირვანაში”. ხილული მატერიალური სამყარო მხოლოდ ილუზიაა, მოჩვენებაა, ამ სულიერი საწყისის გამოვლენაა. ცხოვრება, რომელიც ამ მოჩვენებით ქვეყანაში მიმდინარეობს, ბოროტება და ტანჯვაა. ამიტომ ადამიანი მუდამ უნდა ცდილობდეს, რომ რაც შეიძლება მალე დაადწიოს თავი ამ ტანჯვის ქვეყანას. აქედან გამომდინარე, ბუდიზმი ქადაგებს ასკეტიზმსა და პასიურობას, იგი ადამიანს მოუწოდებს უარი თქვას ცხოვრების ყველა სიკეთეზე, დათრგუნოს ყველა სურვილი, რათა მიაღწიოს ხსნას — “ნირვანას”.

ეს ბუდისტური დოგმები, ისევე, როგორც ბუდიზმი საერთოდ, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ, დამოუკიდებელ რელიგიურ სისტემას. ბუდიზმის ძირები ინდური საზოგადოების წიაღშია, მისი სოციალური მიზნებები ინდოელი ხალხის ცხოვრების პირობებშია, მისი იდეოლოგიური ფესვები უძველეს რელიგიებშია გადგმული. წარმოიშვა რა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე, იგი დაუპირისპირდა ძველ რელიგიურ-იდეოლოგიურ სისტემებს, მაგრამ მან ხელაღებით როდი უკუაგდო ყველა მათი დებულება. პირიქით, მან უხვად გამოიყენა ძველი ვედური, ბრაჰმანისტული და ნაწილობრივ ჯაინისტური რელიგიების დოგმები, შეუფარდა ისინი ახალ პირობებს, შეალამაზა და უფრო გასაგები გახადა მორწმუნეთათვის.

ბუდიზმის შესახებ მრავალგვარი შეხედულება არსებობს. ჩვენამდე მოვიდა ბევრი მითი და ლეგენდა ამ რელიგიის წარმოშობის, მისი შემქმნელის, მისი დანიშნულების შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი ბუდიზმს განიხილავს არა როგორც რელიგიას, არამედ როგორც ფილოსოფიურ სისტემას. ზოგიერთის აზრით კი იგი "ათეისტურ რელიგიას" მიეკუთვნება. სინამდვილეში ბუდიზმის სახით ჩვენ საქმე გვაქვს თავისებურ რელიგიასთან, სპეციფიკური შეხედულებებითა და კულტით, რომელმაც გამარჯვებას მიაღწია, უმეტესად, თავისი გარეგანი ორგანიზაციით.

ბუდიზმი აღმოცენდა ინდოეთის ცენტრალურ ნაწილში და სწრაფად გავრცელდა ამ ქვეყნის გარეთ-ციელონში, ბირმაში, ტაილანდში, ჩინეთში, იაპონიაში, იავაზე, სუმატრაზე და სხვაგან.

ბუდიზმის წარმოშობა განპირობებული იყო გარკვეული სოციალ-ეკონომიკური ვითარებით. ძვ.წ. პირველ ათასწლეულში ინდოეთში და კერძოდ, განგის მიდამოებაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ადგილობრივი ტომების სამეურნეო ცხოვრებაში. ეკონომიკის საფუძველი ამ პერიოდში ძირითადად მიწათმოქმედება იყო, ხოლო მეცხოველეობას მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ხელოსნობაში მნიშვნელოვან განვითარებას აღწევდა ქვების, ხეებისა და ლითონების დამუშავება, აგრეთვე საფეიქრო საქმე. ადგილი ჰქონდა ვაჭრობასა და ქალაქურ წარმოებას, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებდა მონური შრომა.

აღნიშნული პერიოდი ხასიათდება შედარებით მსხვილი სახელმწიფოს შექმნით, რომელიც სპობდა ტომობრივ განსხვავებულობას და საფუძველს უყრიდა დესპოტიზმის განვითარებას. ბუდიზმის წარმოშობა საზოგადოების



ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების თავისებური ასახვა იყო. იგი გამოვიდა როგორც განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგია, რომელმაც პირველ რიგში შეზღუდა ადრეული მონათმფლობელური ტომობრივი პერიოდის რელიგია. მონათმფლობელური დესპოტიის შექმნამ დააჩქარა თავისუფალი მესაკუთრეებისა და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების გაჩანაგება. ამ პროცესს შედეგად მოჰყვა მანამდე ძლიერი ბრაჰმანების კასტის უფლებების შეზღუდვა, რომლის მეტოქედაც გამოდის ახალი კასტა-მეომრებისა.

ბუდიზმი, როგორც მეომართა კასტის რელიგია, როგორც მსხვილი მონათმფლობელური კლასის ინტერესების გამომხატველი, თავიდანვე დაუპირისპირდა ბრაჰმანიზმს. კასტური სისტემის წინააღმდეგ ბუდიზმმა წამოაყენა ძირითადი თეზისი ადამიანთა თანასწორობის. ეს თეზისი სინამდვილეში იყო თანასწორობის იდეა რელიგიური აზრით. ბუდიზმი ყველა ადამიანს პირდება თანასწორობას, ბედნიერებასა და ხსნას იმ ქვეყნად - "ნირვანაში". რაკი ადამიანთა ცხოვრების მოწყობა ამ ქვეყნად შეუძლებელია, ამიტომ ბუდიზმი გამორიცხავს სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის წარმოებას და ქადაგებს პასიურობასა და მოთმინებას. იგი თავის მიმდევრებს მოუწოდებს უარი თქვან საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნაზეც. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ამ მოძღვრების შინაარსი, იგი ბრაჰმანიზმთან შედარებით მაინც დადებითი მოვლენა იყო, რადგან მან კასტური წყობილების წინააღმდეგ გაბედულად აღიმართა ხმა, ხოლო ეს სისტემა ყველაზე დიდი ბოროტება იყო ინდური საზოგადოების განვითარების მთელ გზაზე.

ბუდიზმის გამარჯვება სხვა რელიგიურ მიმდინარეობებზე

განაპირობა იმან, რომ ძვ.წ. III ს. ინდოეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ერთ ძალაუფლებაში გაერთიანდა. მეფე აშოკმა ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რითაც მან ხელი შეუწყო ბუდისტური მოძღვრების გავრცელებას როგორც ინდოეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

თავისი წარმოშობისთანავე ბუდიზმი დაუპირისპირდა ძველ რელიგიებს, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებაში. VI საუკუნემდე ვედური ფილოსოფია და რელიგია გადატვირთული იყო ათასგვარი წესებით, რომელთა შესრულება მორწმუნებს რთულ მოთხოვნებსა და დიდ დროს ართმევდა. მათი შესრულება თითქმის შეუძლებელი იყო საშუალო შეძლების ადამიანისათვის. ბუდიზმმა გაამარტივა ეს წესები და ამით ადამიანი გაათავისუფლა უამრავი თავმოსაბეზრებელი საქმისაგან. ამან ბუდიზმს თავიდანვე მოუპოვა ავტორიტეტი.

ძველი ვედური და განსაკუთრებით ბრაჰმანისტული რელიგიები მეტად რთულ წეს-ჩვეულებებთან ერთად ხასიათდებოდნენ ფანატიკური ცრურწმენებით. ძველი ვედური ჰიმნები შეიცვალა ფორმულებით, რომელთაც ღვთიური ძალა მიეწერებოდათ.

მნიშვნელოვანი როლი ბუდიზმის გამარჯვებაში შეასრულა ბრაჰმანთა გაბატონებული მდგომარეობის შერყევამ. რელიგიური რიტუალების შეცვლის მოთხოვნასთან ერთად ხალხთა მასებში აღშფოთებას იწვევდა ბრაჰმან ქურუმთა შეუზღუდველი უფლებები, რომლებიც უსინდისო გამოძალვის გზით ყვლეფდნენ მათ. ბრაჰმანები აცხადებდნენ მონოპოლიას ჰიმნებზე და საერთოდ გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პირველად ისინი სახელმწიფო მმართველობასაც ახორციელებდნენ.

ბრაჰმანიზმთან შედარებით ბუდიზმი თავისებური

დემოკრატიულობით ხასიათდებოდა. ბრაჰმანთა პრივილეგიებს მან დაუპირისპირა ადამიანთა თანასწორობის იდეა და იქნა დაჯგუფებული ხსნა ყველასათვის. მან ბრაჰმანებს წაართვა ადამიანებსა და ღმერთებს შორის შუამავლის ფუნქცია. მან შექმნა მრავალრიცხოვანი ტაძრები და მონასტრები, სადაც ბრაჰმანების ნაცვლად ჩააყენა ბერები და ლამები. ბუდიზმმა მნიშვნელოვნად გაამარტივა წირვა-ლოცვის ჩატარების წეს-ჩვეულებანი. მან ძველი, ხალხისათვის გაუგებარი სანსკრიტული ენის ნაცვლად ლოცვები ხალხისათვის გასაგებ ენაზე დაიწყო, რამაც დიდად შეუწყო ხელი ბუდიზმის გავრცელებას.

ბრაჰმანიზმისაგან განსხვავებით ბუდიზმმა შექმნა პირობები, რომელიც მაგალითი იყო ყოველი ადამიანისათვის. ბუდა, როგორც ადამიანი და მასწავლებელი, და შემდეგ, როგორც წმინდანი და ღმერთი, ასეთი პიროვნების განსახიერება იყო. ასეთი იდეალური პიროვნების შექმნით ბუდიზმი გამოხატავდა ადამიანთა რეალურ მოთხოვნილებებს, თანასწორობისა და თავისუფლების შესახებ.

ბუდიზმის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა ეთიკურმა სისტემამ. ბუდიზმი აქაც დაუპირისპირდა ბრაჰმანიზმს. ბუდისტური ეთიკა - ეს იყო რელიგიური ეგოიზმიდან თანაგრძობისა და სიყვარულის პრინციპზე გადასვლა. ბრაჰმანი ხსნას ეძებდა მხოლოდ თავისთვის, ბუდისტი კი სხვისი ხსნისათვის ზრუნავდა. ბუდიზმის გამარჯვებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ იგი იყო მასობრივი სახალხო რელიგია, გამოხატავდა ჩაგრულთა ინტერესებს, გარეგნულად მათი ხსნისათვის იბრძოლა.

ამ დროს სოციალურ მიზეზებთან ერთად ბუდიზმი როგორც რელიგია საზრდოობდა წინამორბედი რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრებებით. იგი იყენებდა ძველ ინდურ ფილოსოფიურ და მითოლოგიურ შეხედულებებს. თავისებურ

ინტერპრეტაციას აძლევდა მათ. ბუდიზმი გამოდიოდა ბრაჰმანიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას მისგან აელო მთელი რიგი ძირითადი დოგმები. სწორედ ბრაჰმანიზმიდან შემოვიდა ბუდიზმში დებულება შეუცნობელი მსოფლიო სულის (ატმანა), როგორც ყველაფრის საფუძვლის შესახებ, მოძღვრება სულების გადასახლების შესახებ, ადრე არსებობის დროს ჩადენილი ცოდვებისათვის სამაგიეროს (კარმა) მისჯის შესახებ, უცოდველთა მსოფლიო სულთან შერწყმის შესახებ (ნირვანა) და ა.შ., ე.ი. ბუდიზმს ჰქონდა ღრმა სოციალური მიზეზები და იდეოლოგიური ფესვები, რომლებისგანაც შემდგომში შექმნა საკუთარი მოძღვრება, რთული კულტი და წეს-ჩვეულებათა სისტემა.

ბუდიზმის მიხედვით, ადამიანის ცხოვრება ბოროტება და ტანჯვაა, ხოლო ნამდვილი ნეტარება ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა უარყოფაშია. ამიტომ მისი უმაღლესი ზნეობრივი იდეალი არის მკაცრი ასკეტიზმი. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია იმ ბერებისა და ასკეტების სიმრავლე, რომლებითაც სავსეა მთელი ბუდისტური სამყარო. ეს ზნეობრივი იდეალი თავისი შედეგებით ადამიანს აძლევს იმედს საიქიოს-ნირვანას მიღწევის შესახებ.

ბუდიზმი თავიდანვე სინამდვილისადმი პასიურ დამოკიდებულებას ქადაგებდა და ამიტომ მისი მიმდევრები სახელმწიფოს მხრივ არასოდეს არ განიცდიდნენ დევნას. ადრეული ბუდიზმის აშკარა მტრები იყვნენ მხოლოდ ქურუმები, რომლებიც მმართველობაზე აცხადებდნენ პრეტენზიებს. ეს პრეტენზიები სავსებით გაუგებარი და მიუღებელი იყო სამეფო დინასტიისათვის. ბუდიზმი, როგორც რელიგია, ადგილობრივ ტომობრივ რწმენასთან და კულტთან ნაკლებად იყო დაკავშირებული და იგი შესაფერისი აღმოჩნდა მსხვილი მონათმფლობელური სახელმწიფოს შექმნისათვის.



ბუდისტური რელიგიის ფუძემდებლად გადმოცემას ასახელებს შაკიების მეფეთა გვარის შვილს გაუტარებელს, რომელმაც 29 წლის ასაკში მიატოვა მეფური ცხოვრება და მკაცრი ასკეტური ყოფით დაასრულა სიცოცხლე. სანამ არ იპოვა ჭეშმარიტება, ადამიანის ცხოვრების ნამდვილი აზრი, რომელიც ოთხი ჭეშმარიტების სახით ჩამოაყალიბა. ამის შემდეგ მას ეწოდა ბუდა- გასწივოსნებული.

ბუდისტური მოძღვრების ძირითადი დებულება ყოფიერებისა და ტანჯვის იგივეობაში გამოიხატება. “ადამიანის ცხოვრება ტანჯვა და უბედურებაა“-აცხადებს პირველ ჭეშმარიტებაში ბუდა. მეორე ჭეშმარიტებაში ბუდა ტანჯვის მიზეზს თვით ადამიანში ეძებს: “იტანჯები იმიტომ, რომ გაქვს მრავალი სურვილი და მოთხოვნილება“. მესამე ჭეშმარიტებაში ბუდა ადამიანს ურჩევს “გულში ჩაიკლას ყველა სურვილი და მოთხოვნილება“ თუ სურს არ იტანჯოს. მეოთხე ჭეშმარიტებით ბუდა ადამიანს ასწავლის გზას, თუ როგორ დაძლიოს სურვილები და მოთხოვნილებანი რვა საფეხურიანი ცხოვრების გზის გავლით. ეს საფეხურებია: ჭეშმარიტი ფიქრი, ჭეშმარიტი მისწრაფება, ჭეშმარიტი სიტყვა, ჭეშმარიტი ქცევა, ჭეშმარიტი ცხოვრება, ჭეშმარიტი მოძღვრება, ჭეშმარიტი ჭვრეტა, ჭეშმარიტი ჩაღრმავება. ეს ოთხი ჭეშმარიტება ბუდიზმის საფუძველია. ისე როგორც სხვა რელიგიები, ბუდიზმიც ადამიანის ცხოვრებას ორ ნაწილად ჰყოფს-სააქოლდ-სანსარად და საიქიოდ-ნირვანად. მაგრამ ამ მხრივ ბუდიზმი მაინც განსხვავდება სხვა რელიგიებისაგან. მაგალითად თუ სხვა მონოთეისტური რელიგიების მიხედვით სიკვდილის შემდეგ ხდება ადამიანის გადასახლება საიქიოში, ბუდიზმის თანახმად სიკვდილის შემდეგ საიქიოში-ნირვანაში მიდის მხოლოდ უმაღლესი კასტა ქურუმებისა-ბრამანები. დანარჩენი ადამიანები მანამ რჩებიან ამ ქვეყნად, სანამ საბოლოოდ არ განიწმინდებიან



ცოდვებისაგან. ცოდვები კი სამნაირია: ცოდვა ფიქრით, ცოდვა სიტყვით, ცოდვა საქმით. ამ ცოდვებისთვის დადამიანი სიკვდილის შემდეგ სხვა მდგომარეობაში მოევლინებიან ამ ქვეყანას. ეს წრებრუნვა გრძელდება მანამ, სანამ ადამიანი არ მიაღწევს უმაღლეს მდგომარეობას ბრამანთა სახით, რომლის შემდეგ ბადისვატების გავლის შემდეგ არ ჩაიძირება ნირვანაში. ე.ი. ბუდიზმის მიხედვით ადამიანის მდგომარეობა თავის თავზეა დამოკიდებული, იგი თვითონ ქმნის თავის ბედს. ბუდიზმმა ბრაჰმანიზმისაგან აიღო ე.წ. "მისაგებელის" დოგმა, რომელსაც კარმა ეწოდება, მაგრამ მან ეს დოგმა თავისებურად განმარტა. მისაგებლის გვერდით ბუდიზმი უშვებს ადამიანის პირად თავისუფლებას, რომელიც მის ქცევებში გამოიხატება და განსაზღვრავს მის მომავალს.

მეშვიდე საუკუნეში ბუდიზმში ჩაისახა ახალი მიმართულება ლამაიზმი, რომელიც ტიბეტში გავრცელდა. ეკლესიის მეთაურად ინიშნებიან ლამები. ძირითადი დებულებები ლამაიზმმა ბუდიზმიდან აიღო, მაგრამ კიდევ უფრო გართულდა რელიგიური კულტი.

ბუდიზმისათვის დამახასიათებელია გართულებული რელიგიური კულტი. იგი ეხება ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს-დაბადებას, ქორწინებას, დაკრძალვას; დიდი ყურადღება ექცევა ლოცვებს, თალისმანების რწმენას, სხვადასხვა დღესასწაულებს და ა.შ.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ბუდიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ძენ-ბუდიზმის სახელითაა ცნობილი. მას საფუძვლად უდევს რწმენა იმის შესახებ, რომ ჭკრეტისა და თვითჭკრეტის გზით შეიძლება გავიგოთ სამყაროს ნამდვილი არსი, ამასთან შეიძლება მივალწიოთ ბუდას მდგომარეობას. ბუდიზმის ეს ფორმა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს ამერიკისა და

გერმანიის ახალგაზრდობაში.



## ისლამი

ისლამი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული რელიგიაა მსოფლიოში. იგი გვხვდება პაკისტანსა და ინდოეთში, ინდონეზიასა და ავღანეთში, ირანსა და თურქეთში, არაბეთსა და აფრიკის დიდ ნაწილში, შუა აზიასა და აზერბაიჯანში, დაღესტანში, თათრეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ბაშკირეთში. საქართველოში ისლამს აღიარებს აჭარისა და აფხაზეთის მოსახლეობის და ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნებების მცირე ნაწილი. 1979 წლის მონაცემებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სსრ კავშირსა და ჩინეთს, მსოფლიოში ამ რელიგიას 800 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს. ამჟამად ეს რიცხვი გაცილებით მეტია, 1 მილიარდს აჭარბებს.

ისლამი წარმოიშვა VII საუკუნის დასაწყისში არაბეთში. ახალი რელიგიის წარმოშობა იყო იდეოლოგიური ასახვა იმ დიდი ისტორიული ცვლილებებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა არაბი ხალხის ცხოვრებაში გვაროვნული წყობილებიდან აღმოსავლურ ფეოდალიზმზე გადასვლის პერიოდში.

არაბეთის მოსახლეობა სემიტური ჯგუფის ხალხებს მიეკუთვნება. ქვეყნის ბუნებრივი დაყოფის მიხედვით ისინი სხვადასხვა პირობებში ცხოვრობდნენ და სხვადასხვანაირად ქმნიდნენ არსებობის აუცილებელ საშუალებებს. არაბ ტომთა შორის თავიდანვე დიდი განსხვავება იყო იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი-სანაპიროზე თუ უდაბნოში. სანაპიროს მცხოვრებნი, რომლებიც ნაყოფიერ ადგილებს დაეპატრონენ, ეწეოდნენ მიწათმოქმედებას და ვაჭრობას, აშენებდნენ ქალაქებსა და ნავსადგურებს წითელი ზღვის სანაპიროებზე



და სპარსეთის უბეში.

მწვავე სოციალური და ეკონომიკური წინააღმდეგობების ნიადაგზე არაბ ტომებში ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობამდე ჩაისახა არაბთა გაერთიანების იდეა, რომელიც პირველად წამოაყენეს წვრილმა ვაჭრებმა. მსგავსი იდეა მომწიფდა ხელოსან და მიწათმოქმედ არაბ მოსახლეობაში. დღის წესრიგში დადგა ყოველმხრივ ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელსაც შეეძლებოდა სავაჭრო საქმიანობისათვის მყარი მდგომარეობის შექმნა.

მწვავე სოციალურმა კონფლიქტმა, რომელიც თავიდან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში მიმდინარეობდა, თავისი გამოხატულება პოვა იდეოლოგიურ სფეროშიც. ძლიერი და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა ეწინააღმდეგებოდა ვიწრო ტომობრივი ცხოვრების ტრადიციულ წესს, რომელიც თავის გამართლებას არაბი ხალხის ძველ რელიგიურ შეხედულებებში პოულობდა.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობამ მოითხოვა ახალი იდეოლოგია. ისლამი წარმოიშვა როგორც იდეოლოგიური ასახვა იმ პროცესებისა, რომლებსაც მოჰყვა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვა.

არაბთა უძველესი რელიგიის ძირითადი შინაარსი ბუნების ძალების გაღმერთებაში მდგომარეობს. მაგალითად, მრავალრიცხოვანი ღმერთებიდან ჩვენ ვხვდებით შემსის (მზე), სონის (მთვარე), ალმაკარ (ვენერა) და სხვა სახელებს. მნათობების თაყვანისცემასთან ერთად არაბებში გავრცელებული იყო აგრეთვე ქვებისა და ხეების თაყვანისცემაც. არაბები განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენდნენ ქააბის ტაძარში მოთავსებული შავი ქვების მიმართ, რომლებსაც უფრო გვიან კიდევ უფრო მეტი რელიგიური მნიშვნელობა მიენიჭა.



მნათობების თავიანთსიცემა დაკავშირებული იყო არაბთა ცხოვრების პირობებთან. როგორც ცნობილია, ძველი არაბები მთელ თავიანთ ცხოვრებას ატარებდნენ ღია ცის ქვეშ, ბუნების წიაღში. ბედუინები შეეჩვივნენ მოციმციმე ციურ ცეცხლებს, რომლებიც “მუდამ ცოცხალი, მუდამ ლამაზი, მუდამ ახალგაზრდანი არიან”. მათ ბედუინები თვლიდნენ საიმედო თანამგზავრებად უდაბნოში. მნათობებზე ხანგრძლივი დაკვირვებისას ბედუინები ხედავდნენ, რომ მნათობები გარკვეული წესრიგით მოძრაობენ, რომ მათ მდებარეობასა და ცვლილებას შესაბამისი შედეგი მოსდევს ამინდის, წლის დროისა და სხვათა სახით. ამან ხელი შეუწყო ბედუინთა გონებაში მნათობების გაღმერთების წარმოშობას, მათ გაფეტიშებას.

უფრო გვიან, არაბ ტომთა გაერთიანებით გამოწვეულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა გარკვეული ცვლილებები გამოიწვია მათ რელიგიურ რწმენებშიც. მაგალითად, მანამდე ადგილობრივი მნიშვნელობის ღვთაება-ყველაზე ძლიერი ტომის-ყურეიშიტების ტომობრივი ღმერთი ალაჰი საერთო-საყოველთაო ღმერთად იქნა აღიარებული.

არაბეთში ღვთისმსახურების ცენტრი იყო მექა, რომელიც აგებულ იქნა ყურეიშიტების მიერ V საუკუნეში. მაგრამ ჯერ კიდევ მექას გაჩენამდე ამ ადგილას არსებობდა წმინდა ტაძარი ჭააბა, რომელიც არაბთა მრავალი ტომის საერთო პანთეონს წარმოადგენდა, თავიანთი კერპებითა და წმინდანებით.

ისლამის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აგრეთვე იუდაურმა და ქრისტიანულმა რელიგიებმა. ებრაელი ხალხი და მათი რელიგია არაბებისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. I საუკუნეში, არაბეთში ებრაელთა ფართო დასახლების შედეგად, არაბებმა თანდათან შეითვისეს იუდაური რელიგიის ზოგიერთი იდეა-ერთი ღმერთის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის, აღდგომის იდეა და ა.შ. ქრისტიანობამ არაბეთში

IV-V საუკუნეებში შეაღწია და განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში მოიკიდა ფეხი; ეს რელიგია არაბეთში ორი გზით შევიდა: სამხრეთიდან (აბისინია) და ჩრდილოეთიდან (სირია). რაც შეეხება იემენს, იქ ქრისტიანობა უფრო ადრეც არსებობდა. ამ რაიონებში ქრისტიანობამ ხელი შეუწყო პოლითეიზმის დაცემას. იორდანის აღმოსავლეთით ჰასანიდებმა მიიღეს მონოფიზიტური რწმენა, ხოლო მალე, ლახმიდებმა-ნესტორიანული ქრისტიანობა. მაგრამ ქრისტიანი არაბების რელიგიური განვითარება ნელი ტემპით მიდიოდა. ბიბლია ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე, მისი შინაარსი უცნობი იყო. ახალი რწმენის მიმდევრებმა იცოდნენ მხოლოდ ის, რომ ქრისტიანობა ეწინააღმდეგება წარმართულ რელიგიას, მის ღმერთებსა და კერპებს. გარდა ამისა, მაშინდელი ქრისტიანობა თავისი დოგმებით ნაკლებ მიმზიდველი იყო გონებამახვილი არაბებისათვის. სწორედ ამის გამო ქრისტიანობამ ვერ შეაღწია ცენტრალურ არაბეთში, სადაც მტკიცე იყო როგორც წარმართული რელიგია, ისე გვაროვნული წყობილება. მიუხედავად ამისა, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისლამის წარმოშობისა და ჩამოყალიბების საქმეში.

ისლამის წარმოშობაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ახალმა რელიგიურმა მოძრაობამ, რომელიც ხანიფიზმის სახელით არის ცნობილი. ეს მოძრაობა არაბი ტომების გაერთიანების პროცესის იდეოლოგიური ასახვა იყო და თავისი ძირითადი იდეით, რომელიც ერთი ღმერთის რწმენაში გამოიხატებოდა, მდიდარ მასალას აძლევდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ მუსულმანურ რელიგიას.

ხანიფიზმი წარმოიშვა მექაში VI საუკუნის ბოლოს და თავისი შინაარსით მესიანურ მოძრაობას წარმოადგენდა. იგი იმ სოციალური ფენების ინტერესებს გამოხატავდა, რომლებიც



გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებისაკენ მისწრაფოდნენ. ეს სოციალური ფენები ძირითადად საშუალო და წვერილი ვაჭრებისაგან შედგებოდა.

ხანიფიზმი იყო არაბთა ნაციონალური გრძნობის გამოხატულება რელიგიურ ფორმაში. ყურანში რამდენიმე ადგილას ნათქვამია, რომ მუსულმანები აბრამის მიმდევრები არიან, ხოლო “აბრაამ არც ურია ყოფილა, არც ქრისტიანი“.

ხანიფების მოძღვრება მარტივი და მისაღები იყო არაბებისათვის და თუ იგი მთელი არაბეთის რელიგია არ გახდა, ეს იმიტომ, რომ მას აკლდა საკუთარი დოგმატიკა, რელიგიური იერარქია და ორგანიზაცია, რელიგიური წესები.

ხანიფები მტკიცედ გამოდიოდნენ ადგილობრივი და ტომობრივი რელიგიების წინააღმდეგ და იბრძოდნენ ერთი ღმერთის რწმენის განმტკიცებისათვის, რაც შეესაბამებოდა არაბთა გაერთიანების იდეას. ხანიფები და წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ მხსნელის მოსვლას, ქვეყნის დასასრულის დადგომას და ცოდვებისაგან არაბების გაწმენდას.

ხანიფები თავიანთ თავს “ჭეშმარიტების მაძიებლებს“ ეძახოდნენ და არაბებს მოუწოდებდნენ მიეღოთ ერთი ღმერთის რწმენა, რომელსაც ხანიფები რახმანს უწოდებდნენ. გადმოცემის მიხედვით, მექელი ვაჭარი მუჰამედი სწორედ ხანიფიზმის მიმდევარი იყო.

ისლამის რელიგიის ფუძემდებლად ტრადიცია მუჰამედს აცხადებს. მუსულმანები მუჰამედს უდიდეს წინასწარმეტყველად და ღმერთის მოციქულად, ხოლო ბევრი აღმოსავლეთმცოდნე და ისლამის მკვლევარი ამ რელიგიის “დამაარსებლად“ თვლის, ბევრიც მას ისტორიულ პირად მიიჩნევს, მაგრამ ისლამის ისტორიაში ეს საკითხი დავას იწვევს, ბევრი მუჰამედს მითიურ არსებად თვლის და მის რეალურ არსებობას გამოირიცხავს. ზოგიერთის აზრით იგი იყო მატყუარა და ჯამბაზი, ხშირად მას

ხატავენ როგორც ერთ-ერთ კერპს და ა.შ. ახალი დროის ბევრი მკვლევარი მეორე უკიდურესობაში ვარდება და მუჰამედს თვლის “კოლოსალურ პიროვნებად”, “უდიდეს და განსაკუთრებულ ადამიანად, როგორც კი ქვეყნად ყოფილა”.

მუჰამედის ცხოვრების შესახებ ჩვენამდე მოაღწია ერთმანეთის საწინააღმდეგო და დაუჯერებელმა ცნობებმა. ჩვენთვის ცნობილი არ არის მუჰამედის მიერ დაწერილი არც ერთი სიტყვა, გადმოცემა მუჰამედს თვლის წერა-კითხვის უცოდინარ, გაუნათლებელ პიროვნებად და ყველა მის უნარს ღმერთის განგებას მიაწერს. შემონახული არ არის აგრეთვე რაიმე წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ მუჰამედის ცხოვრების პერიოდს მიეკუთვნება.

ერთადერთი წყარო, რომელიც მუჰამედთანაა დაკავშირებული, არის ყურანი. მის ავტორად ბევრი აღმოსავლეთმცოდნე მუჰამედს თვლის, მაგრამ ამ ნაწარმოებშიც არ მოიპოვება ბიოგრაფიული ხასიათის რაიმე სარწმუნო ცნობა. ბევრი მონაცემი, რომელსაც ყურანში ვხვდებით მუჰამედის შესახებ, გაუგებარია და ლეგენდარულ ხასიათს ატარებს, გადმოცემები მუჰამედის შესახებ მიეკუთვნება არა მის თანამედროვეებს, არამედ შემდეგი დროის მუსულმანებს და მხოლოდ მეტი დამაჯერებლობისათვის მიეწერება მას ან მის მახლობლებს.

ამ გადმოცემების საფუძველზე უკვე მერვე საუკუნეში შეიქმნა მუჰამედის პირველი ბიოგრაფია—“ცხოვრება ღმერთის მოციქულისა“, რომლის ავტორი მედინელი იბნ ისხაკია. ეს ნაწარმოები ჯერ კიდევ ადრე იყო შელამაზებული მითითური საღებავებით, ხოლო შემდეგში უფრო შეივსო ამ მხრივ. ამრიგად, ჩვენამდე მოაღწია მუჰამედის ნახევრად ლეგენდარულმა სახემ და მიუხედავად იმისა, რომ მის ისტორიულ არსებობას სამართლიანად აღიარებენ გამოჩენილი



მკვლევარები, ეს ისტორია ბევრ რაიმეში მოკლებულია დამაჯერებლობას.

თანახმად მუსულმანური ტრადიციისა, მუჰამედმა ქ. მექაში დაიწყო ისლამის ქადაგება და საგრძნობლად გაზარდა თავისი მიმდევრების რიცხვი. ამის გამო შეშფოთებულმა ყურეშიტებმა გადაწყვიტეს რადიკალური ზომები მიეღოთ მის წინააღმდეგ. მუჰამედმა დროზე შეიტყო მოახლოებული საფრთხე და გადაწყვიტა მორიდებოდა მას, დატოვა მექა და თავის ერთგულ პირებთან ერთად გაიპარა იასრიბში, რომელსაც ამის შემდეგ მედინატ-ანაბი, ანუ “წინასწარმეტყველის ქალაქი“ (მედინა) ეწოდა. გადმოცემის მიხედვით, მედინაში გადასახლება, ანუ “ჰიჯრა“ მოხდა 622 წელს. შემდეგში ეს წელი მუსულმანური ერის დასაწყისად იქნა აღიარებული. მედინაში ისლამის რელიგიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. იგი აქ ჩაგრულმა და უძლურმა ბრბომ გაიზიარა, რადგან მასში ხსნის იმედი დაინახა.

გადმოცემის მიხედვით, მუჰამედის სიკვდილის შემდეგ ისლამის შემდგომი გავრცელების მისია იკისრეს მისმა მოწაფეებმა. არაბეთის გარეთ ისლამის გავრცელება არაბი ფეოდალების საგარეო ექსპანსიასთან იყო დაკავშირებული. VII-VIII საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდნენ რა ბიზანტიისა და სპარსეთის სისუსტით, არაბეთის დამპყრობლებმა თავიანთ ბატონობას დაუმორჩილეს შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ინდოეთის ნაწილი და ამიერკავკასია, თურქეთისა და ბალკანეთის მოსახლეობა, შეიქმნა უზარმაზარი ფეოდალურ-თეოკრატიული სახელმწიფო-ხალიფატი. ხალიფები თავიანთ თავს მუჰამედის მემკვიდრეებს უწოდებდნენ და ხელში ეჭირათ ქვეყნის საერო და სასულიერო ცხოვრების სადავეები.

ისლამის გავრცელება იარაღით ხელში წმინდა რელიგიურ



მოვალეობად და სამართლიანობად ითვლებოდა, თუ იგი მიზნად ისახავდა სხვა ხალხების გამუსულმანებას. ყურანი პირდაპირ მოუწოდებდა: “ღვთის გზით იბრძოლეთ და იცოდეთ, რომ ღმერთი ისმენს და უწყის ყველაფერი. ოდეს ურჯულოებს შეხვდეთ, ამოჰხოცეთ ისე, რომ დიდი ყლექა-ხოცვა ჩაიდინოთ, ხოლო დატყვევებულებს გზები ძლიერ შეუკრათ...ღმერთს რომ ენებებია, თვითონვე გაიმარჯვებდა მათზე, ამოჰსწყვეტდა, მაგრამ თქვენ გებრძანათ, რომ ურთიერთ გამოეცადენით“.

ყურანის ამ მოწოდებას არაბი დამპყრობლები გულმოდგინეთ ასრულებდნენ. ხალიფატის პოლიტიკის შედეგად ისლამი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელდა.

ისლამის რელიგიის გავრცელება საქართველოში ადრე დაიწყო. როგორც ცნობილია, უკვე მეორე ხალიფა ომარის დროს არაბებმა დაიმორჩილეს სირია, პალესტინა, სპარსეთის დიდი ნაწილი და ამიერკავკასიის საზღვრებს მოადგნენ. არაბთა პირველი რაზმი სომხეთში გამოჩნდა, ხოლო მალე, დაახლოებით 543 წლისათვის ეს რაზმი საქართველოს საზღვრებსაც მოადგა, თუმცა ისინი ქართველებმა დაამარცხეს და განდევნეს.

VII ს. ნახევრისათვის გაძლიერებულმა არაბებმა დაიპყრეს სომხეთი, ხოლო ქართლის ერისმთავარმა დაზავება ამჯობინა. ეს იყო ქართლში არაბთა ბატონობის პირველი პერიოდი. ამ ბატონობას ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა და ყველა ღონეს ხმარობდა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. საქართველოს არაბებმა თავს დაატყვევეს საშინელი უბედურება. 735-738 წლებში საქართველოში თარეშობდა შეუბრალებელი მურვან ყრუ, რომელმაც მთელი კავკასია დაიპყრო, განსაკუთრებით ააოხრა აღმოსავლეთ საქართველო. დაპყრობილ ქვეყნებში არაბები ცდილობდნენ ისლამის ძალით გავრცელებას, რაც სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა. ამ პერიოდს მიეკუთვნება იოანე საბანისძის მიერ აღწერილი ამბავი



აბოს წამების შესახებ, რომელმაც უარი თქვა ისლამის რწმენაზე, რისთვისაც მას 763 წელს თავი მოჰკვეთეს. მიუხედავად საჯარო დროის ბატონობისა, არაბებმა აღმოსავლეთ საქართველოში მაინც ვერ მოახერხეს ისლამის გარვცელება.

არაბთა პირველ გამოჩენას საქართველოში მაჰმადიანობის გავრცელება არ მოჰყოლია. მაგრამ, დაწყებული VIII-IX საუკუნეებიდან, არაბეთის ხალიფატი დამპყრობლური პოლიტიკისა და "სჯულისათვის სამართლიანი ომების" შედეგად ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში ისლამმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი. უკვე XVI საუკუნიდან საქართველოს მეზობლად სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი მძლავრი აგრესიული მუსულმანური სახელმწიფო ოსმალეთი და სპარსეთი წარმოიშვა. და ის, რაც ვერ გააკეთეს არაბებმა, შესაძლებელი აღმოჩნდა ამ სახელმწიფოების მოქმედების შედეგად.

ოსმალეთის დაპყრობით გეგმებში საქართველოს და, კერძოდ კი, სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ირანიც ასევე აგრესიულად უყურებდა საქართველოს. ოსმალეთის მრავალგზისი ცდის შედეგად მათ მოახერხეს საქართველოს ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობის გამაჰმადიანება, როგორცაა: მესხეთი და ჯავახეთი, აჭარა და აფხაზეთი.

ყველაზე ადრე ისლამი მესხეთისა და ჯავახეთის ქართველებს მიაღებინეს. უკვე 1835 წელს ახალციხე ოსმალეთის მთავარ საფაშალიკო ქალაქად იქცა. ამ დროიდან ადგილობრივ ქართველებს ძალით დაუწყეს გათათრება, რისთვისაც იარაღსაც იყენებდნენ. მაგრამ აქაურ ქართველთა გათათრება არც ისე იოლი საქმე იყო. მესხები და ჯავახები თავგანწირვით იცავდნენ საკუთარ რჯულს, მაგრამ ძალამ, ბოლოს და ბოლოს, თავისი გაიტანა, ქართველები დაუძლურდნენ და ნელ-ნელა იწყეს

ისლამის რელიგიის მიღება. ოსმალები ისლამის გავრცელების გულისათვის ქართველებს მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ და ისეთი წესები შემოჰქონდათ, რაც ქართველთა გაათავრებას უწყობდა ხელს. მაგრამ მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, მესხეთსა და ჯავახეთში ბევრმა ქართველმა უარი თქვა ისლამზე და შეინარჩუნა ქრისტიანული რწმენა.

მძიმე მდგომარეობის შედეგად ოსმალთა მფლობელობაში თანდათან მოექცა ერთ-ერთი უძლიერესი ქართული პროვინცია-აჭარაც, სადაც ისლამის რელიგია გაბატონდა. აჭარა უძველესი საქართველოს ერთ-ერთი ნაწილი იყო და მისი ისტორია განუხრელად იყო დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან. ძველად, აჭარის ტერიტორია შედიოდა დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში, რომლის მოსახლეობა განვითარებულ ვაჭრობას აწარმოებდა მეზობელ ქვეყნებთან. IV საუკუნეში კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა ახალი ლაზიკის სამეფო, რომლის სამხრეთ საზღვარი აჭარის ტერიტორიამდე ვრცელდებოდა. IX საუკუნის დასაწყისში, როცა დაეცა არაბეთის ხალიფატი, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა ახალი ფეოდალური სამეფოები: აჭარა, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი, არდაგანი და სხვა. XI საუკუნიდან საქართველოს შუა რაიონებში დაიწყო თურქთა განუწყვეტელი შემოტევები. მაგრამ აჭარა ყოველთვის მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს და XII-XIII საუკუნეებში იგი საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე კუთხე იყო. XVI საუკუნიდან საქართველო, და კერძოდ კი, აჭარა, ხშირად განიცდის თურქი დამპყრობლების შემოსევებს. ამ დროისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის აღება ვერ მოახერხეს, თურქები მტკიცედ დამკვიდრდნენ მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. XVI საუკუნის ბოლოსათვის ფეოდალურმა საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის მესამედი, მაგრამ თურქების წინააღმდეგ

ადგილობრივი მოსახლეობა აწარმოებდა შეუნელებელ ბრძოლას და XVII საუკუნეშიც ვერ მოახერხეს თურქებმა ადგილებში მტკიცედ გაბატონება. XVIII საუკუნისათვის თურქეთის ხელში იყო ბათუმი. დაიწყო ერის ისტორიაში აჭარელ მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანება-გათათრება, რაც ისლამის რელიგიის ნიშნით კეთდებოდა. მაგრამ ისლამი ნელა და მეტად ძნელად შედიოდა ქართველი ადამიანის შეგნებაში. მიუხედავად ენერგიული ზომებისა ამ მხრივ, აჭარა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასახლებული იყო არა მარტო მუსულმანებით, არამედ საკმაოდ რაოდენობის ქრისტიანებითაც. აჭარელი მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში ინახავდა მშობლიურ ენას, საუკეთესო ტრადიციებსა და კულტურას. თურქი დამპყრობლების მკაცრი პოლიტიკის გამო აჭარელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გურიაში გადავიდა. აჭარლები, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიიღეს მუსულმანური რწმენა, მაინც მოუთმენლად ელოდნენ იმ დროს, როცა ისინი თავს დაადწევდნენ თურქ დამპყრობთა ბატონობას და როცა 1878 წელს ბერლინის ტრაქტატით ბათუმი, ყარსი და არდაგანი რუსეთს შეუერთდა, ეს ქართველი ხალხის ისტორიაში უდიდესი სასიხარულო მოვლენა იყო. დამთავრდა აჭარელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტანჯვის ისტორია თურქების ხელში. მაგრამ დარჩა მძიმე შედეგი-აჭარელი მოსახლეობის გამუსულმანება. თურქთა ბატონობის პერიოდში აჭარლებმა შეითვისეს ისლამის დოგმატიკა და ხელი მოჰკიდეს ამ რელიგიის წეს-ჩვეულებების შესრულებას. მსგავს მდგომარეობაში მოექცა აფხაზეთისა და ინგილო მოსახლეობის ნაწილი.

ისლამის რელიგიამ საუკუნეების მანძილზე რთული დოგმატიკისა და კულტის სისტემა შეიმუშავა. ყურანი ასწავლის: “ვისაც არა ჰსწამთ ღმერთი, მისი ანგელოზები, მისი

წიგნები, მისი მოციქულები და უკანასკნელი დღე, ღრმა შეცდომილებაშია“.

მუსულმანური რელიგიის მთავარი დოგმატი არის ერთი ღმერთის-ალაჰის რწმენა, “არ არის ღმერთი ალაჰის გარდა“ / “ლაილაჰა ალ ალაჰ“ / - აი ქვაკუთხედი, რომელზედაც დაფუძნებულია მთელი მუსულმანური დოგმატიკა.

ყურანი ამტკიცებს, რომ შემოქმედის ცნება ერთს შეიძლება მიეწეროს, რადგან იგი რომ ორი იყოს, ერთმანეთს მოსპობდნენო. მრავალღმერთიანობა, ყურანის მიხედვით, შეცდომაა, გონების სისუსტეა, სიცრუეა, წარმართულ ღმერთებს არა აქვთ არავითარი ძალა, მათ ბუზის შექმნაც კი არ შეუძლიათ, რადგან თვითონ ისინი არიან შექმნილნი. “თქვენი ღმერთი ერთი ღმერთი არის სხვა როდია, იგია მოწყალე და შემწყნარებელია, ღმერთი ყოველთვის თქვენი საქმის მცოდნეა“ - ასწავლის ყურანი.

ღმერთის სიდიადე და სრულყოფილება ყურანში აღწერილია მაღალ პოეტურ ფერებში. ყურანი სავსეა დარიგებებითა და მოთხოვნებით, რომლებიც მიმართულია ალაჰის რწმენისაკენ. ღმერთი ყველაფერზე ფიქრობს, იგი ფიქრობს ადამიანზე, მისი მოდგმის გამრავლებაზე, ზრუნავს ყველაფერზე, რაც ადამიანს სჭირდება ცხოვრებისათვის, ყურანი აყალიბებს ღმერთის შემდეგ თვისებებს, ყოვლისმცოდნეობას, სიბრძნეს, მართლმსაჯულებას, სიკეთესა და ყოვლისშემძლეობას.

ღმერთი თავისი ცოდნით ყველაფერს მოიცავს: მას ყველა საიდუმლოების გასაღები უჭირავს ხელში, მან ერთმა იცის, რაც ხდება მიწაზე, და წყალში, მისი ნება-სურვილის გარეშე ერთი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდება ხიდან.

სამყარო და მისი კანონზომიერება ადამიანისათვის მიუწვდომელია, რადგან მასში ღმერთის ნებაა



განხორციელებული. სამყაროს კანონზომიერ, ჰარმონიულ მოწესრიგებაშია სწორედ ღმერთის სიბრძნე.

ზნეობრივი თვალსაზრისით, ღმერთი გამოყვანილია როგორც სამართლიანი არსება. იგი ყველაზე კარგი მოსამართლეა, მისგან წყენას არავინ ღებულობს, ღმერთი ჭეშმარიტებაა და მისი ქცევაც ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

ღმერთი განსაკუთრებით სიკეთის თვისებით არის დაჯილდოებული. მოწყალე ღმერთი ყოველთვის უწვდის ხელს ადამიანს: “თუ ვინმემ თქვენს შორის უმეცრებით ჩაიდინოს ცუდი საქმე და შემდეგ შეინანოს, უეჭველად ღმერთი მოწყალე და შემბრალეებელია“-ასწავლის ყურანი.

მუსულმანური რწმენის სიმბოლოს ერთ-ერთი მთავარი ელემენტია მოძღვრება სულებისა და ანგელოზების შესახებ. ეს რწმენა საერთოდ დამახასიათებელი იყო აღმოსავლური მოძღვრებისათვის და იგი მტკიცედ შევიდა ისლამში. ყურანის მიხედვით ანგელოზებიც შექმნილი არიან, ოღონდ ადამიანზე ადრე. განსხვავება იმაშია, რომ თუ ადამიანი მიწისაგან არის შექმნილი, ანგელოზები წარმოშობილან წმინდა ცეცხლისაგან და ადამიანებზე მაღლა დგანან. ანგელოზები ცაში ცხოვრობენ და ისინი ღმერთის უმაღლესი მსახურებია. მათი მოვალეობაა შეასრულონ ის, რაც ღმერთს სურს. ისინი ღმერთის ნებას ავრცელებენ მიწაზე, ანგელოზები თავისუფალნი არიან ყოველგვარი ადამიანური ვნებებისაგან, სხეულებრივი მისწრაფებებისაგან და ცოდვებისაგან.

ანგელოზებს გარდა, მუსულმანური რწმენა ცნობს ავ სულებს, დემონებს, ანუ ჯინებს. მათ ურთიერთობა აქვთ იბლისთან და ბოროტ საქმეებს სჩადიან, შელოცვების, ამულეტებისა და თილისმების საშუალებით მუსულმანები ცდილობენ განდევნონ ავი სულები.

მუსულმანური რწმენის მესამე ელემენტს წარმოადგენენ



წინასწარმეტყველება და წმინდა წიგნები.

წინასწარმეტყველები ანგელოზებზე მაღლა დგანან ისინი ღმერთის მიერ არიან გამოგზავნილი მიწაზე ახალი რელიგიის საქადაგებლად. წინასწარმეტყველები წარმოუდგენელია წიგნების გარეშე, რომლებიც მათ ღმერთისაგან მიიღეს და ადამიანებს გააცვენეს.

რისთვის სჭირდება ღმერთს წინასწარმეტყველები? ყურანის მიხედვით, ღმერთი საკმაოდ შორს არის სამყაროსა და ადამიანისაგან, ხოლო ადამიანი საკმაოდ სუსტია იმისათვის, რომ გაიგოს ღმერთისაკენ მიმავალი გზა. ღმერთი ქმნის დამაკავშირებელ საშუალებას წმინდა წიგნების სახით, რომლებიც წინასწარმეტყველების ხელით ეგზავნებათ ადამიანებს მიწაზე.

წინასწარმეტყველთა რიცხვი დიდია. “მოციქულები მოუვლინეთ ჩვენ თვითეულ ერსო“, - ამბობს ყურანი. ყურანში 29 მოციქულია დასახელებული, მაგრამ მრავალრიცხოვან მოციქულთა შორის უმაღლესი მხოლოდ ექვსია: ადამი, ნოე, აბრამი, მოსე, იესო და მუჰამედი. ჩამოთვლილი ექვსი მოციქულიდან მუჰამედი ყველაზე წინ აყენებს მოსეს, შემდეგ იესო ქრისტეს, ხოლო თვითონ ყველაზე დიდი მოციქულია: “მოგვივლენიხარ, მუჰამედ, მხოლოდ სამყაროს მიმართ მოწყალებითაო“- ვკითხულობთ ყურანში.

მუსულმანური რწმენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოგმატია მოძღვრება სულის უკვდავების, საყოველთაო აღდგომისა და უკანასკნელი სამსჯავროს შესახებ, ისლამი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აღდგომასა და უკანასკნელი მისაგებლის რწმენას. ამ მნიშვნელოვან საკითხში მუჰამედმა ქრისტიანული მოძღვრება შეაერთა მაშინდელ არაბეთში გავრცელებულ ებრაული რელიგიის ბევრ ცნებასთან.

ყურანი, განსაკუთრებით თავის ძველ ლექსებში, მუქ



ფერებში ხატავს ქვეყნის დასასრულის ამბავს და ადამიანს აწინებს უბედურებით, რომლებიც ამას მოსდევს. მუსულმანური რწმენით, ადამიანის ცხოვრება არ მთავრდება ამქვეყნიური ცხოვრებით: “ნუ გჯერათ, ღვთის გზით ბრძოლაში მომკვდარნი მკვდარ იყვნენ: იგინი ცხონდებიან ღვთის წინაშე და საზრდოსაც მიიღებენ მისგან“.

ამ დღეს ადამიანები გამოცხადდებიან ალაჰის წინაშე წიგნებით ხელში, რომლებშიც ყველა მათი მოქმედება წერია. დაკითხვას აწარმოებს თვითონ ალაჰი. გარდაცვლილს უპირველესად ეკითხებიან რწმენის ორ ძირითად დოგმაზე-ღმერთის ერთიანობის და მუჰამედის ღვთიურ მოვლენაზე. შემდეგ ეკითხებიან საქმეებზე, რომლებიც მან ცხოვრებაში ჩაიდინა. პასუხები იწერება წიგნში, შემდეგ ადამიანები გადიან ბეწვის ხიდზე, რომელიც ჯოჯოხეთზეა გადებული და სამოთხეში მიემართება. მუჰამედის შუამდგომლობით ბევრი ცოდვილი გადაარჩება ჯოჯოხეთს. სამოთხეში ხვდებიან უპირველესად წინასწარმეტყველთა სულები, შემდეგ წმინდა ბრძოლებში დაღუპულთა სულები.

მუსულმანური რწმენის უკანასკნელი ელემენტი მოძღვრება ბედისწერის შესახებ, სხვა რელიგიების მსგავსად, ისლამი ამტკიცებს, რომ სამყაროს შემქმნელი, მმართველი არის ერთი ღმერთი, რომ მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული ადამიანის მთელი ცხოვრება, ყოველი მისი ნაბიჯი, ისლამის მოძღვრებით, ამ ქვეყანაზე არ ყოფილა და არც იქნება რაიმე, რაც ღმერთის ნებას სცილდებოდეს.

ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს ღმერთს, თაყვანს სცემდეს მას, რადგან ღმერთი განსაზღვრავს ადამიანის ბედს, მის ბედნიერებას, სიღარიბეს და სიმდიდრეს. ღმერთის მიერ განსაზღვრულია ადამიანის სიკვდილის საათი, ადამიანის ყოველი ცდა, თავიდან აიცილოს ბედისწერა, უნაყოფოა.





ბედისწერის ფატალური გარდუვალობა აკანონებს ადამიანთა ამქვეყნიურ უთანასწორობას. იგი იმპერატორს ილუზიას უწოდებს, რომელსაც ადამიანმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს. მთავარია საიქიო ცხოვრება და ადამიანიც იმისათვის უნდა ემზადებოდეს.

ყურანში ხაზგასმულია ის აზრი, რომ თითოეულ მუსულმანზეა დამოკიდებული სიკვდილის შემდეგ სად მოხვდება იგი, სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. ეს დამოკიდებულება ცხოვრების გზაზე, რომელსაც ადამიანი-მართლმორწმუნე იქნება თუ ურწმუნო-ამქვეყნად აირჩევს. ყურანი ადამიანის ღირსებას, მის უნარს, გონებას და შემოქმედებით ძალებს ღმერთის რწმენით ამართლებს.

კულტი. ისლამის რელიგიური კულტი ძირითადად გამოიხატება ოთხი წესის-ლოცვის, მარხვის, მოწყალებისა და სამლოცველო მოგზაურობათა განხორციელებაში.

ისლამის მიხედვით სულიერი სიწმინდე, რომელიც რელიგიური წესების შესრულებაში ხორციელდება, გულისხმობს სხეულებრივ სიწმინდეს. ამიტომ ლოცვას, როგორც ძირითად წესს, წინ უძღვის მოსამზადებელი საფეხური. ეს არის განბანვის წესი.

ლოცვასთან დაკავშირებულია ისლამის იმ ძირითადი ფორმულის წარმოთქმა “არ არის ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამედი მოციქულია მისი“, რომელსაც შახადი ეწოდება. ამ ფორმულას მუსულმანი წარმოთქვამს ყველგან, ყოველ მნიშვნელოვან მომენტში, მათ შორის სიკვდილის წინ. ლოცვის დროს შახადი რამდენჯერმე მეორდება.

ლოცვა დაწესებულია დღეში ხუთჯერ, დილით-მზის ამოსვლამდე, შუადღისას, ნაშუადღევს, საღამოს და ღამით.

რამაზანის თვეში მარხულობა ყოველი მუსულმანის ვალდებულებად ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს



მოგზაურები და ავადმყოფები, რომლებმაც გაცდენილი დღეები შემდეგ უნდა აანაზღაურონ.

მარხულობისათვის ყურანი მოითხოვს გარკვეული წესების შესრულებას, მუსულმანი მარხულობს მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, ამ დროს ის არაფერს ჭამს, არ სვამს, არ იბანს, არ ეწევა სქესობრივ ცხოვრებას. მზის ჩასვლის შემდეგ და განთიადისას ჭამს მსუბუქ საკვებს, თან მადლობას სწირავს ალაჰს.

მოწყალემა მუსულმანური კულტის მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი ემყარება იდეას, რომლის მიხედვითაც ამქვეყნიური სიკეთე უწმინდურებაა. ამიტომ ადამიანი არც უნდა ცდილობდეს ისარგებლოს ამ სიკეთით. მაგრამ რაკი ადამიანები თავს ვერ აღწევენ ამ ცთუნებას, ამიტომ საჭიროა განწმენდა. მოწყალემა სწორედ განწმენდის ერთ-ერთი საშუალებაა.

ისლამი მოწყალეების გაღებას ავალებს თითოეულ ჯანმრთელ მუსულმანს, თუ მას შემოსავლის რაიმე წყარო გააჩნია, - ამასთან განსაზღვრულია შემოსავლისა და გადასახადის მინიმუმი.

არსებობს ორი სახის მოწყალეობა: ერთია კანონით დაწესებული, რომელსაც ცაკატ ეწოდება. მას იღებენ ფულის ან სხვა საქონლის სახით. მეორეა თავისუფალი მოწყალეობა, რომელსაც ცადაკატ ეწოდება და მას მორწმუნე თავისი ნება-სურვილით გაიღებს.

მუსულმანური კულტის მეოთხე წესია საღვთო-სამლოცველო მოგზაურობა, ანუ ჰიჯრი მობა. თუ ზემოაღნიშნული სამი წესი სავალდებულოდ ითვლება ყოველი მორწმუნისათვის, პილიგრიმობა არ არის სავალდებულო ყველასათვის. პილიგრიმობა შედარებით თავისუფალი წესია. ყურანი ავალებს ყოველ სრულწლოვან მუსულმანს, თუ იგი გონებასუსტი არ არის, თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც



იმოგზაუროს მექაში, ინახულოს ქააბას წმინდა ტაძარი. თუ მორწმუნე თვითონ ვერ ახერხებს სალოცავად წასვლას, შეუძლია გაგზავნოს სხვა ვინმე, რომელიც მის სახელს ლოცვაში მოიხსენიებს. მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც პილიგრიმებს ხვდებათ მექაში მოგზაურობის დროს, ამ წმინდა ადგილისაკენ ყოველ წელს მიემართება ათასობით ადამიანი, მუსულმანური ქვეყნების სხვადასხვა კუთხიდან, მექაში მიემართება გრძელი ქარავნები, ისინი არ ერიდებიან მკაცრ უდაბნოს, ოღონდ მოიხადონ წმინდა მოვალეობა.

მუსულმანური რელიგიური კულტის ზემოაღწერილ წესებს უშუალოდ უკავშირდება დღესასწაულების საკითხი. ისლამის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი სხვა რელიგიებისაგან ის არის, რომ იგი ხასიათდება სპეციფიკური წეს-ჩვეულებებითა და კულტით.

მუსულმანური რელიგიური დღესასწაულებიდან აღსანიშნავია მარხვის დამთავრების დღესასწაული - ურაზა-ბაირამი. ამ დღეს მორწმუნემ უნდა გადახედოს მარხვის თვის და პასუხი აგოს თუ რამე შესცოდა. მძიმე ერთთვიანი მარხვის შემდეგ იწყება ხსნილი და მორწმუნეებს ნება ეძლევათ თავისუფლად იკვებონ. ამ დღესასწაულს თავისი გარკვეული მიზეზები აქვს, რომლებიც ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში იმალება, მარხვა ჯერ კიდევ ძველ არაბებს ჰქონდათ წესად და იგი აუცილებლობით იყო გამოწვეული. იმ პერიოდში, როცა არ კმაროდა არც საკვები პროდუქტი და არც წყალი, მუშაობა ძირითადად საღამოს ან ღამით წარმოებდა. ეს წესი შემდეგში დამკვიდრდა ისლამში და ახალი შინაარსი მიიღო.

ურაზა-ბაირამის 70 დღის შემდეგ ტარდება მეორე მუსულმანური დღესასწაული - ყურბან-ბაირამი ანუ მსხვერპლის შეწირვის დღესასწაული. იგი დაკავშირებულია პილიგრამობასთან. ამ წესს უფრო მეტად იცავდნენ მექაში



მოსული მოგზაურები. შემდეგში, რაკი ყურანმა მექაში მოსვლის აუცილებლობა მოხსნა, ამ წესის გამოყენება ყველგან დაიწყეს. დღესასწაულის დროს იკვლება პირუტყვი, რაც განკუთვნილია ადამიანთა სხვადასხვა ცოდვების გამოსასყიდად.

ისლამში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია აშურა, ანუ შ ა ჰ ს ე ი-ვ ა ჰ ს ე ი. ეს დღესასწაული ატარებს სამგლოვიარო რელიგიური ცერემონიალის ხასიათს. იგი დაკავშირებულია გადმოცემასთან, რომლის მიხედვითაც მუჰამედის შვილიშვილი ჰუსეინი მოკვდა მოწამეობრივი სიკვდილით. ჰუსეინის დაღუპვა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენს. ჰუსეინის სიკვდილის შემდეგ მისმა მომხრეებმა შექმნეს შიიტების ფარული სექტა და რაკი პოლიტიკურ ბრძოლაში მარცხი განიცადეს, მოქმედება რელიგიური საფართო დაიწყეს. მათ გაავრცელეს ხმა ჰუსეინის წმინდანობის შესახებ და მის გარდაცვალების დღეს დაიწყეს რელიგიური სამგლოვიარო ცერემონიალის ჩატარება, ჰუსეინზე ფანტასტიკური ამბების გადმოცემას თან ახლდა ხალხის შეძახილები “შაჰ ჰუსეინ, ვახ ჰუსეინ“, აქედან “შაჰსეი-ვაჰსეი“. ამ დღესასწაულის დროს შიიტები ასრულებენ თვითგვემის მკაცრ წესებს: დანებით ისერავენ ტანს. იბორკავენ ხელ-ფეხს. ითხრიან თვალებს და ა.შ. ამით ისინი საკუთარ სისხლს ღვრიან ჰუსეინის სიკვდილისათვის. მუსულმანურ წესებს შორის ეს წესი ყველაზე მკაცრია.

მუსულმანურ წესებში აღსანიშნავია აგრეთვე ს უ ნ ე ტ ი, ანუ წინადაცვეთის ცერემონიალი. ეს წესი მტკიცედ არის დაცული მუსულმანებში, მაგრამ იგი არ მოიხსენიება ყურანში, ეს წესი საერთო იყო არაბი ტომებისადვის და მას უძველესი ისტორია აქვს. მუსულმანებმა ეს წესი, საფიქრებელია, ებრაელებისაგან გადმოიღეს.

**ისლამის ეკოლოგია.** საუკუნეების განმავლობაში ისლამი უცვლელი არ დარჩენილა. რელიგიური მოძრაობა, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო, განპირობებული იყო რიგი მიზეზებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრძოლა ხელისუფლებისათვის და უთანხმოებანი, რომლებიც რელიგიის საკითხებს ეხებოდა. ამ მოძრაობის შედეგად წარმოიშვა მუსულმანური სექტანტობა, რომელშიც იგულისხმება ტრადიციული რელიგიური დოგმების მოპირდაპირე დაჯგუფებანი.

ჯერ კიდევ აბუ-ბექრის ხალიფობის დროს არაბეთში გამოჩნდნენ ცრუმოციქულები, რომლებმაც არეგ-დარევა შეიტანეს პოლიტიკურ და რელიგიურ საქმეებში. მაგრამ ამ მოძრაობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ალის ხალიფობის დროს. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა პირველი სექტანტური ჯგუფები, რომელთაც არსებითად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდათ: ამ პირველ მუსულმანურ სექტას ხ ა რ ი ჯ ი ზ მ ი ეწოდება.

ხარიჯიზმი, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო ხალიფების განუსაზღვრელი უფლებების წინააღმდეგ. მათი პირველი პოლიტიკური ლოზუნგი იყო ხალიფების არჩევითობის განხორციელება და ამ ფუნქციის დაკარება მუსულმანური თემისათვის. ხალიფად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა მორწმუნე, თუკი იგი კარგი მუსულმანია, მიუხედავად ნაციონალური წარმოშობისა და კანის ფერისა. ეს მოთხოვნა მიმართული იყო გაბატონებული ხალიფატის წინააღმდეგ, რომელიც მექას სავაჭრო არისტოკრატისა და კურეიტიების ტომისაგან შედგებოდა.

ხარიჯიზმიც არ იყო ერთგვაროვანი სექტა. ჯერ კიდევ ხალიფ იაზიდას სიკვდილის შემდეგ იგი გაიყო სამ ნაწილად: აზრაკიტებად, სუფრიტებად და იბადიტებად. აზრაკიტების ფანატიკური სექტა მუსულმანური რწმენის სიწმინდის მიზნით

მოითხოვდა ყველა არამუსულმანის გაჟლეტას. სუფრიტებს შედარებით მშვიდობიანი პოზიცია ეჭირათ, ისინი შესაძლებლად თვლიდნენ ურწმუნოებთან ომის დროებით შეწყვეტას და კრძალავდნენ მათი შვილების გაჟლეტას. სუფრიტები უფრო გვიან იბადიტებს შეუერთდნენ.

რელიგიურ მოძღვრებაში ხარიჯიზმი ზოგჯერ ყურანის ზოგიერთი დებულების წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი ლოცვასათვის არასაკმარისად თვლიდა სხეულებრივ განწმენდას და მოითხოვდა ამას დამატებოდა აგრეთვე სინდისის სიწმინდე. მათი აზრით, რწმენა არაფერია საქმის გარეშე. ვინც სასიკვდილო ცოდვა ჩაიდინა, ის უნდა განიდევნოს ისლამიდან და მოისპოს მის ოჯახთან ერთად. ხარიჯიზმი უარყოფდა ყოველგვარ ფუფუნებას, კრძალავდა მუსიკას, თამაშებს, თამბაქოს და ღვინოს. ხარიჯიტების სექტა უძველესია ისლამში, მისი ნაშთები დღესაც არის შემონახული. იგი არის იმის ნიმუში, თუ როგორ იჭრება რელიგიური შეხედულებანი პოლიტიკური ცხოვრების სფეროში.

ისლამის არსებობის პირველსავე საუკუნეში მას გამოეყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი სექტა, რომელიც შიიზმის სახელს ატარებს. ეს სექტა თავიდანვე დაუპირისპირდა სუნიზმს, მაგრამ არსებითი უთანხმოება მათ შორის არასოდეს ყოფილა. ეს ორივე მიმართულება ისლამის მთავარ წყაროდ აღიარებს ყურანს, მაგრამ ყურანი, როგორც ვთქვით, ვერ პასუხობდა რელიგიური პრაქტიკის, კერძო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ბევრ კითხვას. ამიტომ თავის დროზე მას დაემატა სუნა, რომელიც ისლამის განვითარების შემდგომ პერიოდს ასახავდა. მორწმუნეები, რომლებიც იზიარებდნენ სუნას, სუნიტების სახელით არიან ცნობილი.

შიიტები მორწმუნე მუსულმანებს გამოეყვნენ ხალიფატის პირველ პერიოდში. ამ სექტის ძირითად ბირთვს ხალიფ ალის

მიმდევრები შეადგენდა, ამიტომ მას ხშირად ალის შიას / პარტიას / უწოდებდნენ. ეს პოლიტიკური პარტია პრეტენზიას აცხადებდა ხალიფობაზე იმ მოტივით, რომ ალი მუჰამედის ნათესავი /სიძე/ იყო. ამიტომ შიიტები იმთავითვე პოლიტიკურ პარტიას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე რელიგიურ მიმდინარეობას.

შიიტები არ უარყოფენ სუნას ავტორიტეტს, მაგრამ იგი მუჰამედის ოჯახის წევრთა გადმოცემებამდე დაჰყავთ, მაშინ როცა სუნიტები სარწმუნოდ ცნობენ როგორც მუჰამედის ოჯახის წევრების ავტორიტეტს, ისე მისი უახლოესი მოწაფეების გადმოცემებს. სუნიტები მუჰამედთან ერთად პატივს სცემდნენ მის შემდეგდროინდელ ოთხ ხალიფს, აბუ-ბექრს, ომარს, ოსმანს და ალის. შიიტები ცნობენ მხოლოდ ალის და მის შთამომავალ 12 იმამს. ზოგჯერ ისინი მუჰამედზე მაღლა ალის აყენებდნენ: “რომ არ ყოფილიყავი შენ, ვერ შეგქმნიდი ცას, მაგრამ რომ არ ყოფილიყო ალი, მე ვერ შეგქმნიდი შენ” - ამბობს ერთი არაბული გადმოცემა.

შიიტების ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ირანში, ერაყსა და იემენში. სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებული განსხვავება ხშირად იყო სისხლისმღვრელი ბრძოლების საბაბი მუსულმანებს შორის.

ხალიფატში არსებული მწვავე სოციალური წინააღმდეგობის განვითარების შედეგად VIII საუკუნეში შიიტების სექტის საფუძველზე წარმოიშვა ძლიერი სექტა ისმაილიტებისა.

ისმაილიზმის ფუძემდებლად ასახელებდნენ აბდალაჰ იბნ-მეიმუნს, რომელიც ისმაილიტების შეიხად ითვლება. ისმაილიტების აზრით, ყურანი არ გამოირჩევა არც განსაკუთრებული შინაარსით და არც ფორმით. მუჰამედის გამოცხადებანი გამოხატავს მაშინდელი გონებრივი

განვითარების დონეს. მაგრამ ყურანში ბევრი რამ არის დამალული და დაინტერესებული ადამიანი სწორედ მას უნდა ეძებდესო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისმაილიზმის ბევრი წარმომადგენელი კარგად იცნობდა ბერძნულ ფილოსოფიასა და ხედავდა, რომ პლატონისა და არისტოტელეს ნაწერები გაცილებით მაღლა დგას ყურანზე. მათი აზრით მოციქულები ფილოსოფიის პოპულარიზატორები არიან, ფილოსოფიური ნაწერები გადააქვთ რელიგიურ მოძღვრებაში და ამით ხალხისათვის გასაგებს ხდიან მას.

ისმაილიტების აზრით, რელიგიური დოგმატების აღიარებასა და წეს-ჩვეულებათა შესრულებაში უნდა იყოს თავისუფლება, ყურანის ადგილები ჩვენ უნდა გვესმოდეს არა პირდაპირ, არამედ სიმბოლურად. ლოცვას, მარხვას, მოწყალებას, პილიგრიმობას, ისინი უნაყოფო შრომას უწოდებენ, მაგრამ ეს რელიგიური თავისუფალმოაზროვნეობა საყოველთაო როდი იყო, იგი ვრცელდებოდა სექტის ხელმძღვანელობაზე და არა ხალხზე, რომელთაც ისმაილიზმის ბელადები ბრბოს უწოდებდნენ.

ბერძნული ფილოსოფიის გავლენით ისმაილიტებმა შექმნეს თავისებური მოძღვრება.

ისმაილიტების ფილოსოფიურ-რელიგიური კონცეფცია არ იყო ორიგინალური. იგი წარმოადგენდა ნეოპლატონიკოსების, ბუდისტების და სხვათა დებულებების ეკლექტიკურ ნარევს.

ისლამში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტას წარმოადგენს მუტაზილიზმი, რაც განდგომილს ნიშნავს. მუტაზილიტები პირველნი იყვნენ ისლამის ისტორიაში, რომლებმაც კამათი აღძრეს მისი დოგმატების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს გონების როლს და პრინციპულად დასვეს ადამიანის ნების თავისუფლებისა და ბედისწერის საკითხი.

მუტაზილიტების სექტა განსაკუთრებით გავრცელდა ხალიფ



მამუნის დროს, რომელმაც ახალი დოგმები სავალდებულოდ გამოაცხადა. იგი მოწინააღმდეგებს სასტიკად სდევნიდა. IX საუკუნის შუა წლებში მუტაზილიტების წინააღმდეგ სერიოზული კამპანია ჩატარდა, მაგრამ ამას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

მუტაზილიტებს და მართლმორწმუნეებს შორის საშუალო ხაზი დაიკავა აშარიზმის სახელით ცნობილმა მუსულმანურმა სექტამ. ამ სექტის ფუძემდებელი იყო ცნობილი მუსულმანი ღვთისმეტყველი აბუ-ალ-ჰასან აშარი.

აშარი უარყოფდა, ერთი მხრივ, მუტაზილიტების უკიდურეს რაციონალიზმს და, მეორე მხრივ, მართლმორწმუნეთა უკიდურეს ფორმალიზმს. აშარიზმის მოძღვრების თანახმად, არსებობს ერთი ღმერთი და იგი განაგებს სამყაროს. ადამიანის მოქმედება ღმერთის ნებით არის განსაზღვრული, მაგრამ ეს არ არის ფატალური ბედისწერა, ადამიანს უნარი აქვს თავისუფალი იყოს თავის მოქმედებაში, რისთვისაც იგი პასუხისმგებელია ღმერთის წინაშე. აშარიზმი თვლის, რომ ყურანი ღვთიური განგების ნაყოფია, მისი სიტყვის გამოვლენაა და ამიტომ მარადიულია თავისი სიტყვით და თვისებებით. ამიტომ ყურანი რწმენის სიმბოლოა და მასში ყველაფერი მისაღებია.

XI საუკუნის ბოლოს ისლამში აღმოცენდა მისტიკური მოძღვრება, რომელსაც სუფიზმი ეწოდა. მისი დამაარსებელი იყო ცნობილი მოღვაწე გაზალი. თავდაპირველი სუფიზმის დამახასიათებელი ნიშანი ასკეტიზმი იყო: ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განდგომა სუფისტების წესს შეადგენდა. წინააღმდეგ რაციონალისტებისა, რომელთა აზრით აბსოლუტური ჭეშმარიტება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ლოგიკის ძალით, სუფისტები ამტკიცებდნენ, რომ ჭეშმარიტების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ინტუიციით.

სუფიზმის ფორმირების საქმეში დიდი როლი შეასრულა

ნეოპლატონიკოსების მოძღვრებამ, რომელიც მაშინ საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. პლატონის მოძღვრება ემანაციის შესახებ სუფისტებმა მთლიანად გაიზიარეს. იგი საფუძვლად დაედო მათ რელიგიურ მოძღვრებას.

ახალ დროში, როცა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში განვითარება იწყო კაპიტალისტურმა ურთიერთობამ, აღმოცენდნენ სექტები, რომლებიც ასახავდნენ ადგილობრივი ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს. ასეთი სექტებია ბაბიზმი, ბეხაიზმი, პანისლამიზმი და სხვა მოდერნისტული სექტები, რომლებიც ებოქის სულისკვეთებას გამოხატავენ.

## ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა

ქრისტიანულ რელიგიას ოცი საუკუნის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე მან გასაოცარი სიფაქიზით ასახა ყველა ცვლილება, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა. ეს რელიგია წარმოშობის პერიოდში ასახავდა იმ დრმა სოციალურ პროცესებს, რაც ანტიკურ სამყაროში ხდებოდა, ხოლო შემდგომ ეპოქებში მან გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებული ზნეობრივი ძალა შესძინა მსოფლიოს განვითარებას. ქრისტიანობა ეს ისტორიული რეალობაა. ამ რელიგიის ბევრი საკითხი, თუმცა ბურჟუაზიითაა მოცული, მაგრამ ეს სრულებითაც არ ჩრდილავს მის არსებას, მის ზოგადსაკაცობრიო დანიშნულებას. მხსნელის-იესო ქრისტეს იდეა ეს არის უდიდესი მაცოცხლებელი და გადამრჩენელი ძალა, ეს კაცობრიობის ამბღლებაა, მისი განწმენდაა, მისი საზრისის დადგენაა.

ქრისტიანული რელიგია წარმოიშვა პირველ საუკუნეში რომის იმპერიაში. ეს იყო პერიოდი, როცა რომის სახელმწიფოს



მიერ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჩაყლაპვამ რომის უზარმაზარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გამოიწვია. სხვადასხვა ქვეყნის დაპყრობითმა ომებმა რომის სახელმწიფოს მონათა უზარმაზარი არმია შესძინა, რომელთა მუქთა შრომამ ვაჭრები, ხელოსნები და თავისუფალი გლეხობა გალატაკებამდე მიიყვანა. მონათა შრომის სასტიკმა ექსპლოატაციამ რომის იმპერიაში უკიდურესობამდე მიიყვანა სოციალური წინააღმდეგობანი. თავიდან ჩაგრული მასები ხსნისათვის თავიანთ წარმართულ ღმერთებს მიმართავდნენ, მაგრამ რაკი მათგან დახმარების იმედი დაკარგეს, საკუთარი ძალით გადაწყვიტეს თავისუფლების მოპოვება. ამის გამოხატულება იყო მონათა რამდენიმე აჯანყება რომის იმპერიაში, მათ შორის სპარტაკის აჯანყება. მაგრამ ამ არაორგანიზებულ ამბოხებებს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ რომის იმპერიის გზების გასწვრივ აღიმართა უამრავი ჯვრები, რომლებზეც აჯანყებული მონები იყვნენ გაკრულნი. ამ მძიმე სიტუაციაში, რამაც მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისი გამოიწვია, ფეხი მოიკიდა უიმედობის, საყოველთაო აპათიის, პესიმიზმის განწყობილებამ. რადგან ხალხმა ძველი ღმერთებისა და საკუთარი ძალით თავის გადარჩენის იმედი დაკარგა, იმპერიაში ფეხი მოიკიდა მესიანიზმის იდეამ. გამოჩნდნენ მქადაგებლები, რომლებიც ხალხს არწმუნებდნენ, რომ ქვეყანას მოევლინება “მესია“, რომელიც უბედურ და გაჭირვებულ ხალხს დაეხმარებოდა, ხოლო გაბატონებულ კლასს მუსრს გაავლეს. ამ იდეამ სწრაფად იწყო გავრცელება და სამყაროს მძიმე სიტუაციიდან გამოყვანის მისია მხსნელ იესო ქრისტეს დაეკისრა, რომლის მოვლენამ გამოაცოცხლა თვითმკვლელობამდე მისული იმპერია, იმედის შუქი მოფინა მას, აქტიურად დაუპირისპირდა უკიდურეს უზნეობას, ადამიანს ასწავლა ნამდვილი ადამიანური, ღვთიური ცხოვრება. ამ აზრით



ახალმა მოძღვრებამ, ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის გადარჩენაში. ქრისტიანობა ილაშქრებდა წარმართული რელიგიის წინააღმდეგ, სპობდა მსხვერპლთშეწირვის უხეშ წესებს და მიწიუმამდე ამარტივებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებათა სისტემას. ქრისტიანობა მიმართული იყო არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, მას მემამბოხე ხასიათი ჰქონდა და მილიონობით ჩაგრულ მასებს თავისუფლებას პირდებოდა. მას თავისებური რევოლუციური ხასიათი ჰქონდა. ადრინდელი ქრისტიანობა ადამიანებს არ ყოფდა რაიმე ნიშნის მიხედვით. მისთვის არ არსებობდა წარმართი ან იუდაველი, ელინი ან სკვითი, ქალი თუ კაცი. მისთვის ყველა ერთი იყო, თუკი ის ქრისტიანი იყო. ამ აზრით თავდაპირველად ქრისტიანობას ინტერნაციონალური, უფრო მეტი, კოსმოპოლიტური ხასიათი ჰქონდა. ადრინდელი ქრისტიანობა თავდაპირველად არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, მისი დამხობისათვის იბრძოდა. “როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწში, ისე მდიდარი ვერ შევა სამოთხეშიო“-ასწავლიდა ახალი აღთქმა. ამასთან ერთად, ქრისტიანობა ოპოზიციაში ედგა როგორც წარმართულ, ასევე მონოთეისტურ იუდაურ რელიგიას. იგი ამ რელიგიის რეფორმას ისახავდა მიზნად. გასაგებია, ამის გამო ადრინდელი ქრისტიანობა იდევნებოდა, როგორც ხელისუფლების, ასევე გაბატონებული რელიგიების მხრივ. სამართლიანი წყობილების გამარჯვების პირობად ქრისტიანობა მესია-მხსნელს თვლიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლაპარაკი იყო სამართლიანი წყობილების გამარჯვებაზე არა მხოლოდ საიქიოში, არამედ სწორედ ამქვეყნად.

ქრისტიანობა ჩაისახა და განვითარდა იმ წილში, რომელიც ძირითადად გაუქმებული იყო წარმართული სულით და სავსებით ბუნებრივი იყო ის წინააღმდეგობანი, რომელიც მას

წინ ეღობებოდა აღმავლობის გზაზე. ანტიკური წარმართული აზროვნება გამოხატავდა რომის იმპერიაში მცხოვრები ერთმანეთისაგან განცალკევებული ხალხების ინტერესებს. მისთვის უცხო იყო კაცობრიობის იდეა, რომელიც შემდეგში ქრისტიანობის დროშა გახდა და რომელმაც იქადაგა, რომ აღამიანები მიეკუთვნებიან არა მხოლოდ გარკვეულ ოჯახს, კუთხეს, ერს, სახელმწიფოს, არამედ კაცობრიობას, საერთოდ, რომლის წინაშე დგას უდიდესი კულტურული ამოცანა-დაიმორჩილოს სამყარო და გახადოს მთელი მიწიერი ქმნილებანი, მთელი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე აღამიანის საკუთრება. ასეთი იყო ადრინდელი ქრისტიანობის მოთხოვნა, როცა იგი დევნილ სექტას წარმოადგენდა და ჩაგრულთა გულის მესაიდუმლედ აცხადებდა თავს. თუ, საერთოდ, ქრისტიანობის წარმართობასთან რაიმე მსგავსებას დავუწყებთ ძებნას, ერთადერთი სწორედ ის იყო, რომ როგორც წარმართები, ასევე პირველი ქრისტიანები ჯერ კიდევ ამ ქვეყანაში ტრიალებდნენ, აქეძებდნენ ხსნასა და შვებას, საიქიო ცხოვრების ილუზიები ჯერ კიდევ ვერ ფარავდა მათ აზროვნებას.

მაგრამ ზნეობრივი ცხოვრების თვალსაზრისით ადრინდელი ქრისტიანობა არ შეიძლება არ ამალღებულიყო წარმართულ სამყაროს ზნეობაზე. ის ფაქტი, რომ ქრისტიანობა ბოლოს უღებდა ყოველგვარ ტომობრივ, რასობრივ, სქესობრივ, ეროვნულ და სხვა განსხვავებულობას, არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ანტიკური სამყაროს ზნეობრივ განვითარებაში. ხომ ფაქტია, რომ რომის იმპერია იხრწნებოდა და იღუპებოდა იმიტომაც, რომ იგი ზნეობრივ დეგრადაციას განიცდიდა. სამყაროში, სადაც სასოწარკვეთილება, პესიმიზმი, საყოველთაო აპათია და თვითმკვლელობა თარეშობდა, ქრისტიანობამ გაიღვა, როგორც ხსნის ერთადერთმა იმედმა. ადრინდელ ქრისტიანობაში ძველი რელიგიების



საპირისპიროდ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, თვალში გვკეცვმა სიყვარულისა და თავგანწირვის პრინციპები. ეს სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ პირველი საუკუნის სამყაროსათვის. ეს პრინციპები არსებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებური ფორმა იყო. უკვე იოანეს სახარებაში ჩაიწერა, რომ “მცნებასა ახალსა მოგცემ თქუენ, რაითა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაითა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას” (იოანე, 13, 34). ახალი აღთქმის ბევრ სხვა ადგილას ვხვდებით მითითებებს მოყვასის სიყვარულზე, თავგანწირვაზე, დავრდომილთა შებრალებაზე, მაშვრალთა დახმარებაზე და ა.შ. პავლე მოციქულის ერთ-ერთ მიმართვაში ნათქვამია, რომ საჭიროა სასარგებლო საქმე, შრომა გაჭირვებულთა დასახმარებლად. ხოლო იოანე მოციქული თავის ეპისტოლეში, არაერთხელ მიუთითებს მოყვასის სიყვარულზე: “რამეთუ ესე არს აღთქუმაი, რომელი გესმა პირველთაგან, რაითა ვიყუარებდით ურთიერთას” (1 იოანე, 3, 11). შემდეგ: “ყოველსა რომელსა სძულდეს ძმაი თვის, იგი კაცისმკვლეელი არს და იცით რამეთუ ყოველსა კაცისმკვლელსა არა აქვს ცხოვრება საუკუნით მის თანა დადგრომილად” (1 იოანე, 3, 15).

ეს და მსგავსი მითითებანი მიზნად ისახავდა ჩაგრულთა გაერთიანებას ერთი იდეის ქვეშ, სასოწარკვეთილების, უიმედობის მდგომარეობიდან მათ გამოყვანას, არსებული უსამართლობის წინააღმდეგ მათ მომზადებას. სახარების ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ადამიანთა სიყვარული სათნოებაა, რადგან იგი ღმერთის საკუთრებაა, ღმერთისგანაა, ღმერთით მართლდება.

სახარების ბევრი ადგილიდან ნათლად ჩანს, ის ძირითადი იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო ქრისტიანობას და რომლის მიხედვითაც ამა სოფლის სიყვარული არ არის მთავარი. პირველ

პერიოდში ამქვეყნიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები იყო წამოწეული წინა პლანზე, ადამიანის, მოძმის, მოყვანის დახმარებას ეკავა მთავარი ადგილი. აქ გამდიდრება და ფუფუნება, განცხრომა კი არ იყო მთავარი, არამედ მოძმეთა შებრალება და დახმარება. პირველი ქრისტიანული თემების ცხოვრება ამას ადასტურებს, როცა მთელ თავიანთ ქონებას თავიანთ მოძმეებს ახმარდნენ, მოწყალების სახით არიგებდნენ, გამდიდრებაზე არ ფიქრობდნენ.

ძველმა წარმართულმა სამყარომ შეძლო შეექმნა კანონები, და ადამიანთა ცხოვრება გარკვეულ საზღვრებში მოექცია, მაგრამ მან ვერ დაძლია ძლიერი ეგოისტური ინსტინქტები, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისაგან თიშავდა და წინა პლანზე მათ სუბიექტურ მოთხოვნებს აყენებდა. ძველ სამყაროში კაცთმოყვარეობა, ლმობიერება, თავდადება განსაკუთრებულ სათნოებებად არ ცხადდებოდა, რაც წარმართული მსოფლგაგებით აიხსნება. წარმართული გაგებით, მთავარი ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრებაა და ადამიანის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ბედნიერი გახდეს ამ ქვეყანაზე, მიიღოს ყოველნაირი ამქვეყნიური სიამოვნება, ე.ი. წარმართისათვის ბედნიერება ამქვეყნიური ტკბობაა და ცხოვრება საშუალებაა ამ ტკბობისათვის. სუსტის შეწყალება, ჩაგრულის შებრალება ამ სამყაროსათვის უცხო იყო. წარმართული ეგოიზმი კარგად გამოხატა პლატონმა. მისი აზრით, ყველა ღატაკი სახელმწიფოდან უნდა განიდევნოს, თუ მუშის აგებულება ძლიერი არ არის, მას ექიმმა არ უნდა მიხედოს, რადგან იგი საქმისთვის არ გამოდგება. საყოველთაო სიყვარულის პრინციპი წარმართობისათვის უცხო იყო-სიკეთე მხოლოდ მას შეიძლება გაუკეთო, ვისგანაც სიკეთეს ელოდები, ბოროტების მკეთებლის მიმართ კი სასტიკად შეუბრალებელი უნდა იყო. არისტოტელეს აზრით, რისხვა და შურისძიება



კანონიერი ვნებებია, რადგან მათ გარეშე ადამიანს სიკეთის კეთების წადილი არც ექნებოდა, ამგვარად, გასაგებია, რომ მტრის სიყვარული წარმართისათვის სავსებით გაუგებარი რამ იქნებოდა. ხოლო ქრისტიანობის მიერ თქმული ახალი სიტყვა იყო არა მარტო მოყვასის სიყვარულის ქადაგება, არამედ, რაც მთავარია, მტრის სიყვარულის ქადაგება. შეიძლება მოვიგონოთ მათეს სახარება, სადაც ეს აზრი ნათლად არის გამოთქმული.

ამგვარად, საყოველთაო სიყვარულის პრინციპი ჯანსაღი წარმართული აზროვნებისათვის უცხო რამ იყო, ქრისტიანობისათვის კი მთელი მოძღვრების რაციონალური მარცვალია. წინააღმდეგ წარმართობისა, რომელიც ადამიანს ბუნებისადმი მის დამოკიდებულებაში განიხილავდა, ქრისტიანობა ადამიანს ღმერთისადმი დამოკიდებულებაში განიხილავდა. ქრისტიანობა ცდილობდა არსებითი ცვლილებანი შეეტანა ადამიანის გულში, რითაც, მართალია, არცვლიდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბუნებრივ წესრიგს, მაგრამ სურდა ქრისტიანულ პრინციპებზე გარდაექმნა იგი.

ადრინდელი ქრისტიანობა ღარიბთა და მაშვრალთა რელიგია იყო. ამიტომ სიღარიბე სათნოებად ითვლებოდა, ხოლო სიმდიდრე მეორეხარისხოვან საქმედ, რადგან ღვთისმოსავი ღარიბი სინამდვილეში ჭეშმარიტად მდიდარი იყო, ხოლო ბიწიერი მდიდარი ჭეშმარიტად ღარიბი. თუმცა წარმართულ სამყაროშიც იყო ადამიანის მიერ ადამიანის დახმარების, თანაგრძობისა და პატივისცემის მაგალითები, მაგრამ აქ არ იყო მსხვერპლის გაღების ის საყოველთაო ფორმა, რაც ქრისტიანობისათვის კანონი იყო, ანუ როგორც ტერტულიანე ამბობდა: “ქრისტიანებს უყვარდათ ისიც, ვისაც ქრისტიანები სძულდათ”.

ასეთი იყო ადრინდელი ქრისტიანობა წარმართულ სამყაროსთან მიმართებაში. იღვები, რომლებიც მან იქადაგა,





უსათუოდ ატარებდა განსაკუთრებულ, დადებით ელემენტებს წარმართობასთან შედარებით. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკაცობრიო საზოგადოებრივ პროგრესში.

ქრისტიანულ რელიგიას მთელი საუკუნის მანძილზე მიძიმე ბრძოლა უხდებოდა არსებობისათვის. იგი ყველა ძალით ცდილობდა დაემკვიდრებია თავისი ადგილი მსოფლიოში. პირველ ხანებს ახალი რელიგია გზას იკვლევდა სხვადასხვა სასწაულებით, რომელთაც მაცხოვარი ახდენდა. ქრისტიანობის წინ იდგა ისეთი ძლიერი ძალები, როგორც იყო იუდაიზმი, წარმართობა და თვით სახელმწიფო. ამ სერიოზულ ძალებთან ქრისტიანობამ გამარჯვებას მიაღწია არა მახვილით, არამედ მოთმინებით, რწმენით, სიყვარულით, პირადი მსხვერპლით. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ქრისტიანული ეკლესია პირველ წამებულთა და მოციქულთა მსხვერპლზე აშენდა.

ქრისტიანობის წინააღმდეგ ყველაზე ადრე იუდეველები გამოვიდნენ. ეს ბრძოლა 135 წლამდე გაგრძელდა და მას შეეწირა სტეფანე წამებული, იაკობი. წარმართობის ბრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ სამი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ქრისტიანებს სამ ბრალდებას უყენებდნენ: უღმერთობას, ადამიანის ხორცის ჭმას და ოიდიპოსის სისხლის აღრევას. ამას ემატებოდა წარმართული ფილოსოფიის უარყოფა, წარმართული ღმერთების ქანდაკებების მსხვრევა.

პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის დევნა ხდებოდა სახელმწიფოს მხრიდანაც. სახელმწიფო ქრისტიანებს ებრძოდა არსებული კანონების უარყოფისათვის, ებრძოდა როგორც პოლიტიკურად არასანდო ხალხს, ებრძოდა როგორც უცხო იდეოლოგიის მატარებელთ. ქრისტიანების დევნამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. პირველი მთავარი დევნა მოხდა ნერონის დროს, როცა ქრისტიანებს ძალღებს აგლეჯინევდნენ, კუბრში სვრიდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, მდინარე ტიბროსში ახრჩობდნენ. ამ



დროს დასაჯეს პეტრე და პავლე. მეორე საუკუნეში ქრისტიანთა დევნა განხორციელდა იმპერატორ ტრაიანეს დროს, როცა დასაჯეს წმ. ეგნატე, კლიმენტი რომაელი და სიმონ იერუსალიმელი. ქრისტიანთა დევნის ყველაზე მძიმე პერიოდი იყო III საუკუნე იმპერატორ დიოკლეთიანეს დროს, როცა ანგრევდნენ ეკლესიებს, წვავენ წმ. წიგნებს, თავებს კვეთდნენ ქრისტიანებს. მაგრამ თუ აღრე ქრისტიანობა გაბატონებული კლასების მხრიდან დევნილი და შევიწროვებული რელიგია იყო, უკვე მეოთხე საუკუნეში მისი დადებითი როლი იმდენად ნათლად გამოიკვეთა, რომ ეს ყველაზე კარგად დაინახა იმპერატორმა კონსტანტინემ და მან მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობა დევნილი რელიგიიდან სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რისთვისაც იგი ქრისტიანულმა ტრადიციამ წმინდანად შერაცხა.

ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევისთანავე დაიწყო მისი წეს-ჩვეულებების, კულტის, საეკლესიო ცხოვრების გაფორმება და დაკანონება. მაგრამ ქრისტიანული რელიგიის დოგმატიკა და კულტი ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. იგი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა. ამასთან ეს პროცესი მწვავე ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა.

ქრისტიანული რელიგიის სარწმუნოების საფუძველი არის წმინდა წერილი, ანუ ძველი და ახალი აღთქმა (ბიბლია), საეკლესიო კრებების დადგენილებები და ეკლესიის მამათა თხზულებანი. ქრისტიანული რელიგიის დოგმატები დამტკიცებულ იქნა ნიკეის და კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებებზე IV საუკუნეში რწმენის 12 სიმბოლოს სახით. ამ დოგმატების მიხედვით ყოველ ქრისტიანს უნდა სწამდეს ერთი ღმერთი, რომელიც გამოვლინდება სამი სახით - მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სული წმიდა ღმერთის სახით. ყოველ ქრისტიანს

უნდა სწამდეს, რომ ძე ღვთისა-იესო ქრისტე მოევლინება ქვეყანას კაცის სახით და გამოისყიდის ადამიანთა ცოდვებს. ყოველ ქრისტიანს უნდა სწამდეს, რომ იესო ქრისტე მკვდრებით აღსდგება, რაც ადამიანთა საყოველთაო მკვდრებით აღდგომის პირობაა. ყოველ ქრისტიანს უნდა სწამდეს საიქიო ცხოვრება და ა.შ.

ქრისტიანული რელიგია ადგენს წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულების მთელ სისტემას. იგი მოითხოვს ლოცვებს, აწესებს ხატების, ჯვრის, სანთლის, ზარების კულტს, მოითხოვს შვიდი საიდუმლოს (ნათლობა, მირონცხება, ზეთისცხება, ზიარება, აღსარება, ქორწინება, მღვდლობა) შესრულებას. ქრისტიანობა აკანონებს მარხვების ხანგრძლივ დაცვას, ქმნის დღესასწაულების დიდ რაოდენობას, რომელთაგან აღსანიშნავია: შობა, აღდგომა, ბზობა, ამადლება, სულთმოფენობა, ნათლისღება, მიგებება, ხარება, ფერისცვალება და მრავალი სხვა სახელობითი დღეები.

ამასთან ერთად, ისტორიულად, ქრისტიანული რელიგიის ევოლუციის შედეგად ქრისტიანობის დოგმატიკა და კულტი შესაბამის ცვლილებებს განიცდიდა, რაც ამ რელიგიის ძირითად მიმართულებათა განსხვავებაში გამოიხატა.

## ქრისტიანული რელიგიის ბავრცელება საქართველოში.

საქართველოში ქრისტიანობას 16 საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე მასში აისახა ის ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, რაც ქართველი ხალხის ისტორიაში ხდებოდა. თუმცა, ისე როგორც სხვაგან, საქართველოშიც ქრისტიანობას სრულიად



მართებულად მიაწერდნენ განსაკუთრებულ ნიშნებს, წარმოადგენდნენ მას ქართველი ერის ისტორიაში როგორც ყოველ ღირებულებათა ერთადერთ მფარველსა და გადამრჩენელს, რომ ქართველი ერის მომავალი და პროგრესი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქრისტიანული რწმენის საფუძველზე. კათალიკოს-პატრიარქის ერთ-ერთ სააღდგომო ეპისტოლეში ნათქვამია: “ქრისტიანობა იყო და რჩება ჩვენთვის მძლავრი, თვითმყოფადი მამოძრავებელი ფაქტორი... რა იქნებოდა საქართველო ქრისტიანობის გარეშე?! ჩვენ ვიცავდით ქრისტიანობას და ქრისტიანობამ გადაგვარჩინა ჩვენ“, (ჟ. “ჯვარი ვაზისა“, 1, 1979, გვ.8.) და შემდეგ: “მხოლოდ ქრისტიანობაში პოვა შინაგანი სრულყოფა მთელი კაცობრიობის რელიგიური ძიების ხანგრძლივმა და მძიმე მსოფლიო ისტორიულმა ბროცესმა“. (ჟ. “ჯვარი ვაზისა“, 2, 1982, გვ.7.)

საქართველოში თავდაპირველად წარმართობასთან ერთად ქრისტიანობას ძლიერ მეტოქესთან - მაზდეანობასთან (ცეცხლთაყვანისმცემლობა) მოუხდა ბრძოლა. ეს რელიგია სპარსელების სარწმუნოებას წარმოადგენდა და იგი მათი გავლენით საქართველოშიც იყო გავრცელებული. ი. ჯავახიშვილის ცნობით, “V საუკუნეში იბერიაში ისეთი გამწვავებული ბრძოლა იყო ქრისტიანობასა და ცეცხლთაყვანისმცემლობას შორის, რომ ოჯახში განხეთქილება სუფევდა და ერთი წილი მაზდეანობას ემხრობოდა, მეორე ქრისტიანობას იცავდა“. (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ.296.) ეს კარგად არის ნაჩვენები V საუკუნის პავლინოგრაფიულ ძეგლში - “მუშანიკის წამება“. სპარსელების მხრივ ქრისტიანობის დევნას წმინდა პოლიტიკური მოტივიც ედო საფუძველად და იგი ბერძენთა მიმართ ქართველების სიმპატიებით აიხსნებოდა.

ტრადიციულ საქართველოში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან

ცვლილებას ამა თუ იმ გამორჩეულ ადამიანთა ბედს სარწმუნოებრივი ნიშნებით ხსნის, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი თქმით, ცვლილებანი ერის ისტორიაში, მხოლოდ "სარწმუნოებრივზე კი არა, პოლიტიკურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული".

მეცნიერული, ისტორიული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობა საბერძნეთიდან შემოვიდა და მან თან შემოიტანა ქრისტიანულ-ბერძნული კულტურა. ამ კულტურის გავლენა მას შემდეგაც გაგრძელდა, როცა საქართველო სპარსეთის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ "იბერიასა და საბერძნეთს შორის მაშინ იმდენად მჭიდრო კავშირი იყო პოლიტიკურად და კულტურულადაც, მეტადრე კი სარწმუნოებრივად, რომ ასეთ პირობებში დაუჯერებელიც და შეუძლებელიც არის, რომ ბერძნული ქრისტიანული კულტურისა და მწერლობის გავლენა საქართველოში უძველეს ხანაშივე არ ყოფილიყო". (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 296.)

თუ ქრისტიანობა რომის იმპერიაში მონათა იდეოლოგია იყო, განსხვავებით ამისაგან, საქართველოში ქრისტიანობა, უპირველესად, გაბატონებული კლასის რელიგიად მოგვევლინა. IV საუკუნეში ეს რელიგია უკვე იქცა გაბატონებულ იდეოლოგიად, დადგინდა მისი დოგმატიკისა და კულტის ძირითადი მოთხოვნები. თავისი შინაარსით ეს რელიგია კარგად მოერგო ქართველი კაცის ცნობიერებას, მის ფსიქოლოგიას.

ქრისტიანობა თავისი ხასიათით საქართველოში ეროვნული გაერთიანების იდეას გამოხატავდა. ეროვნული დაქუცმაცებულობა საქართველოს ისტორიაში ყოველთვის იყო ის მწვავე სოციალური პრობლემა, რომელიც დაღუპვის საშიშროების წინაშე აყენებდა ქვეყანას. ქრისტიანობა თავისი



პრინციპებით ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის იდეას გამოხატავდა. მართალია, ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ იგი გარეგნულად დადებით ფაქტად ისახება.

არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ თუმცა საქართველოში ქრისტიანობა დაუპირისპირდა წარმართულ რელიგიას, მაგრამ ამ რელიგიამ საქართველო დაუკავშირა უფრო მოწინავე ქვეყნებს, რითაც ხელი შეუწყო თვითმყოფადი კულტურის შექმნას და შემდგომში მის არნახულ განვითარებას.

## ქრისტიანული რელიგიის ძირითადი მიმართულებანი.

V საუკუნეში ქრისტიანული რელიგია ორ ძირითად მიმართულებად გაიყო-მართლმადიდებლობად და კათოლიციზმად. ამ გაყოფას უმთავრესად, სოციალური მიზეზები ედო საფუძვლად, რომელთაგან მთავარი იყო რომის იმპერიის მწვავე შინაგანი წინააღმდეგობანი და გარეშე გერმანული ტომების შემოსევები. ამის შედეგად V ს. ბოლოს შეიქმნა დასავლეთის რომის იმპერია სატახტო ქალაქ რომით და აღმოსავლეთის იმპერია-სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლით. ქრისტიანობის ორად გაყოფას ხელს უწყობდა აღმოსავლური და დასავლური ფეოდალური ურთიერთობების სპეციფიკა, რამაც ასახვა პოვა ამ ორი ეკლესიის ხასიათზე. დასავლეთის ეკლესიის მეთაური რომის პაპი პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაშინ, როცა აღმოსავლეთის პატრიარქი მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. ამ ორ ეკლესიას შორის V საუკუნეში დაწყებული დავა პირველობისათვის საუკუნეების მანძილზე

გრძელდებოდა, მხოლოდ 1054 წელს კონსტანტინებოლის საეკლესიო კრებაზე საბოლოოდ გაფორმდა ეს გაყოფა.

**მართლმადიდებლობა.** მართლმადიდებლობის ევოლუციაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ იგი თავიდანვე დაექვემდებარა ბიზანტიის იმპერატორის ხელისუფლებას. ამის გამო ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი (ავტოკეფალური), მართლმადიდებლური ეკლესიები (დღეისათვის მსოფლიოში არის სულ 18 ეკლესია).

მართლმადიდებლური სარწმუნოების არსი ჩამოყალიბდა “რწმენის სიმბოლოში“. მართლმადიდებლობა ხელმძღვანელობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით, საეკლესიო კრებების დადგენილებებით, ეკლესიის მამების ნაწარმოებებით. ამ წყაროებიდან გამომდინარე, მართლმადიდებლობა აყალიბებს დოგმატიკისა და კულტის ძირითად მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებიდან მთავარია რწმენა ერთი ღმერთის, როგორც მამა-ღმერთის, ძეღმერთისა და სული წმინდა ღმერთის (სამება) შესახებ. მართლმადიდებლობა ადგენს დოგმატს ადამიანის ცოდვილიანი ბუნების შესახებ და იძლევა მისგან ხსნის ნორმებს, რომელთა შორის მთავარია გულმხურვალე ლოცვები, ღმერთისადმი მიძღვნილი შესაწირავები, სხეულებრივი სურვილებისაგან თავის შეკავება, და საერთოდ ზნეობრივი სიწმინდე. ცოდვებისაგან თავის დახსნის გზა არის მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებათა და საიდუმლოებათა აღსრულება, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე განსაკუთრებული გამომსახველობითი, ადამიანებზე ემოციური ზემოქმედებითი ფორმა მიეცა. განსხვავება, რომელიც ამ წესების შესრულებაში არსებობს კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის, ერთი შეხედვით არაარსებითია. თუმცა ქრისტიანული მოძღვრების განმარტებისას მართლმადიდებლობა მტკიცედ იცავს იმ ჭეშმარიტებებს, რასაც



გვასწავლის წმინდა წერილი და ეკლესიის მამები.

რა ნიშნებით გამოვყოფთ ჩვენ მართლმადიდებლობას ისტორიულად ქრისტიანობაში წარმოშობილი სხვადასხვა არსებითა მიმართულებისა და სექტებისაგან. ეს რელიგიათმცოდნეობაში ერთ-ერთი აქტუალური და მარადიული საკითხია. ამ კითხვას დასაბუთებული არგუმენტირებული პასუხი სჭირდება, რადგან თითქმის ყველა მართმადიდებლურ სარწმუნოებებსაც აქვთ პრეტენზია ჭეშმარიტებაზე.

ქრისტიანობის რელიგიის აღმოცენების დღიდან ქონდა ერთი მთავარი ნიშანი: იგი ემყარებოდა ჭეშმარიტ რწმენას და ეს რწმენა გაევრცელებია ხალხში არა იარაღის ძალით, არამედ მხოლოდ სიტყვის ძალით. არა იძულებით, არამედ ქადაგება იყო პირველ ქრისტიანთა ერთადერთი იარაღი, რომლითაც მან გზა გაიკვლია წარმართულ სიბნელეში. და როცა მართმადიდებლობაზე ვსაუბრობთ, უპირველესად, იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ სხვა აღმსარებლობის განსხვავებით, მართმადიდებლობა ქრისტეს რჯულის ეს უმთავრესი ნიშანი არ დაკარგა და საუკუნეების გამოვლით ჩვენემდე მოიტანა. ისტორიამ დაგვიტოვა უამრავი მასალა იმის საჩვენებლად თუ რა გააფთრებით ებრძოდნენ პირველ ქრისტიანებს და როგორი შეუპოვარი მოთმინებით იტანდნენ ქრისტიანები თავსდატეხილ რისხვას. ქრისტე კაცობრიობას მშველელად მოევლინა მაშინ, როცა ღმერთის მიერვე შექმნილი, მსგავსი და ხატი მისი ადამიანი ბოროტისაკენ გადაიხარა. ქრისტე მოვიდა ადამიანის სველად, მაშინ როცა იმძლავრა ამპარტავნებამ, შურმა მრისხანებამ, როცა კაცისკვლა, ღალატი, მრუშობა და ცილისწამება ადამიანთა ქცევის ნორმა გახდა. ამ უბედურების აღსაკვეთად ქრისტიანობას მახვილისათვის არ მიუმართავს. ქრისტე თავისი ნებით ავიდა ჯვარით და ამით



კაცობრიობას მისცა საოცარი მაგალითი იმისა, თუ როგორ იცხოვროს კაცმა, როგორ უნდა გაიღოს მან მსხვერპლი სხვისათვის. მართმადიდებლობამ ქრისტეს მოძღვრების ეს ნიშანი ერთგულად შეინახა და გამოატარა საუკუნეებში.

მართმადიდებლობას ხშირად იმ ბრალდება უყენებენ, რომ ის არის ღრმად კონსერვატორული მოძღვრება და არ ითვალისწინებს ისტორიულ გამოცდილებას, ღრმა სოციალურ ძვრებს.

მართლაც, მართმადიდებლობა მდიდარი ტრადიციების ერთგულია, მაგრამ ერთგულია, რადგან ის არ ლაღატობს იმ ჭეშმარიტებას, რომელიც მაცხოვრის სახით მოევლინა კაცობრიობას, რომელიც მოციქულთა მიერ იქნა გავრცელებული, რომელიც ეკლესიის მამების მიერ იქნა დასაბუთებული. ამაშიც არის მართმადიდებლობის ძალა. სწორედ მართმადიდებლობაშია ყველაზე დამაჯერებლად დასაბუთებული სამპიროვანი ღმერთის ბუნება, როგორც ერთარსება ღმერთისა, სადაც ძე ღმერთი — იესო ქრისტე ღვთაებრიობით მამის ერთბირია, ხოლო კაცობრიობით ადამიანის თანაარსი. მასში ორივე ბუნება ისე შეერთებული, რომ თავის ნებას არ კარგავს.

რატომ იცავს მართმადიდებლობა ერთგულად დოგმატებს და რატომ გამოდის მათი რაიმე ცვლილებების წინააღმდეგ? დოგმატები ღვთიური გამოცხადების შედეგია, იგი ადამიანის გონების ნაყოფს არ წარმოადგენს, ამიტომ მათში რაიმე ცვლილების შეტანა ასეთია, და ადამიანის ცნობიერების გახლეჩას იწვევს. ამიტომ იცავს მართმადიდებლობა ქრისტეს მოძღვრების სიწმინდეს.

მართმადიდებლობის ძალა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი მხოლოდ რწმენით კი არ იფარგლება, არამედ რწმენას საქმით ამაგრებს. ამიტომ გვასწავლის წმინდა წერილი: „საქმით

მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით. რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის ვარემე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა ვარემე“ (იაკ. 2, 24-26). ამიტომ, მართლმადიდებლობა არა მხოლოდ ქრისტიანულ დოგმატთა დაცვით, არამედ საქმიანთა ემსახურება ღმერთს. არ შეიძლება, ამასთან დაკავშირებით, არ გავიხსენოთ გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამი: „მადლი ეძლევა არა იმას ვინც კარგად ლაპარაკობს, არამედ იმას, ვინც კეთილად ცხოვრობს“.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ მართლმადიდებლობის კიდევ ერთი არსებითი ნიშანი, რაც მის შემწყნარებლურ ბუნებაში ვლინდება. ისტორიამ მრავალი შემთხვევა აღწერა ქრისტიანთა დევნა-შევიწროებათა, მაგრამ ვერ შემოგვინახა რაიმე მაგალითი მართლმადიდებელთა მხრიდან სამაგიეროს მიზღვისა თუ ძალადობისა. მისთვის მხოლოდ ლოცვა, დარიგება და პატიება იყო უმთავრესი იარაღი. ეკლესიის მამებს სარწმუნოებისათვის დევნა სატანის მოგონილად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ თუ როდისმე ადამიანი რწმენისათვის იდევნებოდა, ამგვარ შემთხვევას ეკლესიის მამები სასტიკად გამობდნენ. მართლმადიდებლობის ისტორია გვიჩვენებს თუ როგორ ინერგებოდა ცხოვრებაში ქრისტეს უმთავრესი პრინციპი საყოველთაო სიყვარულის შესახებ. ეს პრინციპი ყოველი მართლმადიდებლის ცხოვრების ნორმად ცხადდებოდა მოციქულთა მიერ, რადგან „წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო რომ ვუწყოდე, მთების გადაადგილება რომ შემიძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“ (კორ. 13, 2). ქრისტე იმისათვის მოვიდა, რომ მასში ღვთაებრივი ბუნება კაცობრივს შეერთებოდა, ხოლო კაცობრივი ბუნება ღვთაებრივს ზიარებოდა.

**კათოლიციზმი** ქრისტიანული რელიგიის ყველაზე დიდი რელიგიური მიმართულებაა. იგი ჩამოყალიბდა რომის იმპერიის გაყოფის შედეგად და შეიმუშავა საკუთარი დოგმატიკა და კულტი. კათოლიციზმის ცენტრი მდებარეობს რომის ტერიტორიაზე-ვატიკანში, სადაც არის რომის პაპის რეზიდენცია ცენტრალური საეკლესიო აპარატით. რომის პაპი ითვლება ადამიანებსა და ღმერთებს შორის შუამავლად. მას ირჩევენ კარდინალთა საბჭო-კანკლავი, ფარული კენჭისყრით. იგი ფლობს განუსაზღვრელ უფლებებს, რომელიც არ შემოიფარგლება მარტო საეკლესიო საქმიანობით, არამედ ღრმად იჭრება მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. კათოლიციზმის სარწმუნოებას განსხვავებით მართლმადიდებლობისაგან, აქვს ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი. იგიც პირველ დოგმატად აღიარებს ერთ და სამპიროვან ღმერთს. ამასთან პაპს თვლის “დედამიწაზე ქრისტეს ნაცვლად”. პაპი ითვლება “უცოდველად”. კათოლიციზმი ცნობს სამოთხეს, ჯოჯოხეთს და აგრეთვე “სალხინობელს”, სადაც სული საბოლოოდ განიწმინდება, ვიდრე სამოთხეში მოხვდებოდეს. კათოლიციზმში არსებობს “ცოდვათა მოტივების” დოგმატი, რომელიც ადამიანმა შეიძლება მოიპოვოს ინდულგენციებით. კათოლიციზმი მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით ასწავლის, რომ სულიწმინდა მოეფინება არა მხოლოდ მამისაგან, არამედ მამისა და ძისაგან; მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, კათოლიციზმში განსაკუთრებული ადგილი უკავია ღვთისმშობლის კულტს. ასევე მისი სპეციფიკური ნიშანია სამღვდელოების დაუქორწინებლობის ე.წ. “ცელიზატის” დოგმატი და ა.შ.

კათოლიციზმს ახასიათებს შეცვლილ პირობებთან შეგუების უნარი. ასე, მაგალითად, უკანასკნელ საეკლესიო კრებაზე 1962-66 წწ. გამარტივდა ღვთისმსახურების წესები,



დაუშვებს ნაციონალურ ენებზე ლოცვა, პურითა და ღვინით  
საერთო ზიარება, ექვში დააყენეს ცელიბატი და ა.შ.

**პროტესტანტიზმი.** ქრისტიანული რელიგიის მესამე  
ძირითადი მიმართულებაა პროტესტანტიზმი. იგი ჩამოყალიბდა  
XVI საუკუნეში ბურჟუაზიული რეფორმაციის შედეგად და  
წარმოადგენს სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და  
სექტების ერთობლიობას. იგი დაუპირისპირდა და გამოეყო  
კათოლიციზმს და აღმავალი ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგა.  
პროტესტანტიზმის ფუძემდებელი იყო გერმანელი მღვდელი  
მარტინ ლუთერი, რომელმაც 1517 წელს 95 თეზისი წამოაყენა  
კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, გაილაშქრა პაპების  
უცოდველობის, ინდულიგენციებით ვაჭრობას,  
გადატვირთული რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და სხვა  
მანკიერებათა წინააღმდეგ.

ლუთერი გამოდიოდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ  
და მის ნაცვლად ქმნიდა ახალ რელიგიას, რომელიც ახალი  
კლასის ინტერესებს გამოხატავდა.

პროტესტანტიზმის ძირითადი დებულებაა რწმენით  
ადამიანის გამართლების დოგმატი. ადამიანის ხსნა  
დამოკიდებულია არა ეკლესიაზე, როგორც ამას კათოლიციზმი  
ასწავლიდა, არამედ პირად რწმენაზე. პროტესტანტიზმი  
ღმერთის გამოცხადების ერთადერთ წყაროდ თვლის ბიბლიას,  
უარყოფს რომის პაპის შუამავლის ფუნქციას ადამიანებსა და  
ღმერთს შორის, ადამიანებს არ ყოფს სასულიერო და საერო  
პირებად, უარყოფს ხატების, წმინდანების, ღვთისმშობლის  
თაყვანისცემას, არ ცნობს ასკეტიზმს, სალხინობელს, მარხვას,  
შვიდი საიდუმლოდან აღიარებს მხოლოდ ორს-ნათვლასა და  
ზიარებას. პროტესტანტიზმმა შექმნა იაფი ეკლესია, რომელიც  
ახალი კლასის-ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა.  
პროტესტანტული რელიგია არ არის ცენტრალიზებული,



მსოფლიოში სხვადასხვა პროტესტანტული ეკლესიები არსებობენ. მათგან მთავარია ლუთერიანობა, ანაბაპტიზმი, კალვინიზმი, ანგლიკანური ეკლესია. ამ ეკლესიებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშნებს, რაც კონკრეტული პირობებით იყო განსაზღვრული.

**პროტესტანტული სექტები.** პროტესტანტიზმმა თავისი განვითარება ქრისტიანულ სექტებში პოვა. რელიგიური სექტა ეწოდება მორწმუნეთა ისეთ გაერთიანებებს, რომლებიც გაბატონებულ რელიგიას გამოეყოფიან. ასეთი სექტები დამახასიათებელია ყველა მსოფლიო რელიგიისათვის. სექტანტობის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ იგი გამოდის გარეგანი რელიგიურობის წინააღმდეგ და რელიგიას ადამიანის შინაგანი, გულის საქმედ აცხადებს. იგი უარყოფს ხატებს, ჯვრებს, მღვდლებს, ეკლესიას, ზოგიერთი საიდუმლოების შესრულების წესს და ა.შ. მაგრამ ამ გარეგანი რელიგიურობის მოხსნით სექტანტობა კიდევ უფრო ამძიმებს ადამიანის რელიგიურ ცხოვრებას, აძლიერებს ფანატიზმსა და მისტიციზმს. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული რელიგიური სექტები არის: ბაპტიტების, ორმოცდაათიანელების, მალაკნების, დუხობორების, ადვენტიტების, იელოველების და ა.შ. ეს სექტები არასწორად განმარტავენ ქრისტიანობის ძირითად დოგმებს, არასწორად ესმით რწმენის სიმბოლო, რითაც ხელს უწყობენ ეროვნული ცნობიერების რღვევას.

## ქრისტიანული რელიგიის რწმენის სიმბოლო



ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში სამების დოგმატის გაგებას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი ყოველთვის იყო მწვავე დავის საგანი. ეს დოგმატი დღესაც, თანამედროვე რელიგიებსა და ღვთისმეტყველებაში სერიოზული მსჯელობის საგანია. თუ ზოგადად თვალს გადავაგვლებთ პირველი საეკლესიო კრებების საკითხთა წყებას, დასმული საკითხი უსათუოდ თვალში გვეცემა: ეკლესიის ისტორია ნათლად უჩვენებს, რომ ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დოგმატების შემუშავებას თან სდევდა ამ დოგმატების განსხვავებული ინტერპრეტაციები, ერესები. დღესაც მსოფლიოში ადგილი აქვს ახალ-ახალი რელიგიური დაჯგუფებების გაჩენას, რომლებიც ჭეშმარიტ ქრისტიანობაზე აცხადებენ პრეტენზიას და ტრადიციის საწინააღმდეგოდ, თვითნებურად განმარტავენ ქრისტიანობის ჭეშმარიტ პრინციპებს. სხვა საკითხებთან ერთად მათი მსჯელობის უპირველესი საგანი, სწორედ, სამების დოგმატის განმარტებაა.

ერესების ისტორია, როგორც ითქვა, ქრისტიანობის წარმოშობისთანავე იწყება. ამის მაგალითია პირველი ერესის გაჩენა, რომელიც გნოსტიციზმის სახელითაა ცნობილი. იგი უკვე პირველ საუკუნეში ჩაისახა. ეს ერესი ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დოგმატის გაგებას ეხება, კერძოდ კი ქრისტიანული სამების მეორე წევრის ძე ღვთისას გაგებას. საბოლოო მიზანი ამ ერესისა იყო შეეთავსებია ხსნის რელიგიური პრინციპი ბერძნულ-რომაულ მისტიკურ ფილოსოფიასთან. ეს მოძღვრება სამყაროს ყოფს სამ ნაწილად: სრულყოფილ ღვთაებრივ, ცოდვილ მატერიალურ და საშუალო საფეხურად, რომელთაც ეონები ეწოდებათ: ეონები ღვთიურ და მატერიალურ სამყაროს შორის არსებობენ და ქრისტე,

სწორედ, ერთ-ერთი ეონია. ამის დასაბუთებისათვის გნოსტიციზმი მკაცრად დაუბირისპირდა იუდაიზმს. მის ყველა ელემენტს, უარყო იუდაური ღვთაება, ძველი აღთქმა და დაუბირისპირდა ქრისტეს, როგორც სახარებისეული ღმერთკაცის გაგებას, რის გამოც ამ ერესს თავიდანვე მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ეკლესიამ.

ვინაიდან ქრისტიანულ ეკლესიაში ძირითადი კამათი სამების დოგმატს ეხებოდა, საჭიროა უფრო ახლოს გავეცნოთ ქრისტიანული რელიგიის რწმენის სიმბოლოს, სადაც სწორედ ამ დოგმატს უჭირავს მთავარი ადგილი. რწმენის სიმბოლომ გარკვეული ევოლუცია (არარსებითი) განიცადა და ჩვენამდე იგი ასე მოვიდა:

- “მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა.

- და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნდა ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტიელისა პილატეს ზე, და ივნო და დაეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა, და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არის მარჯვენით მამისა, და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრული.

- და სულიწმინდა უფალი და ცხოველისყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისათანა და ძისათანა თაყვანისცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.



- და ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.
- ვალიარებ ერთსა ნათლისღებასა მისატევებლად ცოდვით.
- მოველი აღდგომასა მკვდრებით და ცხოვრებასა-მერმისსა მის საუკუნესასა. ამინ“.

ასეთია ქრისტიანული რწმენის სიმბოლო, რომელიც საუკუნეების მანძილზე ცხარე კამათისა და განხილვის საგანი იყო.

ხანგრძლივი დროის მანძილზე კამათი ეხებოდა იმას, თუ რა არის ღმერთი, ვინ არის ქრისტე, რა არის სულიწმიდა, რა მიმართებაა მათ შორის და ა.შ. ამ სადაო საკითხს შეეხო IV საუკუნეში ალექსანდრიელი მღვდელი არიოზი, რომლის მოძღვრებასაც შემდგომში არიანელობა დაერქვა. მან ტრადიციულ საეკლესიო მოძღვრებაში შემოიტანა ანტიკური რაციონალიზმის ელემენტები. იგი განსაკუთრებით შეეხო იესო ქრისტეს საკითხს და ამტკიცებდა, რომ იესო ღმერთის თანაარსი კი არ არის, არამედ მისი მსგავსია. მამაღმერთი მარადიული და უცვლელია, ხოლო ქრისტე (სიტყვა, ლოგოსი) შექმნილია და მამაღმერთთან შედარებით იგი ნაკლებ სიბრძნეს ფლობს. ამით არიოზი დაუპირისპირდა ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს, რომელიც გვასწავლის, რომ ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი, რომ იგი არის მამისაგან შობილი და არა ქმნილი, რომ იგი არის თანაარსი მამისა და ა.შ. ეს იყო სერიოზული არგუმენტები ქრისტიანობის მიმართ, რამაც მაშინ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 325 წელს რომის იმპერატორის კონსტანტინე I-ის მიერ მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. სხვა საკითხებს გარდა, კრების უმთავრესი განსახილველი საკითხი არიოზის ერესის დაგმობის საკითხი იყო. კრებაზე არიოზი იცავდა თავის ცრუმოდვრებას და ამტკიცებდა, რომ იესო “არ იყო შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“, რომ იყო დრო, როცა იგი არ იყო, რომ იგი არის ქმნილება და ა.შ.





კრებაზე ამასთან დაკავშირებით ცხარე კამათი გაიმართა და მიუხედავად იმისა, რომ არიოზს მხარს უჭერდა რამდენიმე ეპისკოპოსი, კრებამ არიანელობა, როგორც მწვალებლობა დაგმო, არიოზის წიგნები დაწვეს, მისი მიმდევრები განკვეთეს, თუმცა არიანელობა კიდევ დიდხანს აგრძელებდა არსებობას სხვადასხვა ადგილას სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად.

არიოზის მიერ წამოჭრილი საკითხი მამლმერთისა და ძელმერთის მიმართების შესახებ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოცხრალი, რომ წამოიჭრა ახალი სადაო საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია მამლმერთი და ძელმერთი სულიწმინდას მიმართ. 381 წელს კონსტანტინეპოლის მეორე საეკლესიო კრებამ, რომელიც იმპერატორ თეოდორის ბრძანებით იქნა მოწვეული, განიხილა მაკედონისა და მის მიმდევართა ერესი, რომლებიც უარყოფდნენ სულიწმინდის ღვთაებრიობას. საეკლესიო კრებამ დაგმო მაკედონის მწვალებლური შეხედულებანი და განკვეთა იგი.

რამდენიმე წლის შემდეგ სამების დოგმატზე დავა კვლავ გამოცოცხლდა კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსის ნესტორის მიერ. ნესტორი არიანელთა საწინააღმდეგოდ ცნობდა ქრისტეს ღმერთისაგან მარადიულ არსებობას, მაგრამ სხვაგვარად ესმოდა ქრისტე, როგორც “ღმერთკაცი”. ნესტორის მოძღვრების თანახმად, ქრისტე მარიამისაგან დაიბადა როგორც კაცი, მაგრამ იგი მესია გახდა მას შემდეგ, რაც მასში გაცოცხლდა სულიწმინდა. ნესტორი ქრისტეს ორად ყოფდა ძელღვთისად (ლოგოსი) და კაცად (იესო), ამიტომ იგი უარყოფდა მარიამს, როგორც ღვთისმშობელს და იგი “კაცისმშობლად” მიაჩნდა. არიანელთა მსგავსად, ნესტორი ანტიკურ რაციონალიზმის მომხრე იყო. ნესტორის ერესთან დაკავშირებით 431 წელს ქ. ეფესოში იმპერატორ თეოდოსის ბრძანებით



მოწვეულ იქნა მესამე საეკლესიო კრება, რომელმაც განიხილა ნესტორიანელობა, როგორც მწვალებლობა. კრებამ კარგი ალექსანდრიელის არგუმენტების საფუძველზე დაგმო ნესტორიანელობა, როგორც მწვალებლობა, რასაც მხარი დაუჭირა რომის პაპმაც. ნესტორი ერეტიკოსად გამოცხადდა, მისი მიმდევრები განდევნეს.

მეხუთე საუკუნეში ქრისტიანულ ეკლესიაში კიდევ ერთი ერესი გამოჩნდა. ეს იყო კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტის ევტიქის მწვალებლური სწავლება ქრისტეს ბუნების შესახებ. მისი მტკიცებით, იესო ქრისტეში იყო ერთი ღვთაებრივი ბუნება და ერთი ნებისყოფა. რაც შეეხება კაცის ბუნებასა და ნებისყოფას, იგი ჩანთქმული იყო ღვთაებრივ ბუნებაში. ამასთან დაკავშირებით 451 წელს ქალკედონში მოწვეულ იქნა მეოთხე საეკლესიო კრება. კრებაზე წაიკითხეს პაპ ლევის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ “იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი ცოდვის გარეშე. განხორციელებისას მას აქვს ერთი პირი და ორი ბუნება, შეერთებული მასში ერთპირად შეურევნელად, განუყოფლად, განუყრელად და უქცეველად. მეოთხე კრებას “ძეგლი მართლმადიდებლობისა“ ეწოდა და ქრისტეში ორი ბუნება დაადგინა, სადაც “განუყოფლად“ იმას ნიშნავს, რომ ორი ბუნება შეერთებულია ერთგვამოვნად. “განუყრელად“ იმას ნიშნავს, რომ შეერთება ორი ბუნებისა გრძელდება მარადის. კაცობა იესოში არასოდეს ყოფილა განსაკუთრებულ პიროვნებად, არამედ ვლინდება მის ღვთაებობაში. “შეურევნელად“ იმას ნიშნავს, რომ ორი ბუნება ქრისტეში არასოდეს შერეულა ისე, რომ მიგველო მესამე ბუნება, არამედ ორივე ბუნება მასში იმყოფება, როგორც ორი სხვადასხვანაირი ბუნება. “უქცეველად“ იმას ნიშნავს, რომ ღვთის ძისგან კაცური ბუნების მიღებით არ შეცვლილა არც ღვთაებრივი და არც

კაცური ბუნება, არ ქცეულა კაცური ღვთაებრივად და ღვთაებრივი კაცურად, არამედ დარჩა უცვლელად და მთელად პაპის წერილის საფუძველზე კრებამ განკვეთა ევტიქი ქრისტიანული ეკლესიიდან.

553 წელს იმპერატორ იუსტინიანე პირველის მიერ მოწვეულ იქნა კონსტანტინეპოლის მეხუთე საეკლესიო კრება, რათა შეერიგებინა მონოფიზიტები და დიოფიზიტები, მაგრამ დავა ვერ გადაწყდა, კრებაზე საბოლოოდ დაამარცხეს მონოფიზიტები.

მეშვიდე საუკუნის ბოლოს კიდევ გამოჩნდა ახალი ერესი ე.წ. მონოთელიტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტეში არის ერთი ღვთაებრივი ნებისყოფაო. იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის მიერ კონსტანტინეპოლში მოწვეულ იქნა მეექვსე საეკლესიო კრება, რომლის მიზანი მონოთელიტების განადგურება იყო, რამდენადაც ისინი სახელმწიფოში რელიგიურ განხეთქილებას იწვევდნენ.

მერვე საუკუნის ბოლოს 787 წელს ქ. ნიკეაში ჩატარდა მეშვიდე საეკლესიო კრება, სადაც ხატთა თაყვანისცემის საკითხი იდგა. ესეც სამების დოგმატს უკავშირდებოდა, რამდენადაც დაისვა საკითხი რამდენად ბუნებრივია ღვთის სახის გამოხატვა. ნიკეის კრებამ ხატთა თაყვანისცემა დააკანონა.

პირველი საეკლესიო კრებების ეს ზოგადი დახასიათებაც კი ნათლად აჩვენებს, თუ რა მთავარი, სადაო-საღვთისმეტყველო საკითხები დადგა ქრისტიანული რელიგიის პირველსავე პერიოდში.

რწმენის სიმბოლო იწყება ერთი ღმერთის აღიარებით: “მუამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა”. როგორც ვხედავთ ღმერთი სამი ნიშნით ხასიათდება: ღმერთი არის მამა-ღმერთი, ღმერთი არის ყოვლისშემძლე და ღმერთი არის



შემოქმედი ყოველთა. მაგრამ რა არის თვითონ ღმერთი, საიდან გაჩნდა აზრი ღმერთის შესახებ. ისტორიაში მას სამკვარი პასუხი გაეცა:


1. არსებობს ერთი ღმერთი-მონოთეიზმი,
2. არსებობს მრავალი ღმერთი-პოლითეიზმი და
3. ღმერთი არ არსებობს-ათეიზმი.

აქ ყველგან ფიგურირებს ერთი ტერმინი-ყოფიერება, რომელიც უდრის აბსოლუტს.

როცა ღმერთზე და მის ნიშნებზე ვლაპარაკობთ. ჩვენ რასაკვირველია გამოვდივართ ღმერთის ბიბლიური გაგებიდან. მასში ღმერთი სხვადასხვა სახელით გვხვდება, კერძოდ: ელ, ელოჰიმ, ელოჰა, ადონაი, იაჰვე. მაგრამ ყველა შემთხვევაში ბიბლიური ღმერთი არის ელ და მას, უპირველეს ყოვლისა, პიროვნული ღმერთის სახით წარმოადგენს ბიბლია. იგი არ არის ადგილობრივი ღმერთი, საგნობრივი ღმერთი, იგი არ არის წმინდა ხე, წმინდა მდინარე, წმ. ქვა და ა.შ. წარმართული რელიგიებისაგან განსხვავებით ბიბლიური ღმერთი არის ადამიანების ღმერთი, იგი არის აბრამის, ისაკისა და იაკობის ღმერთი და იმყოფება არა რომელიმე კონკრეტულ ადგილას, არამედ ყველგან, სადაც კი არის ადამიანი.

ამასთან ერთად ბიბლიური ღმერთი, ელი, არის არა მარტო პიროვნული არსება, არა მარტო მამა-ღმერთი, შემოქმედი და ბრძენი, არამედ იგი არის ყველაზე უმაღლესი ღმერთი, ერთადერთი ძალა, რომელიც აერთიანებს ყველაფერს და მაღლა დგას ყველაფერზე.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბიბლიური ღმერთი არის აღთქმული ქვეყნის ღმერთი, იმედისა და მომავლის ღმერთი. ბიბლიაში ღმერთის აღსანიშნავად იხსენიება აგრეთვე, იაჰვე, იელუა. მაგრამ იგი იხსენიება, როგორც გამორჩეული ხალხის ღმერთი და მას არა აქვს რაიმე კონკრეტული სახელი.



ებრაული სიტყვა “იაჰვე” სიტყვა-სიტყვით ნიშნავს-“მე ვარ”. ე.ი. როცა ღმერთს ეკითხებიან “ვინა ხარ შენ?” იგი პასუხობს: “მე ვარ, რომელი ვარ”, (გამოსვ. 3.14). ბიბლიის სხვა ადგილებზეც ღმერთის სახელის მოხსენიება იაჰვეს სახით არ გვხვდება. კითხვაზე, თუ რა გქვია სახელად, უფლის ანგელოზი პასუხობს: “რისთვის მეკითხები სახელს? საიდუმლოა იგი” (მსაჯ. 13.18). უცნობთან ღამით მოჭიდავე იაკობი ეკითხება მას: “მითხარი შენი სახელი”. უცნობი პასუხობს: “რისთვის მეკითხები სახელს?” (დაბ. 32.29). ისე როგორც ცეცხლმოდებულ მაყვლის ბუჩქთან მოსეს უფალი თავის სახელს არ ეუბნება, ბიბლიის სხვა ადგილებშიც ამ სახელს არ ვხვდებით. იგი არ იხსენიება არც ახალ აღთქმაში, სადაც ღმერთი ყველგან უფლის სახელით გვხვდება. ღმერთის ქრისტიანულ გაგებაში ლოგოსი არის უპირველესი და უმთავრესი მატერიასთან შედარებით. ლოგოსის ქვეშ კი იგულისხმება აზრი, სიყვარული, თავისუფლება. ღმერთის ქრისტიანული რწმენა ასაბუთებს ლოგოსის პრიმატს რეალობასთან მიმართებაში. ღმერთის ქრისტიანულ გაგებას ბუნებრივია მოყვება საკითხი სამსახოვანი ღმერთის შესახებ. ძველ აღთქმაში ღმერთი გვევლინება, როგორც შემოქმედი, მამა ისრაელიანთა. ახალ აღთქმაში კი უხილავი ღმერთი ქრისტეს სახით დასანახად გამოეცხადა ადამიანს, ქრისტეში ადამიანები კაცს შეხვდნენ, ღმერთი ნახეს მოვლენილის სახით, რომელიც თვით არის ღმერთი. ქრისტიანული რწმენა ღმერთს აღიარებს, როგორც პიროვნებას, სიტყვას, სიყვარულს, მაგრამ, რომელიც ადამიანშია, მას ხედავს, ესაუბრება და ა.შ.

ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს მეორე წევრი არის იესო, კაცი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის ოცდამეათე წელს პალესტინაში შეიპყრეს და ჯვარს აცვეს, ეს არის კაცი ღმერთის გამორჩეული, ღმერთის ჭეშმარიტი ძე, მთელი საკაცობრიობო ისტორიის დადააზრი, იესო ქრისტე. სწორედ ქრისტეში მოხდა



სიტყვისა და სხეულის საოცარი შერწყმა. ისტორიული პიროვნება იესო არის ძე ღვთისა, ღმერთი ეცხადება ადამიანს კაცის სახით. კერძოდ იმ კაცის სახით, რომელიც ამავე დროს არის ღმერთი. “და მწამს ქრისტე იესო“-ამბობს რწმენის სიმბოლო და აქ ქრისტე წოდებას მიუთითებს-“მწამს მხსნელი იესო“. ე. ი. იესო ქრისტეა, მხსნელია. მაგრამ იესო მხსნელია თავისი ჯვარცმით, თავისი თავდადებით. კაცობრიობის ხსნა, სწორედ, ჯვარცმით განხორციელდა. “იესო ქრისტე“-აქ იესო პიროვნებას აღნიშნავს, ხოლო ქრისტე კი მის საქმეს-ჯვარცმით კაცობრიობის ხსნას.

ე.ი. ქრისტიანული ცხოვრება მართო იმაში კი არ იხატება თუ რა გაუკეთე შენ უფალს, არამედ იმაშიც, თუ რა გაუკეთე შენ მეორე ადამიანს, რით დაეხმარე მას, რით გადაარჩინე გაჭირვებული. ქრისტიანობაში პიროვნება და საქმე, ღმერთი და სიტყვა იგივეობრივი ცნებებია, ამიტომ ამბობს იოანე-“პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი“. და რადგან ღმერთი არის სიყვარული, იესო ქრისტე, როგორც სიყვარული, არის ღმერთი.

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ქრისტეს ყოფიერება სამებაში ერთიანობაში ვლინდება, რომელთა განცალკევება არ ხდება. ის ემთხვევა ღმერთს, ე.ი. იესო არის ღმერთი, იესო არის კაცი. ქრისტიანობის ჭეშმარიტი სწავლება იესო ქრისტეს ორი ბუნების-ღვთიურისა და ადამიანურის აღიარებაში მდგომარეობს.

იესო ქრისტეს გაგებას უშუალოდ უკავშირდება სიმბოლოს მესამე წევრის სულიწმინდას აღიარება. სახარებებშიც ჩვენ ქრისტეს წარმოშობის შესახებ ვხვდებით ბევრ მოვლენას, რომელიც საიდუმლოთია მოცული. ქრისტეს, როგორც მესიას, ბევრი უარყოფდა იმ არგუმენტით, რომ მათთვის ცნობილი იყო ქრისტეს სადაურობა, ხოლო მესიას შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა. “მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით საიდანაცაა იგი.

ხოლო ქრისტე რომ მოვა, არავის ეცოდინება საიდან იქნება იგი“ (იოან. 7.27). მაგრამ იოანე ხშირად იმეორებს, რომ ქრისტე ნაზარეთიდან რომ იყო, ამის ცოდნა ბევრს არაფერს ნიშნავს, რამდენადაც მისი ჭეშმარიტი წარმოშობა “მამიდანაა“ და მისი მოსვლა სულ სხვაგვარად მოხდა, ვიდრე რომელიმე სხვა წარმოგზავნილისა: “მეც მიცნობთ და ჩემი წარმომავლობაც იცით. ჩემით არ მოვსულვარ. მაგრამ ჭეშმარიტია ჩემი მომავლინებელი, რომელსაც თქვენ არ იცნობთ“ (იოან. 7.28). ამასთან დაკავშირებით, სახარებებში ხშირად მიმართავენ ძველ აღთქმას, სადაც ქრისტეს საიდუმლო მოსვლის შესახებ არის მინიშნებული. ამასთან ქალწული მარიამი უბრალოდ ქალად კი არ მოიხსენიება, არამედ ისრაელის გადამრჩენელად, როგორც ჭეშმარიტ სიონად: “კურთხეულ იყოს დიაცთა შორის იაყელი, კარავში მცხოვრებ დიაცთა შორის კურთხეულ იყოს“ (მსაჯ. 5.24) და შემდეგ: “გიხაროდეს, სიონო, იყიჟინე, ისრაელო! იმზარულე-და იხალისე მთელი გულით, იერუსალიმის ასულო. უფალო, შენი ღმერთი, შენს წილშია, გმირი, რომელიც გიხსნის; სიხარულით გაიხარებს შენზე, განგაახლებს თავის სიყვარულში, სიმღერით იზეიმებს შენს გამო (სოფ. 3.15-17). ძველ აღთქმაში ღმერთის სული არის მარადიული ძალა, რომელიც მიდიოდა ქაოსში და რომელმაც გააჩინა სამყარო. მაგრამ ის, ვინც ქალწულ მარიამისაგან გაჩნდა, მანამდე უკვე იყო ქმნადობა განხორციელებული, ხოლო მაცხოვარი სულიწმიდას საშუალებით მოევლინება ქვეყანას. “სული წმიდა გადმოვა შენზე, და უზენაესის ძალა მოგიჩრდილებს შენ. და ამიტომ ღმერთის ძედ იწოდება წმიდა შობილი“ (ლუკ. 1.35).

რამდენადაც მამა-ღმერთთან მიმართებაში იესო ქრისტე შედარებით საიდუმლოებითაა მოცული, იმდენად იგი გასაგები ხდება სულიწმიდასთან დამოკიდებულებაში. სული წმიდა მოქმედი ძალაა, რომელიც ყოველთვის ვლინდება ადამიანის



მოქმედებაში, განსაკუთრებით კი ქრისტეს საიდუმლოებების აღსრულებისას. მისი მოფენა ყოველთვის ხდება. ამიტომ ამბობს პავლე მოციქული: “თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისგან გაქვთ“ (1 კორ. 6.19). “მადლი უფლისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და ზიარება სულიწმიდითა იყოს თქვენგან“ (2 კორ. 13.13). ქრისტე გვიხსნის ჩვენ წმ. სამების საიდუმლოს ღმერთის წინასწარგანზრახითა და ქმნადობის ჩვენებით, იგი გვიხსნის ღმერთის სრულყოფილ სახეს. მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის შეხვედრა, სწორედ, სულიწმიდაში ხდება. სულიწმიდაში გამოხატავს იესო თავის სიხარულს, თავის ტკივილებს. როცა იესო აჩვენებს სულიწმიდას, როგორც ღვთაების ერთ-ერთ პირს, ამით იგი იმასაც აჩვენებს, რომ ღმერთი არის სული. “ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“ (იოან. 4.24). ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არის შემოქმედი და ყოვლისშემძლე, და ამავე დროს იგი ყოველთვის მზადაა თავგანწირვისათვის. ადრექრისტიანული ეკლესია იესოს-როგორც პიროვნებას და ქრისტეს, როგორც მესიას კიდევ სხვა სახელებითაც მოიხსენიებს. კერძოდ, მას უწოდებენ ღვთის კრავს, დავითის ძეს, ძე ღვთისას, კაცობრიობის შვილს, შუამავალს, ღვთის სიტყვას, წინასწარმეტყველს, წმინდანს, უფალს, ღვთის მსახურს და სხვა. (მათ. 1. 1-18, 16-21. იოან. 1.17. 17.3). და ეს სახელები იესო ქრისტეს საქმეებიდან მოდის, როცა ბრძენებს თვალეები ეხილებათ, ყრუებს ესმით, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმინდებიან, მკვდრები აღდგებიან. და ეს სასწაულები სულიწმიდას გზით ხდება, მაგრამ მათზე დიდი ხნით ადრე იყო მინიშნებული. ჯერ კიდევ ისაია წინასწარმეტყველი ამბობდა: “გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალეები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ. აეხილებათ





თვალეები ბრძმებს და ყრუებს სასმენელნი გაეხსნებათ“ (ისაია, 29.18; 35.5).

იესო მრავალ სასწაულს ახდენს, მაგრამ სასწაულს ახდენს არა იესო-პიროვნება, არამედ იესო ქრისტე მამადმერთსა და სულიწმიდაში გაერთიანებული. ქრისტე ასწავლის, რომ ღვთიური სამეფო გაიხსნება მისი სიტყვებით. მაგრამ მას გაიგებს ის, ვინც გულით ირწმუნებს მას. იესოს ცნობილი იგავი მთესველზე ამის მაგალითია. “ნეტარ არიან თქვენი თვალეები, რომ ხედავენ და თქვენი ყურები, რომ ისმენენ. მრავალ წინასწარმეტყველსა და წმიდას სურდა ეხილა ის, რასაც თქვენ ხედავთ, მაგრამ ვერ ისმინეს. ყველას, ვისაც ესმის სიტყვა სასუფეველზე და გონებით არ ჩასწვდება, მოუხდება ბოროტი და მოსტაცებს მის გულში ჩათესილს. ხოლო კლდოვანზე დათესილი ის არის: ვინც სიტყვას მოისმენს და მაშინვე სიხარულით მიიღებს მას; მაგრამ ფესვები არ გააჩნია თავისში და ხანმოკლეა. რაჟამ დადგება ჭირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მაშინვე ცდუნდება. ხოლო ეკლებში დათესილი ის არის: ვინც სიტყვას ისმენს, მაგრამ წუთისოფლის საზრუნავი და სიმდიდრის ხაცდური აშთობენ სიტყვას და იგი უნაყოფო შეიქმნება. ხოლო, ნოყიერ მიწაზე დათესილი ის არის, ვინც მოისმენს სიტყვას და გონებით ჩაწვდება, და სწორედ ის არის ნაყოფიერი. ისე, რომ ზოგი ასს გამოიღებს, ზოგი სამოცს და ზოგიც ოცდაათს“ (მათ. 13.16-23). იესოს სწავლებით ღვთიური სამეფო მომავლის საქმე კი არ არის, არამედ მას მიიღებს ის, ვინც აღიარებს მხსნელის მესიას, ვინც დაინახავს ქრისტეს: “ღვთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ. არც იტყვიან: აგერ აქ არის, ან აგერ იქო, ვინაიდან, აჰა, თქვენშია ღვთის სასუფეველი“. (ლუკ. 17. 20-21).

როცა სულიწმიდაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, დაისმის საკითხი თვით სულის შესახებ. რა არის სული? ეს კითხვა



სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. სიტყვა “სული” ჩვეულებრივ აღნიშნავს რაღაც უხილავ არსებას, რაღაც ცხოველმყოფელ საწყისს, რომელიც დამოკიდებული არ არის მოვლენაზე; სული საგნის არსებაა. ადამიანის სული ეს მისი ცნობიერებაა. ადამიანში სული შეიძლება იყოს სიკეთის, სიმშვიდის, სიწმინდის, სილამაზის და ა.შ. სახით. მაგრამ იგი შეიძლება ასევე იყოს ბოროტების, მრისხანების, სიმახინჯის და სხვა სახით.

ძველ აღთქმაში გარკვევით არ არის მითითებული, თუ საიდან მოდიან ბოროტი სულები, მაშინ, როცა ნათლადაა მითითებული, რომ კეთილი სულები ღმერთიდან მოდიან: “დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონივრებისა, სული რჩევისა და სიმხნევისა, სული შეგნებისა და უფლის შიშისა“ (ეს. 11.2), და შემდეგ: “ჩემს სულს ჩაგიდგამთ შივნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებაზე იაროთ“ (ეზეკ. 36.27). სულიწმიდას შემეცნება არ ნიშნავს საკუთარ პიროვნებაზე უარის თქმას, იგი მის ფლობას უფრო ნიშნავს. ბიბლიაში განსხვავებულია სული და სუნთქვა. ადამიანის სული მასში ღვთიურ სულს ნიშნავს. სულიწმიდა ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგაა მიმართული. იესო ქრისტე სულიწმიდას ძალით ყოველთვის ამარცხებს ბოროტ სულებს: “თუ მე ღმერთის სულით ვაძევებ ეშმაკთ, მოუწევია კიდევ თქვენამდე ღმერთის სასუფეველს“ (მათ.12.28).

სულიწმიდა შეიძლება გავიგოთ, როგორც ისეთი ძალა, რომელიც გამოაცხადებს და იცავს იესო ქრისტეს, ეხმარება მის მოვლენას. “და ვთხოვ მამას, და მოგივლენთ სხვა ნუგეშისმცემელს, რათა იყოს თქვენთან უკუნისამდე. ჭეშმარიტების სულს, რომლის მიღებაც არ შეუძლია ჭეყანას, ვინაიდან ვერ ხედავს და არ იცნობს მას, ხოლო თქვენ იცნობთ, ვინაიდან თქვენთანაა და თქვენში იქნება. ხოლო როდესაც

მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მოგივლენთ მამის მიერ, ჭეშმარიტების სული, რომელიც გამოდის მამისგან. ის იმყოფება ჩემთვის“ (იოან. 14.16, 15.26). სულიწმიდას მოსვლა დაკავშირებულია ქრისტეს წასვლასთან. მისი მოსვლა აღამიანთა შორის ქრისტეს მეორედ მოსვლის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპია: “ჭეშმარიტებას გეუბნებით: გიჯობთ, რომ წავიდე; რადგან თუ არ წავალ, არ მოვა თქვენთან ნუგეშისმცემელი, ხოლო თუ წავალ, მოგივლენთ მას“ (იოან. 16.7). საიდუმლო სერობის დროს თავის სიტყვაში ქრისტე აუწყებს მოწაფეებს, რომ ის კვლავ მოვა უკვე აღდგომის შემდგომ დღეებში, მაგრამ მაშინ მისი მოსვლა იქნება არა გრძნობისმიერი, არამედ სულიერი. ამის შემდეგ მისი ლოცვით მამა გამოგზავნის სხვას-სულიწმიდას, რომელიც აღამიანებისათვის ქრისტეს ცვლის და იგი-სულიწმიდა არის იესო ქრისტე. “ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარით“ (იოან. 14.26). ახალ აღთქმაში “სული წმიდა“, ამ სახელს გარდა მოიხსენიება როგორც ნუგეშისმცემელი, როგორც ჭეშმარიტების სული. “მოგივლენთ ჭეშმარიტების სულს, რომლის მიღებაც არ შეუძლია ქვეყანას, ვინაიდან ვერ ხედავს და არ იცნობს მას. ხოლო თქვენ იცნობთ, ვინაიდან თქვენთანაა და თქვენში იქნება (იოან. 14.17). სამებისა და ერთარსების დოგმა ასეა იოანეს მიერ ჩამოყალიბებული: “ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარით“ (14.26). აქ ნათლადაა მინიშნებული მამის, ძისა და სული წმიდას ერთიანობა.

“სული წმიდა“ აქტიურად იმყოფება ქრისტეს მოწაფეებს შორის, რათა ადიდონ მაცხოვარი, გაავრცელონ მისი მოძღვრება. როგორც ქრისტე ფლობს ყველაფერს, რასაც მამა-



ღმერთი, ასევეა სული წმიდაც. ის მოაგონებს ყველაფერს, რასაც ამბობდა იესო, რაც მოხდა ადგომის დროს და აქედან მოწაფეებს შესაძლებლობას დაამოწმონ ის, რაც მოხდა, რადგან: “როცა კაცის ძეს აამაღლებთ, მაშინ გაიგებთ, რომ ეს მე ვარ და არაფერს ვაკეთებ ჩემით, არამედ, რაც მამამ მასწავლა, იმას ვლაპარაკობ. ღმერთი რომ მამა იყოს თქვენი, მაშინ გეყვარებოდით, რადგან მე გამოვედი და მოვედი ღვთისგან, ვინაიდან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან მომავლინა”. (იოან. 8.28.42).

“სული წმიდა“ ყოველგვარი დაბნეულობის საწინააღმდეგოდ აცხადებს ჭეშმარიტებას და ამით აჩვენებს თავს როგორც ჭეშმარიტებას სულის. ის არის მსაჯული, რომელიც იცავს ქრისტეს ყველასთან: ქრისტე კი აკეთებს იმას, რასაც მამა აკეთებს, როგორც მამა, ისიც აღადგენს მკვდრებს და აცოცხლებს, ამიტომ მას ისევე უნდა სცენ პატივი, როგორც მამას, როგორც მამას, მასაც აქვს სიცოცხლე თავის თავში, იგი თავისით არაფერს აკეთებს, არამედ აკეთებს მამის ნებით. ქრისტეს ჭეშმარიტების დამმონებელი არის სული წმიდა. იგი ასწავლის, რომ ვისაც არ სწამს ქრისტე, იგი ცოდვილია. ქრისტე თავისი ცხოვრებით ადამიანს ასწავლის როგორ დაძლიონ ამქვეყნიური სიძნელები: “წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე წუთისოფელს” (იოან. 17.33).

ასეთია ძალიან ზოგადად ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს პირველი სამი წევრის, ანუ სამების დოგმატის ირგვლივ წარმოებული დავა, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის ადრინდელ პერიოდში გაიმართა და რომელსაც რამდენიმე საეკლესიო კრების საკმაოდ დიდი დრო შეეწირა.

მაგრამ, სამების დოგმატის საკითხი ადრინდელი ქრისტიანობით არ შემოფარგლულა. მწვავე კამათი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და იგი დღესაც არ წყდება. არ

შევვებებით ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოებულ ყველა მოვლენას. შევჩერდებით თუნდაც ერთ რელიგიურ მიმართულებაზე, რომელიც იელოველების სახელით არის ცნობილი და რომელიც განსაკუთრებულ პრეტენზიას აცხადებს სამების დოგმატის ჭეშმარიტ ახსნაზე.

იელოველთა სექტა, რომელიც “იელოვას მოწმეების” სახელითაა ცნობილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა ამერიკაში. მისი დამაარსებელი ჩარლზ რასელია, რომლის მოძღვრება სხვადასხვა მწვალებლური შეხედულებების ნარევია. სექტას სახელი ეწოდა ერთ-ერთი ბიბლიური საღმრთო სახელის მიხედვით, რომელიც ძველებრათი სიტყვა “იაჰვე“-თი აღინიშნება. იელოვას მოწმეები სწორედ იაჰვეს (იელოვას) აღიარებენ ერთადერთ ღმერთად. სინამდვილეში იელოვა რომელიმე კონკრეტული სახელის სახით კი არ არის მოტანილი ძველ აღთქმაში, არამედ ის ღმერთის რაღაც მდგომარეობას აღნიშნავს. “გამოსვლათა“ წიგნში ღმერთი ასე მიმართავს მოსეს: “უთხრა მოსემ ღმერთს: კარგი, მივედი ისრაელიანებთან და ვუთხარი, თქვენი მამაპაპის ღმერთმა გამომგზავნათქო. თუ მკითხეს მისი სახელი, რა ვუბასუხო? უთხრა ღმერთმა მოსეს: მე ვარ, რომელიც ვარ (ე.ი. იელოვა), ასე უბასუხე ისრაელიანებს: რომელიც ვარ (ე.ი. იელოვა) გზავნის თქვენთან“ (გამოს. 3. 13-14). ბიბლიის ყველა ადგილზე იელოვა ასეთი მნიშვნელობით იხმარება. რაც შეეხება ახალ აღთქმას, მასში ღმერთი ყველგან უფლის სახელით მოიხსენიება. ისიც უნდა ითქვას, რომ ძველ აღთქმაში ღმერთი სხვადასხვა სახელებით მოიხსენიება.

“იელოვას მოწმეები“ არასწორად განმარტავენ ქრისტიანული სამების დოგმატს. ისინი, ჯერ ერთი, უარყოფენ ქრისტეს ღვთაებრიობას და ამდენად მამაღმერთთან მის თანასწორობას. არადა სახარების არაერთ ადგილას არის

მინიშნებული მამისა და ძის თანასწორობა. აი რას ამბობს ლუკა:  
 “ჩემი უარყოფელი უარყოფს ჩემს მომავლინებელს“ (10.16) და  
 იოანე: რომელმან მიხილა ძე, იხილა მამაი ჩემი“ (იოან. 14.9).  
 ქრისტე თავის თავს იელოვას (მე ვარ) უწოდებს (იოანე. 8.58).

წმინდა წერილში არაერთხელ არის მოხსენიებული და  
 დამოწმებული დოგმატი სამების შესახებ, რომელსაც იელოვას  
 მოწმეები უარყოფენ. მოვიტანთ ორ ადგილას მათესა და იოანეს  
 სახარებიდან: “წარველით და მოიმოწაფენით წარმართი და  
 ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა  
 წმიდისათა“ (მათე. 28.19). და შემდეგ: “რამეთუ სამნი არიან,  
 რომელნი წამებენ ცათა შინა მამაი, სიტყუაი და სული წმიდაი,  
 ესე სამი ერთ არიან და სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული  
 და წყალი და სისხლი. და სამნივე ესე ერთისა მიმართ არიან“  
 (იოანე. 5.7-8). სამების ერთიანობა წმ. წერილში არაერთხელ  
 არის დამოწმებული. ბიბლიური გაგებით წმ. სამების ყოველი  
 წევრი ღმერთია. კერძოდ, ბიბლიაში ნათქვამია, რომ სამების  
 პირველი პირი-მამა ღმერთია-“ერთ-არს ღმერთი მამა“. ასევე  
 ღმერთად მოიხსენიება იესო ქრისტეც: “ღმერთი გამოჩნდა  
 ხორციითა“. ასევე ღმერთია სულიწმიდაც: “ტაძარნი ღმრთისანი  
 ხართ და სული ღმრთისაი დამკვიდრებულ არს თქუენ შორის“.  
 წმ. სამების ერთარსობაც ბევრგან არის დადასტურებული  
 ბიბლიაში: “სამნი არიან, რომელნი წამებენ ცათა შინა: მამა,  
 სიტყუა და სული წმიდა“. იელოვას მოწმეები იესო ქრისტეს  
 ღმრავებრიობას უარყოფენ, ხოლო წმინდა წერილი, სწორედ,  
 ქრისტე რომ ღმერთია ბევრგან მიუთითებს: “სიტყუაი იგი იყო  
 ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“ (იოან. 1,1). ქრისტეს  
 აქვს ღმერთის ყველა თვისება: უცვლელობა,  
 ყოვლისმცოდნეობა, ყოვლისშემძლეობა, ყველგანყოფილება,  
 მარადიულობა.

იელოველები იესო ქრისტეს არ თვლიან ჭეშმარიტ ღმერთად.



იგი მამაღმერთის ქმნილებად მიაჩნდათ მხოლოდ. ისინი ხშირად იმეორებენ იოანეს სახარებიდან ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ “მამაი ჩემი უფროის ჩემსა არს“. საქმე გვაქვს ამ ადგილის არასწორ გაგებასთან. იესო ქრისტე არის ღმერთი და კაცი. ქრისტეს ორი ბუნება და ორი ნებისყოფა აქვს. იგი საჭიროების მიხედვით მოქმედებს როგორც ღმერთი, ან როგორც კაცი. ღმერთი მდაბლდება კაცამდე. ის ქარიშხალს აწყნარებს როგორც ღმერთი და სძინავს როგორც კაცი, იგი მკვდრებს აღადგენს როგორც ღმერთი და თავის მოწაფეებთან ტრაპეზს ინაწილებს როგორც კაცი. ღვთაებრივი ბუნებით იგი ღმერთის თანასწორია-“მე და მამა ერთი ვართ“-ხოლო, როგორც კაცი ნაკლებია ღმერთზე; ლოცულობს მასზე. ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება მის ყოვლისმცოდნეობაშია, ხოლო მის კაცური ბუნების გამო, მან არ იცის მეორედ მოსვლის დღე. ქრისტეს, როგორც ღმერთისა და როგორც კაცის საიდუმლოება ის არის, რომ ეს ორი ბუნება შეერთებულა ერთმანეთთან, მაგრამ ისე, რომ ღვთაებრივი არც სპობს და არც ცვლის კაცობრივ ბუნებას.

საჭიროდ არ ვთვლით გავაგრძელოთ იელოვას მოწმეების სხვა არგუმენტების განხილვა. ნათქვამიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ეს არგუმენტები ემყარება წმ. წერილის არცოდნას, ან მის თვითნებურ განმარტებას. სამების დოგმატის ჭეშმარიტი გაგება მხოლოდ მართლმადიდებლური მოძღვრებით არის შესაძლებელი.

**ქრისტიანული ღვთისმეტყველება.** ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიზანია დაასაბუთოს რელიგიური რწმენის ჭეშმარიტება, რელიგიურ შეხედულებათა უცოდველობა, ქრისტიანულ დოგმატთა მარადიულობა. თეოლოგია ეს არის დასაბუთება მოძღვრებისა ღმერთის შესახებ, მისი თვისებების, რელიგიურ დოგმატთა, წეს-ჩვეულებათა, ზნეობის, მრევლისა და ეკლესიის მსახურთა ქცევის წესების შესახებ. თეოლოგია



ასაბუთებს საღვთო წერილის ღვთიურ წარმოშობას, ეკლესიის ღვთიურ ბუნებას, დოქტორგიკისა (ღვთისმსახურება) და პომილეტიკის (სამქადაგებლო მოღვაწეობა) საიდუმლო, ღვთიურ ხასიათს. ღვთისმეტყველება აწესრიგებს მთელ რელიგიურ კომპლექსს, იგი არის რელიგიური იდეოლოგიის კონცენტრირებული გამოხატულება.

ქრისტიანული თეოლოგიის საფუძვლები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ჩაიყარა სხვადასხვა ერეტიკულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში. ამ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ფორმირების პროცესში მყოფი ეკლესია და ეპისკოპატი. ეკლესია გამოდიოდა მიწაზე ღმერთის ნაცვლის, რელიგიური დოგმატიკისა და კულტის ყველა საკითხების განმმართველის როლში. თავდაპირველად ქრისტიანული თეოლოგია მთავარ მიზნად ისახავდა ახალი რელიგიის უპირატესობის დასაბუთებას სხვა რელიგიებთან შედარებით, სხვადასხვა ერესების წინააღმდეგ ბრძოლას, ორთოდოქსალური ქრისტიანული დებულებების გადმოცემას. ამგვარი აპოლოგეტიკა ჯერ კიდევ პავლე მოციქულის მიმართებებში (რომაელთა მიმართ) და იოანეს სახარებაში შეინიშნება. აღრეული ქრისტიანობის გამოჩენილი აპოლოგეტები იყვნენ იუსტინე წამებული, ტატიანე, თეოფილე ანტოქიელი, ირინეა ლიონელი, იპოლიტე, ტერტულიანე, კლიმენტ ალექსანდრიელი, ორიგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პირველ აპოლოგეტთა ბევრი დებულება ეკლესიამ არ მიიღო, მათ მაინც უდიდესი როლი შეასრულეს ქრისტიანული თეოლოგიის ჩამოყალიბებაში. ე.წ. ეკლესიის მამები-ვასილი დიდი, გრიგორ ღვთისმეტყველი, გრიგორი ნისელი, ათანასე დიდი, ამბროსი, იერონიმე, ნეტარი ავგუსტინე და სხვები ძლიერ გავლენას განიცდიდნენ ამ აპოლოგეტთა მხრივ.



მსოფლიო კრებების შემდეგ, სადაც გაფორმდა ქრისტიანობის ძირითადი დოგმატები, ღვთისმეტყველები ასაბუთებდნენ თავიანთ დოგმატებს და ცხარე ბრძოლებს აწარმოებდნენ სხვადასხვა ერესების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ერესები პირველ საუკუნეებში ფართოდ ვრცელდებოდა და IV-V საუკუნის ეკლესიის მამები ცდილობდნენ მიეცათ ამ ერესების უსაფუძვლობის იდეოლოგიური დასაბუთება.

ქრისტიანული თეოლოგიის განუყოფელი ბატონობის პერიოდი არის შუა საუკუნეები. ამ პერიოდში ყველაფერს მართავს თეოლოგია. ფილოსოფია თეოლოგიის მსახურად იქცა. ეკლესია დამსჯელ ოპერაციებს ანხორციელებს ერეტიკოსებისა და სხვა რწმენის ადამიანთა წინააღმდეგ. იქმნება სხვადასხვა ორდენები, სასამართლოები, ინკვიზიცია. იქმნება ქრისტიანული თეოლოგიის მძლავრი იდეოლოგიური სისტემები, რომლის ნიმუშს თომა აქვინელის სისტემა წარმოადგენს. თუ ნეტარი ავგუსტინე იძლევა ღმერთის ონტოლოგიურ დასაბუთებას, თომა აქვინელი ღმერთის დასაბუთების რაციონალურ სისტემას ქმნის. თავის მთავარ შრომაში - "სუმა თეოლოგია" - თომა აქვინელი 5 ასეთ დასაბუთებას იძლევა.

ქრისტიანული ღვთისმეტყველება წარმოადგენს გარკვეულ სისტემას, რომელიც სხვადასხვა დარგებისაგან შედგება. კერძოდ, ეს დარგებია:

ძირითადი ღვთისმეტყველება, ანუ ქრისტიანული აპოლოგეტიკა არის თეოლოგიური დისციპლინა, რომელიც გადმოსცემს დოგმატიკის, ზნეობის, რელიგიის წარმოშობის, სხვადასხვა რელიგიური ფორმების შედარებითი ანალიზის, ღვთისმეტყველებისა და მეცნიერების, რელიგიის, ფილოსოფიის ყველაზე ზოგად საკითხებს. ასე, რომ იგი არის თეოლოგიის შესავალი.

ძირითადი ღვთისმეტყველების მთავარი დანიშნულება არის

ის, რომ მან დაიცვას რწმენის ჭეშმარიტება სხვადასხვა ერებსებთან ბრძოლაში.

ძირითად ღვთისმეტყველებაში განიხილება ღმერთის არსებობის სხვადასხვა დასაბუთებანი, აგრეთვე ღმერთის ცნების, შემოქმედებისა და წინასწარგანზრახულობის საკითხები.

ძირითად ღვთისმეტყველებაში ცენტრალური ადგილი უკავია გამოცხადების, ანუ ქრისტიანული რელიგიის საკითხებს, ლაპარაკია ქრისტიანობის ღვთიურ წარმოშობაზე, მისი დამაარსებლის ღვთიურ ბუნებაზე, გადმოცემულია ამ რელიგიის ძირითადი დოგმატები, საღვთო წერილის ღვთიური არსების შესახებ და ა.შ. ქრისტიანობის ღვთიური გამოცხადების გამოვლენად ღვთისმეტყველები თვლიან სასწაულებსა და წინასწარმეტყველებებს. მათი აზრით, სასწაულის უარყოფა რელიგიის უარყოფაა. სასწაულებად ცხადდება არა მარტო ის, რასაც მაცხოვარი ან წინასწარმეტყველები აკეთებდნენ, არამედ ყველაფერი რაც ჩვენს ირგვლივ ხდება და სასწაულებრივია.

დოგმატური ღვთისმეტყველება არის ღვთისმეტყველების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელშიც დასაბუთებულია ქრისტიანულ დოგმატთა ღვთიური წარმოშობა და ბუნება. ეს დოგმატები ითვლებიან მუდმივ წესებად, რომელთაც მოაქვთ ხსნა. ამასთან ერთად, ამ დოგმატებს ყველა რელიგიური მიმართულება ერთნაირად არ აღიარებს. მაგალითად, მართლმადიდებლები ჭეშმარიტად თვლიან მხოლოდ იმ დოგმატებს, რომლებიც მიღებულია პირველი ორი საეკლესიო კრების მიერ. კათოლიკები ჭეშმარიტად აღიარებენ მათი კრებების მიერ მიღებულ დოგმატებს.

სხვადასხვანაირად განმარტავენ დოგმატთა წყაროებს. მაგალითად: კათოლიკები და მართლმადიდებლები

გამოცხადების ერთადერთ წყაროდ აღიარებენ “წმინდა წერილს“ და “წმინა გადმოცემას“. პროტესტანტები “წმინდა გადმოცემას“ არ აღიარებენ. კათოლიკეები და მართლმადიდებლები ყველა დოგმატს ყოფენ იმის მიხედვით, თუ რომელი უნდა შესრულდეს აუცილებლად და რომელი არა.

ყველა ქრისტიანული ეკლესიის უმთავრესი დოგმატი არის დოგმატი ღმერთის, მისი არსების, სამყაროსთან მისი დამოკიდებულების შესახებ. ღვთისმეტყველება ასაბუთებს ღმერთის ქრთიანობის, მიუღწევლობის, სამერთანობის გამოსყიდვის, ამაღლების, აღდგომის დოგმებს. ადამიანს უნდა სწამდეს, რომ “ღმერთი არის მარადიული სული, ყოვლადკეთილი, ყოვლადძლიერი, უცვლელი, ყოვლადნეტარი“.

ზოგადქრისტიანული დოგმატია სამების დოგმატი. ე.ი. ღმერთი არის ერთი და სამპიროვანი. ასევე აუცილებელი დოგმატებია დოგმატი ეკლესიის შესახებ, საიდუმლოებათა შესახებ. დოგმატურ ჭეშმარიტებათა მიღწევას გონებით ღვთისმეტყველები შეუძლებლად თვლიან, ისინი მხოლოდ რწმენის სფეროს განეკუთვნებიან.

ზნეობრივი ღვთისმეტყველება მიზნად ისახავს ახსნას ზნეობის არსება, აჩვენოს ქრისტიანული ზნეობის უპირატესობა ყველა სხვა ზნეობრივ სისტემებთან შედარებით, დაასაბუთოს ქრისტიანული ზნეობის გადამწყვეტი როლი ხსნის საქმეში. ქრისტიანული ღვთისმეტყველება ასწავლის როგორ უნდა მოიქცეს, როგორ იცხოვროს ადამიანმა ამქვეყნად, რომ მიაღწიოს მარადიულ ნეტარებას საიქიოში. ამიტომ თეოლოგიის ამ დარგს პრაქტიკულ ღვთისმეტყველებას ეძახიან. ზნეობრივი ღვთისმეტყველება ასაბუთებს ზნეობის ღვთიურ წარმოშობას, რომელიც დევს ადამიანის ქვეცნობიერ სამყაროში და რომელიც



ღვთიური ძალით ვლინდება ადამიანის ქცევებში. ღმერთი ადამიანს აძლევს არჩევანის თავისუფლებას სიკეთესა და ბოროტებას შორის. მაგრამ ღმერთი ამ არჩევანის შემთხვევაში ეხმარება სიკეთეს. ზნეობრივ სულს ადამიანი იძენს მხოლოდ რწმენის მეშვეობით, რომლითაც იგი აღწევს თავს ზნეობრივ დაცემულობას. ადამიანის სწრაფვას კეთილი საქმისაკენ განსაზღვრავს ზნეობრივი კანონი, რომელიც ადამიანში ღმერთმა ჩადო ქმნადობის დროს.

ეგზეგეტიკა არის ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ბიბლიური ტექსტების ახსნას, სხვადასხვა სიმბოლოების განმარტებას, ე.წ. "ძნელი ადგილების" გარკვევას. ეგზეგეტიკა ასაბუთებს საღვთო წიგნების ღვთიურ წარმოშობას. ქრისტიანული რელიგიის ყველა მიმართულება აღიარებს, რომ ბიბლიის ერთადერთი ავტორი არის ღმერთი; რომელსაც იგი ხალხს აძლევს გამოცხადების სახით. ამასთან ერთად ისინი ერთნაირად როდი განმარტავენ ბიბლიის ამა თუ იმ ადგილს. მაგალითად, კათოლიკეები და პროტესტანტები შესაძლებლად თვლიან ბიბლიის ამა თუ იმ ადგილის სიმბოლურ ახსნას. მართლმადიდებლებს ბიბლია ესმით პირდაპირი მნიშვნელობით.

ლიტურგიკა არის ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს დაასაბუთოს ღვთისმსახურების აუცილებლობა, როგორც ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა. ღვთისმსახურების ქვეშ იგულისხმება რელიგიურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანში ღმერთის რწმენის განმტკიცებას.

ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს წირვას (მესა), რომელიც თეოლოგთა მტკიცებით, ქრისტემ და მისმა მოციქულებმა შემოიღეს და შემდეგ სრულყვეს ეკლესიის მამებმა იოანე ზლატოუსტმა და ვასილ დიდმა. წირვა ტარდება მღვდლების მიერ განსაკუთრებულ საზეიმო

ვითარებაში, ხოლო მორწმუნენი მსმენელები არიან. ლიტურგიკა მიზნად ისახავს დაასაბუთოს ღვთისმსახურებაში ლოცვის, გალობის, ბიბლიის კითხვის, საეკლესიო დარიგებების, საიდუმლოებების შესრულების აუცილებლობა.

ღვთისმსახურებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლოცვას, რომლის ტექსტები დაკანონებულია, ასევე გალობას ღმერთის სადიდებლად. ამასთან გალობაში უმეტესად მეორდება ლოცვები (მამაო ჩვენო). ღვთისმსახურებაში თავისი ადგილი უკავია პირველის წერას, მუხლმოყრას, თავის დახრას, რომელსაც ზნეობრივი დანიშნულება აქვს.

ჰომილეტიკა ღვთისმეტყველების დარგია, რომელიც იხილავს საეკლესიო სამქადაგებლო საქმიანობის საკითხებს. იგი შეიცავს როგორც ქრისტესა და მოციქულების ქადაგებების ისტორიას, ასევე ეკლესიის მამების. ჰომილეტიკა იხილავს მრევლის წინაშე სამღვდელოების პერიოდულ გამოსვლების შინაარსს საეკლესიო, პრაქტიკულ თუ ზნეობრივ-საკითხებზე.

პატროლოგია ეს არის ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს გადმოსცეს ეკლესიის მამათა მოძღვრებების შინაარსი.

ქრისტიანული რელიგიის შინაარსის ობიექტური გაგება იმ მდიდარი ფილოსოფიური სიღრმის ანალიზს გულისხმობს, რომელიც ამ რელიგიას აქვს.

ამრიგად, ორიათასი წლის წინ მოხდა უდიდესი სასწაული - ქვეყანას ხორციელად მოევლინა უფალი ჩვენი-იესო ქრისტე, შექმნა უმაღლესი მოძღვრება, საკუთარი ნებით ჯვარზე გაეკრა და უდიდესი მსხვერპლით გამოისყიდა ადამიანთა ცოდვები. ქრისტეს ჯვარი ის სასწაული იყო, რომლითაც იგი ამქვეყნად მოვიდა, ჯვარი მანამდე იყო ქრისტეში, ვიდრე მას ჯვარზე გააკრავდნენ. ქრისტე ჯვარცმისათვის მოვიდა ამქვეყნად, ჯვარცმა მისი ნებასურვილით მოხდა. ამ მოვლენის უდიდესი



საიდუმლო ის იყო, რომ იესო თავისი სიკვდილით ამარცხებს სიკვდილს. ამიტომ იგალობება აღდგომის დღეებში: “ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“. სიკვდილის შემდეგ ქრისტე ჯვრით შედის ჯოჯოხეთში და ათავისუფლებს ცოდვილთა სულებს. ამიტომ იგალობება: “ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა, სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავებსა შინა სიცოცხლის მიმნიჭებელი“. ქრისტეს ჯვარი მუდამ უნდა მოგვაგონებდეს ურთიერთსიყვარულს, პატივისცემას, თავდადებას, მამულისა და ეკლესიის ერთგულებას.

### რელიგიური წიგნები

ყველა რელიგიამ საუკუნეების მანძილზე შექმნა საკუთარი რელიგიური ლიტერატურა, რომელშიც გადმოცემულია ამ რელიგიების შინაარსი, დოგმატიკა, კულტი, ამ რელიგიების მაღიარებელ ხალხთა ისტორიის ძირითადი მომენტები, მათი ცხოვრების წესი, მითები, ხალხური სიბრძნე, მხატვრული ლიტერატურა და ა.შ. რელიგიური ლიტერატურა კაცობრიობის კულტურული შემონაქმედეა, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა საზოგადოებრივი პროგრესი.

უძველეს საფეხურზე რელიგიური შეხედულებანი და დარიგებანი ზეპირსიტყვაობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. კულტურის განვითარებისა და დამწერლობის შექმნის შემდეგ ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვებული შეხედულებანი წიგნების სახით გაფორმდა და ჩვენამდე მოვიდა მდიდარი რელიგიური ლიტერატურის სახით. ასე შეიქმნა ვედები, ავესტა, ბიბლია, ყურანი, ბუდისტური პიტაკები და ა.შ. აქ ჩვენ ზოგადად მიმოვიხილავთ ამ ლიტერატურას.



**ბიბლია.** რელიგიური წიგნებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბიბლიას. სიტყვა ბიბლია ბერძნულია (*βιβλος*) და წიგნებს ნიშნავს. ეს არის მრავალრიცხოვანი წიგნების ერთობლიობა, რომელიც იქმნებოდა 15 საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ავტორების მიერ. ბიბლია ორი ნაწილისაგან შედგება; პირველ ნაწილს ძველი აღთქმა, ხოლო მეორე ნაწილს ახალი აღთქმა ეწოდება. ძველ აღთქმას აღიარებს მორწმუნეებრაელები, ხოლო ქრისტიანები აღიარებენ როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმას. ძველ აღთქმაში 39 წიგნია, რომელიც დაიწერა ძველებრაულ ენაზე და რომელიც კანონიკურად ცხადდება. ახალ აღთქმაში 27 წიგნია, რომელიც I-II საუკუნეებში დაიწერა ბერძნულ ენაზე. ქრისტიანი მართლმადიდებლები და კათოლიკეები ახალი აღთქმის ოცდაშვიდივე წიგნს აღიარებენ, ხოლო რაც შეეხება ძველ აღთქმას, ისინი სარგებლობენ ბერძნულ ენაზე 70 მთარგმნელის მიერ შექმნილი ტექსტით, ე.წ. “სებტუაგინტათი” და არა ძველებრაული ე.წ. “მასორეტული” ტექსტით. პროტესტანტები და პროტესტანტული სექტებიც მხოლოდ “მასორეტულ” ტექსტს თვლიან კანონიკურად. “სებტუაგინტასა” და “მასორეტულ” ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ რელიგიის გასაგებად, ისინი განსაზღვრავენ დოგმატიკისა და კულტის ბევრ მხარეს.

ძველ და ახალ აღთქმაში იმ წიგნებს გარდა, რომელთაც “ღმერთის სიტყვა” ეწოდება, არის საკმაოდ რაოდენობის ხელნაწერები, რომლებიც კანონში არ შედიან და რომელთაც აპოკრიფული (ბერძნულად დამალული) ლიტერატურა ჰქვია. მართლმადიდებლობა აღიარებს ბიბლიას როგორც ღმერთის სიტყვას, მაგრამ უშვებს მისი ზოგიერთი ჭეშმარიტებების გადმოცემის ადამიანურ ვარიაციებს.

ბიბლია არ არის მხოლოდ რელიგიური წიგნი. მას უდიდესი



ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ძველი აღთქმის მთელი რიგი წიგნები დღესაც საინტერესო მასალას გვაწვდიან უძველესი დროის ისტორიის გასაგებად. ბიბლიაში დიდი რაოდენობის მითები და იგავებია გადმოცემული, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ებრაელების კავშირზე გარესამყაროსთან. ბიბლიაში თავი მოიყარა უძველესმა ლიტერატურულმა ძეგლებმა, რომელთაც უდიდესი მხატვრული ღირებულებანი აქვთ. ბიბლიაში გადმოცემულია უძველესი პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური დოკუმენტები, სამედიცინო დარიგებანი. წიგნის ძირითადი ნაწილი რელიგიური ტექსტები და აღთქმებია, დიდი ადგილი უჭირავს წინასწარმეტყველთა ნაწერებს, იგავებს და ა.შ. მაგრამ ძველი აღთქმის წიგნებიდან განსაკუთრებით მოსეს ხუთწიგნეული გამოიყოფა. ეს არის წიგნი შესაქმეთა, გამოსვლათა, ლევიაწიგნისა, რიცხვთა და მეორე სჯულის. ამ წიგნებს თორა ეწოდება, მისი ავტორობა მოსეს მიეწერება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ახალი აღთქმის ლიტერატურა I-II საუკუნეში შეიქმნა. აქედან ყველაზე ადრინდელია იოანე დვთისმეტყველის გამოცხადება-აპოკალიფსი, რომელიც 68-69 წლებში უნდა იყოს დაწერილი. სახარებები და მოციქულთა საქმეები შედარებით გვიან იწერებოდა. ამას გარდა ქრისტიანობაში არის დიდი რაოდენობის სამოძღვრო, აპოლოგეტიკური და დვთისმსახურების ლიტერატურა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რელიგიის გასაგებად.

**თალმუდი.** ებრაულ რელიგიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თალმუდს. ეს არის ბიბლიაზე ბევრად დიდი, მრავალტომიანი კრებული, რომელიც მთელი ათი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა ჩვენს ერამდე IV საუკუნიდან დაწყებული, ჩვენი წელაღრიცხვის IV საუკუნიტ დამთავრებული. სიტყვა “თალმუდი” ძველებრაულია და იგი





განმარტებას ნიშნავს. თალმუდი არის ძველი ებრაული ლიტერატურის ბიბლიის განმარტება.

თალმუდის წარმოშობა ებრაელი ხალხის ცხოვრებაში მომხდარმა სერიოზულმა ცვლილებებმა განსაზღვრა. ებრაელების ცხოვრების წესებს და კანონებს, სანამ ისინი პალესტინაში ცხოვრობდნენ, თორა განსაზღვრავდა. მაგრამ ებრაული სახელმწიფოს დანგრევისა და ქვეყნის გარეთ დიასპორების გაჩენის პირობებში, თორა ვეღარ გამოხატავდა შეცვლილ ისტორიულ ვითარებას, მისი ბევრი დებულება ახალ პირობებში გაუგებარი აღმოჩნდა, ამიტომ “მწიგნობრებმა” ხელი მოკიდეს ბიბლიის განმარტებას. ასე შეიქმნა თალმუდი. XII საუკუნეში იუდაური რელიგიის დოგმატები “რწმენის 13 სიმბოლოს” სახით ჩამოაყალიბა ცნობილმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა მოსე მაიმონიდმა. ეს დოგმატებია: 1. არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, 2. ის ერთია, 3. ის უსხეულოა, 4. მას დასაწყისი არა აქვს, 5. უნდა ვილოცოთ მხოლოდ მასზე, 6. ღვთიური გამოცხადება ჭეშმარიტებაა, 7. მოსე ყველაზე დიდი წინასწარმეტყველია, 8. თორა ღმერთმა უკარნახა მოსეს, 9. მოსეს კანონის შეცვლა სხვა კანონით არ შეიძლება, 10. ღვთიური განგება მართავს სამყაროს, 11. არსებობს კეთილისათვის ჯილდო და ბოროტებისათვის სასჯელი, 12. ისრაელში მოვა მესია, 13. მკვდრებით აღდგომა ჭეშმარიტებაა. თალმუდი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ზეპირი სახით გადაეცემოდა 210 წელს შეგროვებულ იქნა და 63 ტრაქტატის სახით შევიდა მიშნაში (კანონის განმარტებაში). გამოქვეყნების შემდეგ თვით მიშნა გახდა განმარტების საგანი. მიშნას განმარტებას ჰემარა ეწოდება.

თალმუდი შინაარსობრივად მეტად მრავალფეროვანია. იგი შეიცავს სამართლებრივ ნორმებს, რელიგიურ კანონებს, საღვთისმეტყველო მსჯელობებს კულტისა და დოგმატიკის



შესახებ, მორალურ ნორმებს, ცნობებს მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან, ზღაპრებსა და ლეგენდებს, იგავებს, ანდაზებს, მითებს და ა.შ. თალმუდში აისახა არა მარტო ებრაელი ხალხის, არამედ ახლომეზობელი ხალხების ისტორია და შეხედულებანი.

**ყურანი.** მუსულმანური რელიგიის საღმრთო წიგნს ყურანი ეწოდება. ყურანი არაბული სიტყვაა და “კითხვას” ნიშნავს. ეს წიგნი არის როგორც სამოქალაქო, ასევე რელიგიური კანონმდებლობის საფუძველი. ტრადიციის თანახმად, ეს წიგნი ალაჰმა მთავარანგელოზ გაბრიელის ხელით გადასცა წინასწარმეტყველ მუჰამედს. ისტორიული საბუთებით მტკიცდება, რომ ყურანი იწერებოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორების მიერ და მას საბოლოო რედაქცია გაუკეთდა ხალიფა ოსმანის დროს 644-656 წლებში. ყურანი 114 თავისაგან შედგება. ამ თავებს სურები ეწოდება. ყურანი მეცნიერებაში პირველ პროზაულ ნაწარმოებად არის მიჩნეული არაბულ ენაზე. სურებს გარითმული პროზის ფორმა აქვთ. ყურანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერთიანი არაბული ენის ჩამოყალიბებაში.

ყურანის შექმნაში დიდი როლი ითამაშა სხვა რელიგიების, კერძოდ იუდაიზმისა და ქრისტიანების საღვთო წიგნებმა. ყურანში გადმოცემულია ადამიანთა სამეურნეო, საოჯახო-საქორწინო ცხოვრების წესები, ლაპარაკია ზნეობრივ ნორმებზე, რომელსაც მუსლიმანი უნდა იცავდეს. დიდი ადგილი უჭირავს იმის ქადაგებას, თუ როგორ უნდა ემსახუროს მორწმუნე ალაჰს. ყურანი აკანონებს ადამიანთა დაყოფას წოდებებად, ამართლებს კერძო საკუთრებას. ყურანში სწერია: “ამ ქვეყნად არსებობას ჩვენ ვაძლევთ მათ, ისე, რომ ზოგიერთებს სხვები მოსამსახურეებად აპყავსთ“ (43:31). ყურანი ასწავლის ქალის უთანასწორობას-“კაცნი ქალთა უმაღლეს არიან“ (4:38). სამყაროს ქმნადობის შესახებ ყურანი ემყარება ბიბლიასა და



თალმუდს.

ისლამის რელიგიის მოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ყურანთან ერთად არის სუნა, ანუ წმიდა გადმოცემა, რომელიც გადმოსცემს მუჰამედის გამონათქვამებსა და ქცევებს. ყველაფერი ეს ხადისების სახით რამდენიმე წიგნად გაფორმდა. მასში ლაპარაკია სამართლებრივ და ზნეობრივ პრობლემებზე, არის ბიოგრაფიული და ისტორიული ხასიათის წიგნები, რომელთაც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა აქვს.

**ბუდისტური ლიტერატურა.** ბუდისტური ლიტერატურა განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა. იგი ათასობით თხზულებას შეიცავს. ეს ლიტერატურა ჩვენს ერამდე იქმნებოდა პალიურ და სანსკრიტულ ენებზე. კანონიკურ ბუდისტურ ლიტერატურას ტრადიცია ბუდას სახელს უკავშირებს, რომელიც მისმა მოწაფეებმა გადასცეს შთამომავლობას. არაკანონიკური წიგნები ორიათასი წლის მანძილზე იქმნებოდა აზიის სხვადასხვა ქვეყნებში.

კანონიკური ბუდისტური ლიტერატურა ტიპიტაკას სახელით არის ცნობილი, რაც თარგმანში “კანონის სამ კალათას” ნიშნავს. გადმოცემის თანახმად ტექსტები, რომლებიც თავდაპირველად იწერებოდა, ინახებოდა დაწნულ კალათებში. ყველაზე ძველი ტიპიტაკა ცნობილი არის “ვინაია-პიტაკას”, ანუ “წესდების კალათას” სახელით, მეორე ტიპიტაკა არის “სუტა-პიტაკა”, ანუ “მოძღვრების კალათა”, ხოლო მესამეა “აბხიღამა-პიტაკა”, ანუ “ცოდნის კალათა”. თითოეული ეს ტიპიტაკები, თავის მხრივ, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მაგალითად, ვინაია-პიტაკაში გადმოცემულია ბერ-მონაზონთა ცხოვრების წესი, მათი მოვალეობანი, მათი ქცევის პრინციპები, მათი ისტორია, ბუდას ბიოგრაფია, თემის წეს-ჩვეულებანი და ა.შ. სუტა-პიტაკაში გადმოცემულია ბუდას მოძღვრება, ლეგენდები, პიესები, აფორიზმები, სხვადასხვა კომენტარები.



აბხიდამა-პიტაქა შედგება შვიდი ნაწილისაგან და ახასიათებს “ღხამებს“, ჩამოთვლის მათ, იძლევა გრძნობადი სამყაროს ბუდისტურ ახსნას, განიხილავს მას როგორც უმცირეს ნაწილაკებს ცნობიერებისა, რომელიც ქმნის სამყაროს, ეხება კამათს, რომელიც ბუდისტ სქოლასტიკოსებს შორის წარმოებდა ამ რელიგიის შექმნის პროცესში, ტიპიტაქა ეხება ხსნის-ნირვანას მიღწევის გზებს, არკვევს ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა საკითხებს.

არაკანონიკური ბუდისტური ლიტერატურა ჩვ.წ.ად. II-III საუკუნეებში შეიქმნა, რომელშიც ძირითადად ბუდას ბიოგრაფიის სხვადასხვა ვარიანტებია.

## თანამედროვე მსოფლიოს რელიგიური რუკა

მსოფლიოს რელიგიური სურათი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თვით მსოფლიო. 1981 წლის მონაცემებით, მსოფლიოში აღრიცხული იყო 998 მილიონი ქრისტიანი, 592 მილიონი მუსლიმანი, 481 მილიონი ინდუისტი, 256 მილიონი ბუდისტი, 154 მილიონი კონფუციანელი, 58 მილიონი სინტოისტი, 30 მილიონი დაოსისტი, 15 მილიონი იუდაისტი და ა.შ. ეს ციფრები დღეისათვის რა თქმა უნდა შეიცვალა.

ქრისტიანული რელიგიის მიმდევართა უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ევროპასა და აშშ-ში. ყველაზე უძველესი ქრისტიანული ქვეყნები, სადაც ეს რელიგია I საუკუნიდან გავრცელდა და სადაც კათოლიციზმია გაბატონებული რელიგია არის იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, მალტა, ირლანდია, ბელგია, ლუქსენბურგი, ავსტრია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, გერმანია, შვეიცარია.

ევროპაში მართლმადიდებლები ძირითადად არიან რუმინეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში, რუსეთში, საქართველოში. ისლამი ევროპაში, ძირითადად, არის იუგოსლავიაში, ალბანეთში, თურქეთში. ამერიკაში დღეისათვის ძირითადი რელიგიებია კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი. აზიაში თითქმის ყველა რელიგიურმა გაერთიანებამ მოიყარა თავი. ესენია იუდაიზმი და ზოროასტრიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, ინდუიზმი და სიქიზმი, ბუდიზმი და ჯაინიზმი, დაოსიზმი და კონფუციანელობა. სამხრეთ-დასავლეთ აზიაში (თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, საუდის არაბეთში, იემენში, ომანში, კუვეიტში, ირაყში, ირანში, ავღანეთში) ძირითადი რელიგია ისლამია. ისლამია გავრცელებული პაკისტანსა და ბანგლადეშში. შრი ლანკასა და ნეპალში, ინდოეთსა და ბირმაში, ტაილანდსა და ლაოსში ბუდიზმია ძირითადი რელიგია. კვიპროსში უკვე I საუკუნიდან ქრისტიანული რელიგიაა. ჩინეთში ძირითადად სამი რელიგიაა: კონფუციანელობა, ბუდიზმი და დაოსიზმი. ზოგიერთ რაიონში არის ისლამიც. აფრიკაში რამდენიმე რელიგიური გაერთიანება მოქმედებს. ესენია: ადგილობრივი რელიგიური კულტები, ისლამი, ქრისტიანობა, ინდუიზმი და იუდაიზმი. ავსტრალიასა და ოკეანიაში აბორიგენ მოსახლეობაში ძირითადი რელიგია ადგილობრივი კულტებია, კერძოდ, ტოტემიზმი, მაგია, წინაპართა კულტი. ევროპელების მიერ ავსტრალიის ათვისების შემდეგ XVII საუკუნიდან ამ კონტიგენტზე გავრცელდა ქრისტიანობა კათოლიკობისა და პროტესტანტიზმის სახით. ამ რელიგიებს გარდა, ცალკეულ ადგილებში გავრცელდა ისლამი, ბუდიზმი, სინტოიზმი.

### საზოგადოებრივი პროგრესი და რელიგია

კაცობრიობის მთელი ისტორია იმ უწყვეტ პროცესს ემორჩილება, რასაც ჩვენ საზოგადოებრივ პროგრესს ვეძახით.



მასში იგულისხმება განვითარების ძირითადი მიმართულება უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ. იგი არის საზოგადოების წინსვლა უკეთესისაკენ. საზოგადოებრივი პროგრესი გულისხმობს ადამიანის შრომითი საქმიანობის განვითარებას, ბუნებაზე მის გონივრულ გაბატონებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ადამიანს ანიჭებს სრულ თავისუფლებას, პიროვნების ღირებულების აღიარებას, მის ყოველმხრივ განვითარებას და ა.შ.

რა ადგილი უჭირავს რელიგიას საზოგადოებრივ პროგრესში? ეს არის რელიგიათმცოდნეობის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი. ისტორიაში ამ კითხვაზე არ არის ერთგვაროვანი პასუხი. ათეისტური ფილოსოფია ამ კითხვას უარყოფითად პასუხობს. იგი რელიგიას საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებელ მოვლენად თვლის და კაცობრიობის ისტორიაში მას ყველა უბედურებათა მიზეზად აცხადებს.

საზოგადოებრივი პროგრესი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლილებებში ვლინდება. ყოველი ახალი საზოგადოებრივი წყობა პრეტენზიას აცხადებს, რომ ის გამოხატავს ყველაზე მოწინავე ფენების ინტერესებს, რომ ის ხელს უწყობს მოწინავე, პროგრესული ძალების გამარჯვებას, რომ ის მიზნად ისახავს ყველაზე უფრო სამართლიანი საზოგადოების გამარჯვებას. სად იდგა რელიგია მაშინ, როცა ბრძოლა მიმდინარეობდა ძველსა და ახალს შორის, რევოლუციურსა და რეაქციულს შორის? თუ კონკრეტული რელიგიების მაგალითზე ვიმსჯელებთ, თუ რელიგიების შედარებით ანალიზს მივმართავთ, ასეთ სურათს მივიღებთ.

უძველესი მონოთეისტური იუდაიზმი ყალიბდებოდა ებრაელთა ტომობრივ რელიგიებთან ბრძოლის პროცესში იგი მიზნად ისახავდა ებრაელი ხალხის გაერთიანებას და ერთიანი სახელმწიფოს შექმნას. ეს მიზანი მხოლოდ დადებითად

შეიძლება შეფასდეს და მისმა განხორციელებამ ებრაელთა ისტორია წინ წასწია.

VII საუკუნეში, როცა ინდოეთში ბუდიზმი ყალიბდებოდა, იგი ბრაჰმანიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა და აქტიურად ქადაგებდა ადამიანთა შორის თანასწორობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული და ჰუმანისტური პრინციპები შემოჰქონდა. I საუკუნეში, როცა ქვეყანას მოევლინა მხსნელი, იგი უპირველესად ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა იმედი იყო, რომელმაც ძველი სამყარო გამოიყვანა აპათიური ძილის მდგომარეობიდან და ადამიანს გზა გაუხსნა უკეთესი მომავლისაკენ. VII საუკუნეში არაბულ სამყაროში ისლამის რელიგიამ გულუბრყვილო არაბებს ახალი გზა უჩვენა და შექმნა მძლავრი ხალიფატი თავისი ძლიერი ორგანიზაციითა და პრინციპებით. ყველა ამ სერიოზულ სოციალურ ძვრებში, რასაც ადგილი ჰქონდა ისტორიაში, რელიგიები უდიდეს როლს ასრულებდნენ.

საზოგადოებრივი პროგრესი სინამდვილის შემეცნების რთულ პროცესში ვლინდება. ეს ნათლად ჩანს იმაში, რომ ადამიანმა უხეში ქვის იარაღებიდან შეძლო მიეღწია კოსმოსურ ტექნიკამდე, შეექმნა ურთულესი კომპიუტერულ-რობოტული სისტემები და ამით სახე შეეცვალა სამყაროსთვის. როცა ამ სფეროს ეხება ათვისებული ფილოსოფია ასაბუთებს მეცნიერებისა და რელიგიის სრულ შეუსაბამობას, დაპირისპირებას, კონფლიქტს მათ შორის. ამის საწინააღმდეგოდ არა მარტო ღვთისმეტყველებს, არამედ გამოჩენილ მეცნიერებს დამაჯერებელი არგუმენტები მოაქვთ იმის დასამტკიცებლად, რომ მეცნიერებასა და რელიგიას შორის არ არის რაიმე წინააღმდეგობა, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამის უბრალო საბუთად თუნდაც ის შეიძლება დასახელდეს, რომ უძველეს პერიოდში მათემატიკის, ასტრონომიის,

მედიცინის და სხვა მეცნიერებათა საფუძვლებს ქმნიდნენ ძველი ეგვიპტის, ბაბილონის ქურუმები; უძველეს დროს მეცნიერების შემოქმედნი ღრმად რელიგიური ადამიანები იყვნენ. პითაგორელთა საზოგადოება, რომელმაც გზა გაუხსნა მათემატიკის მეცნიერებას, რელიგიურ ორდენს წარმოადგენდა. არისტოტელეს რელიგიურ-ფილოსოფიურმა პრინციპებმა მოამზადა ქრისტიანული აზროვნება.

ეკლესია-მონასტრები უძველესი დროიდან იყო მეცნიერების თავშესაფარი. ისინი იყვნენ კულტურული კერები, სადაც მიმდინარეობდა უდიდესი საგანმანათლებლო და მეცნიერული მუშაობა. მეცნიერების პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი ეკლესიის მამები-წმ. ვასილი დიდი, ნეტარი ავგუსტინე, წმ. ალბერტი, წმ. თომა აქვინელი, და სხვ. ქართველი საეკლესიო მოღვაწე გაბრიელ ქიქოძე საეკლესიო საქმეებთან ერთად დიდად იყო დაინტერესებული მეცნიერების პრობლემებით. ამის გამო ამბობდა დიდი ილია მასხედ, რომ “გაბრიელ ქიქოძე სარწმუნოებას ამეცნიერებდა, ხოლო მეცნიერებას ასარწმუნობდაო“. ასე რომ ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ უძველესი დროიდან მეცნიერება და რელიგია მიდიოდნენ ერთად მშვიდობიანად. მართალია მე-17 საუკუნეში მათ შორის მოხდა პირველი სერიოზული შეჯახება, რაც დედამიწის ბრუნვასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ამ ინციდენტს არ დაურღვევია მეცნიერებისა და რელიგიის მშვიდობიანი განვითარება. ნიუტონი და დეკარტე, კეპლერი და პასკალი, ლიბიხი და პასტერი, კიუპიე და უოლერი, ლაიელი და ფარადეი, მაიერი და რენტგენი და სხვები იყვნენ ღრმად მორწმუნე ადამიანები და ამასთან ერთად ეწეოდნენ აქტიურ სამეცნიერო კვლევებს. რელიგიასა და მეცნიერებას შეუძლიათ თავისუფალი განვითარება ისე, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. და ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ მათი ძიების ობიექტები სრულიად



განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეცნიერება სწავლობს ხილულ გრძობად მატერიალურ სამყაროს. რელიგია ვიწინებდა ზეგრძობად უხილავ სამყაროს, რომელიც მიუწვდომელია მეცნიერებისათვის. რელიგიური ცდისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მეცნიერული მეთოდები, მეცნიერებასაც შეუძლია განვითარდეს რელიგიური რწმენის პირობებში. მაქს პლანკის თქმით “მეცნიერება და რელიგია არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაგრამ ისინი ავსებენ ერთმანეთს“. რელიგია იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რისთვის ცხოვრობს ადამიანი და როგორ უნდა იცხოვროს მან, მეცნიერებას კი აინტერესებს თუ როგორ არის მოწყობილი მატერიალური სამყარო. ამრიგად, მეცნიერება და რელიგია სინამდვილის შემეცნების ორი გზაა, ორივე საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი პირობაა.

**რელიგია და ზნეობა.** რელიგიის და ზნეობის ურთიერთმიმართების საკითხი ყოველთვის იყო სერიოზული განსჯის საგანი. თუ თვალს გადავავლებთ საკაცობრიო სულის განვითარების გზას, აშკარად დავინახავთ რელიგიური და ზნეობრივი ცნობიერების გასაოცარ თანმთხვევას. ისე, როგორც ყველა სხვა ძირითადი პრობლემის გადაწყვეტისას, რელიგიის და ზნეობის ურთიერთობის გარკვევაც ორი რადიკალურად დაპირისპირებული პოზიციიდან ხდება. ერთი, ტრადიციული თვალსაზრისი ასაბუთებს ზნეობის ღვთაებრივ წარმოშობას. განსხვავებულ სარწმუნოებათა მიუხედავად, ყველა რელიგია აღიარებს ზნეობრივ ნორმათა ღვთიურ ბუნებას და რელიგიას თვლის ზნეობის ერთადერთ დამცველად. უმაღლესი არსება, რომელმაც შექმნა მთელი ხილული სამყარო, არის აგრეთვე საფუძველი უხილავი სამყაროსი თავისი ზნეობრივი კანონებით. მხოლოდ ღმერთის გზით შეიძლება ოდა პირველი ადამიანის ცნობიერებაში ჩასახულიყო ზნეობა, როგორც განსაკუთრებული ფენომენი, რომელსაც ძალუძს გადაარჩინოს

კაცობრიობა დაღუპვისაგან. ზნეობა ღმერთის რწმენის გარეშე ვერ მოახდენს რაიმე გავლენას ადამიანის სინდისზე. ანტონოვსკი დოსტოევსკი იტყვის: “თუ არ არის ღმერთი, მაშინ ყველაფერი ნებადართულია“. აღნიშნული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა შეხედულება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მწვალებლობა, ერეტიკოსობა, ათეიზმი. ამ შეხედულების თანახმად, ზნეობას არა აქვს კავშირი რელიგიასთან, იგი უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა სოციალურ ყოფას, რელიგია ზნეობრივი პროგრესის შემაფერხებელი ფაქტორი უფროა, ვიდრე ხელშემწყობი. ყველა საზოგადოების მორალს აქვს მიწიერი ფესვები, მას განაპირობებს ადამიანთა ცხოვრების მატერიალური პირობები, მასში თავი მოიყარა ისტორიულმა გამოცდილებამ და ზნეობრივი პრინციპები უშუალოდ გამოდის საზოგადოებრივი განვითარების კანონებიდან, ზნეობა ვითარდება ყოველგვარი რელიგიისაგან სრულიად დამოუკიდებლად. ათუ გვერდს ავუვლით ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ სხვა მოსაზრებებს, სწორედ ეს ორი თვალსაზრისი რჩება დღემდე უმთავრეს პრინციპებად, რომლებიც პრობლემის გადაწყვეტის პრეტენზიას აცხადებენ. ამან ადამიანთა ორ კატეგორიად დაყოფა გამოიწვია. ვინც პირველ თვალსაზრისს იზიარებს მორწმუნეებია, ვინც მეორე თვალსაზრისს ემხრობა არამორწმუნეები, ათეისტები არიან.

ვისი თვალსაზრისი შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტებად- ამ კითხვაზე პასუხი რომ გაეცეს, საჭიროა უპირველესად, გავარკვიოთ რწმენის მექანიზმი.

სამყარო თავისი არსით ამოუწურავია. ადამიანი ხვდება საგნობრივ სინამდვილეში, რომლის შემეცნება ასე თუ ისე ხერხდება. მაგრამ საგნობრივი ხილული სამყაროს გარდა არსებობს უხილავი სინამდვილე, რომელიც სანტ-ეგზიუპერის



თქმით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხილული, რელიგიისა და მორალის პრობლემის გარკვევისას ჩვენ საქმე სწორედ ამ უხილავ სამყაროსთან გვაქვს. რწმენა ურთულესი და მრავალმხრივი მოვლენაა-მისი სათავეები რაციონალურ ძიებებში კი არ იმალება, არამედ ინტუიციურ გამოცხადებებში. სწორედ ცოცხალი ინტუიციის გზით ხერხდება რომ რელიგიურობა დამახასიათებელია როგორც უბრალო, გაუნათლებელი ადამიანისათვის, ასევე ღრმადგანათლებული მეცნიერისათვის, ელინისტური სამყაროს გამოჩენილი ფილოსოფოსი პლატონი ამასთან დაკავშირებით ამბობდა: “როცა ჩვენ ღმერთს ვხედავთ, ვხედავთ მას არა გონებით, არამედ უფრო უმაღლესით, ვიდრე გონებაა“. რელიგიური განცდა არ შეიძლება გავაიგივოთ სულიერი ცხოვრების რომელიმე სხვა სფეროსთან, იგი ყველაზე მეტად შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც განსაკუთრებული მოწიწება უმაღლესის მიმართ. ს. ბულგაკოვის აზრით: “ნამდვილ რელიგიურ გზაზე დგას მხოლოდ ის ადამიანი, ვინც ცხოვრებაში რეალურად შეხვედრია ღვთაებას, ვისაც ეწვია იგი, ვიხედავთ გადმოვიდა მის ყოვლისშემძლეობა“. ამას ისტორიაში ადასტურებს უამრავი კონკრეტული ფაქტი, რომელიც მისტიკური ცნობიერების ბუნებას გვიხსნის. რელიგიური გრძნობა ყალიბდება უმაღლესის რეალობის განცდაში, რომელიც ადამიანში იწვევს საოცარ შიშს სიკვდილისა და საოცარ იმედს უკვდავებისა. არის არაერთი შემთხვევა, როცა ღმერთის გრძნობას იწვევს ხილული სამყაროს ჭკრეტაც. ვინც ღრმად აკვირდება სამყაროს მრავალფეროვნებას და მის გასაოცარ კანონზომიერებას, მიზანდასახულობას, არ შეიძლება არ ეძიოს მისი საფუძველი, რომელიც მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს. ამგვარ შინაგან ჭკრეტაში ყალიბდება რელიგიურ-მისტიკური ცნობიერება. ღმერთთან შეხვედრა ყოველი ადამიანის



ცხოვრებაში ხდება და ამდენად რელიგიური ცდა უნივერსალურ ხასიათს ატარებს, თუმცა ყველა ადამიანს როლი აქვს მისი გაცნობიერებულში. ხოლო რელიგიური განათება, რომელიც შეიძლება უეცრად მოხდეს, ადამიანთა მთელ ცხოვრებაზე ტოვებს კვალს. ლ. ტოლსტოი თავის აღსარებაში წერს: “მე ვცხოვრობდი მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთი მწამდა. ასე იყო ადრე, ასე არის ახლა საკმარისია ვიცოდე ღმერთი და მე ვცოცხლობ, საკმარისია დავივიწყო იგი და მე ვკვდები. ადამიანის მიერ ღმერთის შეგრძნება, მასთან შეხვედრა, მისი სიყვარული, მისი შეცნობის სურვილი, მასთან გაერთიანება-აი ეს არის ყოველი რელიგიის არსება. რელიგია როგორც კავშირი არის- კავშირი, შექმნილი მიწიერ სამყაროსა და ღვთიურ სულს, შექმნილ ადამიანსა და შემოქმედს შორის. როცა ღმერთს ვიაზრებთ, იგი ჩვენთვის არის ყოვლადკეთილი არსება, ე.ი. სიკეთე ცხოვრებაში, რელიგიური ცნობიერებისათვის არის სამსახური უმაღლესი სიკეთის მიმართ, ხოლო ცხოვრება არის ბრძოლა სიკეთისათვის. აქედან გამომდინარე, რელიგია არის ზნეობრივი ცხოვრების საფუძველი. ეთიკური პრინციპები ბუნებაში არ მოქმედებს. ისინი ადამიანური ცხოვრების მახასიათებლებია, საზოგადოების წინაშე მოვალეობის შესრულებაში ვლინდებიან. რელიგია კი კავშირია იმ საწყისთან, რომელიც აზრს აძლევს ადამიანის ცხოვრებას, განსაზღვრავს მის ზნეობრივ სამყაროს. რელიგია ეხმარება ადამიანებს გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი შინაგანი განწყობილებანი. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, ღმერთი უერთდება ადამიანს ქრისტეში. ქრისტე ასწავლის, რომ ადამიანები უნდა იყვნენ ისევე ერთიანი, როგორც ერთია ღვთიური სამება. ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ ერთმანეთისათვის. ქრისტიანულ რელიგიას ჰეგელი ზნეობის რელიგიას უწოდებს, ხოლო ქრისტიანული ზნეობის უმაღლესი პრინციპი



მსხვერპლია, რომელიც ადამიანებმა ერთმანეთისათვის უნდა გაიღონ. ქრისტეს ჯვარცმის საიდუმლო ის არის, რომ ქრისტემ საკაცობრიო მსხვერპლი გაიღო და ამით ადამიანებს ასწავლა თუ როგორ უნდა ემსახურონ ისინი ერთმანეთს, როგორ დაეხმარონ ერთმანეთს.

ღვთისშემეცნების განსხვავებული ფაზები და დონეები არსებობს, რაც განაპირობებს რელიგიების ისტორიულ მრავალფეროვნებას. მაგრამ მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, შეიძლება თავისუფლად ვილაპარაკოთ რელიგიების ერთიანობაზე, რაც აიხსნება ზნეობრივი მოთხოვნების ადამიანური ბუნების ერთიანობით. ამითვე აიხსნება ზნეობრივი მოთხოვნების მსგავსება და იგივეობა სხვადასხვა რელიგიებში. ბუდისტურ რელიგიაში ზნეობრივი კანონების ავტორად ბუდა მიაჩნდათ. ისლამის რელიგია მის შემოქმედათ ალაჰს აცხადებს. იუდაური რელიგიის მიხედვით ზნეობრივი პრინციპები და მცნებები ღმერთის კარნახით მოსემ მოუტანა ხალხს. ქრისტიანული რელიგია იზიარებს მოსეს მცნებებს, თუმცა ავსებს მას ცნობილი მთის ქადაგებით და ამ მცნებებს ზოგადსაკაცობრიო ხასიათს აძლევს. თუ დავიწყებთ ძებნას ძირითადი იდეებისას, ბიბლიაში უპირველესად თვალში სწორედ ზნეობრივი პრინციპები და დარიგებები მოგვხვდება. ამიტომ ამბობს მოციქული პავლე: “მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში“ (პავლე II. 3-10).

ქრისტიანული ზნეობის ზოგადი დახასიათებაც კი ნათლად აჩვენებს მის მჭიდრო კავშირს რელიგიასთან საერთოდ. იგი ადამიანის ცხოვრების მიზნად ადამიანის ღმერთთან შეერთებას აცხადებს, რომელიც ქრისტიანული სიყვარულის გზით მიიღწევა. სიყვარული ქრისტიანული ზნეობის უმაღლესი პრინციპია.



როგორც პავლე მოციქული ამბობს, სიყვარული რჯულის აღსრულებაა. “კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდეთ... წინასწარმეტყველების მაღლი რომ მქონდეს, ვიცოდეთ ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა, რომ მთების დაძვრა შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს არარა ვარ. ჯერჯერობით კი ეს სამია: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია (1 კორინ. 13,1-13). ღვთისაკენ მიმავალ გზაზე ქრისტიანობა წმინდა წერილის შეფასებას თვლის უმთავრესად. ჰველი აღთქმა ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრების მრავალ პრინციპს გვთავაზობს, რომელთაგან უმთავრესია დეკალოგი ანუ ათი მცნება. ამ ათი მცნებიდან პირველი ოთხი ღმერთის სიყვარულს ეხება, ხოლო ექვსი კი ადამიანის სიყვარულს. ახალ აღთქმაში ჭეშმარიტი ცხოვრება, როგორც ღვთაებრივი სიყვარულის გამოვლენა მთელი სისრულითაა გადმოცემული. აქ ადამიანის ნამდვილი ცხოვრების მაგალითს ჩვენ ქრისტეს საქმეებში ვხედავთ, რომელიც ყველა ადამიანისათვის არის მისაღები. ქრისტეს იგავებში ნათლად ჩანს ადამიანის კარგი თუ ცუდი ქცევის ნიმუშები. უაღრესად საყურადღებოა ქრისტიანული სიყვარულის განსაკუთრებულობა. აქ ჩვენ მარტო მოყვასის სიყვარულს კი არ ვხვდებით, როგორც ამას ძველი აღთქმა გვასწავლის, არამედ მტრის სიყვარულსაც. იგი გვასწავლის, რომ მდევნელთ და შეურაცხყოფლებს სამაგიერო არ გადაუხადოთ: გიყვარდეთ მტერნი თქვენი და აკურთხევდით მწყევართა თქუენტა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენტა“, (მათე, 5, 44), ვინაიდან სიყვარული არ გაიყოფა. ნამდვილი სიყვარული მიტევებისა და მონანიების პრინციპით არსებობს, ქრისტიანული ზნეობა გმობს სიმდიდრით გატაცებას, თუმცა ეს არ ნიშნავს სიზარმაცისა და უქნარობისაკენ მოწოდებას. ქრისტიანული ზნეობრივი დარიგებანი არის არა

ბრძანებები, არამედ ისინი მხოლოდ მოწოდებებია სრულყოფილი ცხოვრებისაკენ. ამგვარი სრულყოფილი ცხოვრების მაგალითს თვითონ მაცხოვარი გვიჩვენებს. ათ მცნებასთან ერთად ქრისტიანულ ზნეობაში განსაკუთრებული ადგილი ცხრა ნეტარებას უჭირავს, რომელიც ადამიანს ასწავლის ქრისტიანულ მორჩილებას, სიმართლისათვის სწრაფვას, მოწყალების უნარს, გულით სიწმინდეს, სიმშვიდეს, გაჭირვების დროს მოთმინებას და ა.შ.

ქრისტიანული რელიგია უდიდეს ღირებულებას ანიჭებს ამქვეყნიურ ცხოვრებას და მას უდიდეს სიკეთედ თვლის, მაგრამ რადგან ამქვეყნიური ცხოვრება დროებითი და წარმავალია, ამიტომ უდიდესი სიბრძნეა ადამიანი მოთმინებით შეხვდეს სიკვდილს. ადამიანის რწმენა სწორედ იმით იზომება, რამდენად ეგუება იგი სიკვდილს, არ ეუფლება შიში და ძრწოლვა მის წინაშე.

რელიგიისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხის გარკვევისას ბუნებრივად დაისმება კითხვა: თუ სინამდვილეს საფუძვლად უდევს ყოვლადსრული და ყოვლად კეთილი არსება, მაშინ როგორ ავხსნათ ცხოვრებაში ბოროტების არსებობა. ეს საჭირობოროტო კითხვა ჯერ კიდევ ადრე დაისვა იობის წიგნში. ბიბლია ადამიანს განიხილავს, როგორც შემოქმედების გვირგვინს, თუმცა იგი არ იძლევა ისტორიის იდეალიზაციას. იგი, რა თქმა უნდა, უარყოფს ადამიანის გაიგივებას ცხოველთან, მაგრამ ასევე უარყოფს ადამიანის გაღმერთებას. ადამიანის დაცლებამ ღმერთისაგან გამოიწვია პირველყოფილი ჰარმონიის დარღვევა, რამაც მიგვიყვანა ბოროტმოქმედებამდე, რომელიც დღემდე ტანჯავს კაცობრიობას.

ისტორიაში არის თეორია, რომელიც მთელ პროცესს განიხილავს როგორც განუწყვეტელ პროგრესს უმდაბლესიდან

უმადლესისაკენ. ეს თეორია ეყრდნობა მეცნიერებას და მის მონაცემებს. ქრისტიანობაც პირდება ადამიანს მომავალს ღვთიური სამეფოს სახით, რომელიც ბოროტებაზე საბოლოო გამარჯვებით სრულდება.

**რელიგია და ხელოვნება.** საზოგადოებრივი პროგრესის დახასიათებისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ მოვლენას, როგორცაა ხელოვნება. რა კავშირია რელიგიასა და ხელოვნებას შორის, რა როლს ასრულებს რელიგია ხელოვნების განვითარებაში, რა სპეციფიკური ნიშნით ხასიათდებიან ისინი? ამ კითხვებზე პასუხს რელიგიათმცოდნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ღვთისმეტყველება ადამიანის ესთეტიკურ გრძნობას უშუალოდ უკავშირებს რელიგიას. ძნელი არ არის დავინახოთ, რომ მშვენიერების განცდა ყველაზე მეტად შეუძლია მას, ვინც დაჯილდოებულია ღვთიური მადლით, რომელიც რწმენაში იხატება, რამდენადაც მშვენიერება ზებუნებრივის, ღვთიურის გამოვლენაა. ესთეტიკური ნიჭი და უნარი მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს, ვისშიც ყველაზე მეტია ღმერთის რწმენა.

უძველესი დროიდან ხელოვნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიასთან. ხელოვნების ძირითადი სიუჟეტები, რელიგიური მითოლოგიიდან იყო აღებული. სკულპტურა, ფრესკები, ხატები ხომ რელიგიური კულტის აუცილებელი ელემენტები იყო. რელიგია თავისი იდეებით ხელს უწყობდა ხელოვნების განვითარებას. ხელოვნების ძალა მის ემოციონალურ-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში ვლინდება. ხელოვნება ხელს უწყობს რწმენის განმტკიცებას და განვითარებას. ხელოვნებისა და რელიგიის კავშირი მათ გენეზისშიც ვლინდება. XIX საუკუნეში მოპოვებული მასალების შედეგად ნათელი გახდა, რომ პირველყოფილი ადამიანის მხატვრული ფანტაზია მჭიდროდ იყო



დაკავშირებული რელიგიასთან, კერძოდ კი მაგიასთან. ესპანეთში და გერმანიაში გამოქვაბულების მხატვრობაში აშკარად ჩანს ეს შინაარსი. ფერწერული გამოსახულებანი ყოველთვის იყო დაკავშირებული კულტთან ძველი დროიდან ჩვენამდე. ხელოვნება, ისევე როგორც რელიგია, ყოველთვის იყო ადამიანის გზა ღვთიური საიდუმლოს ასახსნელად. რელიგია საუკუნეების მანძილზე აძლევდა ხელოვნებას მიმართულებას. ასე მიეცა გზა ფერწერის განვითარებას შუა საუკუნეებში ხატების ხატვის საშუალებით, ხუროთმოძღვრებას-საეკლესიო მშენებლობის სახით, მუსიკას-რელიგიური ქორალის სახით, ლიტერატურას-მოწამეთა ცხოვრების აღწერის სახით. ხელოვნების ყველა ამ სახეში იქმნებოდა რეალურ ცხოვრებასთან თავისებური დამოკიდებულება, წინ იწევდა მისტიკური ელემენტი. რელიგია საფუძველს უყრიდა ნამდვილ ხელოვნებას. უფრო გვიან ბიბლიური სიუჟეტები ხელოვნების უშრეტი წყარო გახდა. ხელოვნება წარმოდგენელია ადამიანური ფანტაზიის შემოქმედებითი გაშლის გარეშე, მხატვრული და რელიგიური ფანტაზია უშუალო კავშირში არიან ერთმანეთთან. ხელოვნებასა და რელიგიას მჭიდროდ აკავშირებთ, აგრეთვე, ღრმა ემოციონალური პროცესები-გრძნობები და განცდები, რომლის გარეშე წარმოდგენელია როგორც ხელოვნება, ისე რელიგია. რელიგიური განცდები, რომელსაც მორწმუნე ატარებს ლოცვისა და სხვა წესის შესრულებისას, ერთგვარი კათარზისის როლს ასრულებს. იგი უარყოფითი განცდების მოხსნის საშუალებაა. ისტორიულად ხელოვნება და რელიგია არა მარტო ურთიერთშემოქმედებდნენ, არამედ ერთმანეთს ავსებდნენ კიდევც. ამის მაგალითია რელიგიური ხელოვნება, რომელშიც მხატვრული საშუალებებით არის გამოხატული რელიგიური იდეები; რელიგიურ ხელოვნებაში შედის აგრეთვე საკულტო, საეკლესიო

ხელოვნება, რომელიც თავის მხრივ თავყვანისცემის ობიექტია. ე.ი. რელიგიურ ხელოვნებაში არის როგორც ესთეტიკური ასევე საკულტო ფუნქცია. რელიგიის ისტორიაში დიდი ხნის მანძილზე იყო მწვავე დავის საგანი საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა რელიგიური, წმიდა საგნების მხატვრული გამოსახვა. იუდაიზმმა და ისლამმა ღმერთის დახატვა თავიდანვე მკაცრად დაგმეს, რამაც ფერწერის განვითარება ერთგვარად შეაფერხა და გზა გაუხსნა ორნამენტულ ხელოვნებას. ქრისტიანობაშიც უკვე VIII საუკუნიდან ატყდა კამათი ამ საკითხზე, რაც ხატმებრძოლობის სახით გამოიხატა. მაგრამ ამ დავაში გამარჯვებული გამოვიდა ის ძალები, რომლებიც უშვებდნენ ღმერთისა და წმიდანების დახატვას, ხატების კულტს და ა.შ. შედეგად ქრისტიანულ სამყაროში ფერწერის განვითარებას ვხვდებით. ამგვარად, რელიგიისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირი ექვსს არ იწვევს.

**რელიგია და კულტურა.** საზოგადოების ხანგრძლივი ისტორია დამაჯერებლად ასაბუთებს რელიგიისა და კულტურის განუყოფელ კავშირს, როგორც ისტორიაში, ასევე დღეს. კაცობრიობის სულიერი კულტურის მომავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული რწმენასთან, ადამიანის ნამდვილ თავისუფლებასთან.

რა მიმართებაა რელიგიასა და კულტურას შორის, როგორია მათი ისტორიული გზები და მომავლის პერსპექტივები?

მეცნიერება რელიგიას განიხილავს როგორც ისეთ მოვლენას, რომელსაც აქვს თავისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. იგი ადამიანში ღვთიურის გამოვლენაა, მაგრამ ამასთან, მჭიდროდაა დაკავშირებული სინამდვილის, შეუცნობელი ძალების წინაშე ადამიანის დამოკიდებულებასთან, სინამდვილის შესახებ ადამიანის წარმოდგენებთან. არსებობის მთელი ისტორიის



მანძილზე რელიგია იყო იდეოლოგია, რომელიც გამოხატავდა თავის დამოკიდებულებებს საზოგადოებრივი ძალების მიმართ. მეცნიერების, მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, და ამგვარად, პროგრესის მიმართ.

კულტურა ეს არის კაცობრიობის შრომის შედეგად შექმნილი მატერიალური და სულიერ ღირებულებათა ერთობლიობა. რა თქმა უნდა, კულტურაში იგულისხმება აგრეთვე მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შექმნისა და მოხმარების პროცესიც. კულტურის არსება, რა თქმა უნდა, უკავშირდება მატერიალური დოვლათის წარმოების წესს. ამ აზრით ვლადიმერ კობახიძე ეპოქების სხვადასხვა კულტურაზე.

რა ადგილი უჭირავს კულტურაში რელიგიას? რელიგია არის კულტურის შინაარსი, რამდენადაც კულტურა უმაღლესი ნიჭის გამოვლენაა, რელიგია არის კულტურის მფარველი და შემნახველი. საუკეთესო კულტურული ღირებულებანი ისტორიაში რელიგიური ხასიათისაა. რწმენა ქმნის ყველა საუკეთესოს, მათ შორის კულტურულ ღირებულებებს. სულიერი კულტურის ისეთი გამოვლინებანი, როგორცაა: მეცნიერება, ხელოვნება, ზნეობა, პოლიტიკა, იდეოლოგია და ა.შ. ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის, დაუღალავი შრომისა და მოღვაწეობის შედეგია. მატერიალური კულტურის ძეგლები, მათ შორის ისეთებიც, რომელთაც რელიგიური დანიშნულება აქვთ, ადამიანის სულმა და ნიჭმა ააგო, რომელიც რწმენითაა შთაგონებული.

რელიგიას აქვს ხანგრძლივი ისტორია და ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის იგი დღესაც ასრულებს კომპენსაციურ ფუნქციას. რელიგიის წარმოშობა მკაცრმა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. მისი არსებობა დღესაც გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით აიხსნება.



რელიგია საუკუნეების მანძილზე გავლენას ახდენდა ადამიანთა კულტურაზე. იგი ხალხის უნარს, ენერჯიას, ნიჭს თავისებურ მიმართულებას აძლევდა. ასე განხორციელდა არსაკიძის ხუროთმოძღვრული გენია სვეტიცხოველში, ასე შემოინახა ქართველი ხალხის განუმეორებელი მუსიკალური სუნთქვა საეკლესიო საგალობლებმა, ასე გამოვლინდა ქართველი კაცის შემოქმედებითი ნიჭი ყინწვისას ანგელოზის სახით და ა.შ. რელიგიამ უამრავი ხალხური ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი ეკლესიის ჩარჩოებში მოაქცია, დახვეწა, გარეგანი სილამაზე, თეატრალიზებული სახე მისცა მათ. და დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ხალხის კულტურული განძი, ბევრი მსგავსი მაგალითების მოტანა შეიძლება ყველა ხალხის ისტორიიდან. ამდენად და ამ აზრით, რელიგია შეიძლება ჩაითვალოს სულიერი კულტურის აუცილებელ ელემენტად.

კაცობრიობის მთელი ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში რელიგია გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ქვის ხანიდან დღემდე იგი განუყრელად ცოცხლობს, როგორც კულტურის უმაღლესი გამოვლენა. ეგვიპტის ტაძრები, ბაბილონის ჰიმნები, ჰართენონა, სვეტიცხოველი, დანტე, დოსტოევსკი, ილია, პლატონი, ბახი და მრავალი სხვა-ყველაფერი ეს ეფუძნება რელიგიას, რომელიც მიწიერ ცხოვრებას უმაღლეს ღირებულებას ანიჭებს.

## რელიგიისადმი დამოკიდებულების ძირითადი პრინციპები

რელიგიისა და ეკლესიისადმი დამოკიდებულების საკითხი საუკუნეების მანძილზე იყო მწვავე პოლიტიკური დავის საგანი. წარმოშობის პირველი პერიოდებიდანვე ბურჟუაზია წინა პლანზე

სწევდა ამ პრობლემას და ხმამაღლა იქადაგა სინდისის თავისუფლების პრინციპი, რაც რწმენის თავისუფლებაში გამოიხატა. ეს პრინციპები, სხვადასხვა სახელმწიფოებმა, შესაბამისი პირობების მიხედვით, სათანადოდ დააარეგულირა. მრავალი ქვეყნის კონსტიტუციებში აღიარებული იქნა სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება, მოწესრიგებული იქნა სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის სამართლებრივი ურთიერთობანი.

რას ნიშნავს სინდისის თავისუფლება? სინდისის თავისუფლება არის ყოველი ადამიანის უფლება თვითონ განსაზღვროს ამა თუ იმ რელიგიისადმი დამოკიდებულება. ეს არის ადამიანის უფლება აღიაროს, ან არ აღიაროს, ესა თუ ის რელიგია, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი რელიგიური მრწამსი; ეს არის მშობლების უფლება აღზარდონ თავიანთი შვილები, საკუთარი შეხედულებების მიხედვით, აღზარდონ რელიგიურნი, ან არარელიგიურნი.

სინდისის თავისუფლების პრინციპი დაუშვებლად მიიჩნევა ადამიანის დევნას, ან რაიმე სახის იძულებას საკუთარი რწმენის გამო და, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი ადამიანთა სრულ თავისუფლებასა და თანასწორობას ქადაგებს. ამიტომ ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობა სრული გარანტი უნდა იყოს სინდისის თავისუფლების დაცვისათვის. მაგრამ ეს თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, რამდენადაც იგივე კანონმდებლობა უშვებს რწმენის თავისუფლების შეზღუდვას, როცა საქმე ეხება ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ხელყოფას, საზოგადოებრივ წესრიგს, ამა თუ იმ ერის კულტურისა და ეროვნული ცნობიერების უსაფრთხოებას.

სინდისის თავისუფლების პრინციპები უზრუნველყოფენ



ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე ცხოვრების ყველა სფეროში. იგი რელიგიური ნიშნის გამო არ ანაღვლებს უპირატესობას რომელიმე ადამიანს და კანონით სჯის რელიგიურ შუღლსა და სიძულვილს.

სინდისის თავისუფლების პრინციპების რეალური დადასტურებაა რელიგიური ორგანიზაციების გამოყოფა სახელმწიფოსაგან. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მთლიანად განზე დგას და არ ინტერესდება რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობით. პირიქით, იგი კანონის ფარგლებში იცავს რელიგიურ ორგანიზაციათა უფლებებს, ხელს უწყობს სხვადასხვა რწმენის ადამიანებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ნორმალური, კეთილი ურთიერთობების დამკვიდრებას, რელიგიური შემწყნარებლობის განვითარებას. რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფოსაგან გამოყოფა გამოიხატება იმაშიც, რომ რელიგიური ორგანიზაციები არ ერევიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში, პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობაში, ხოლო სახელმწიფოც, თავის მხრივ, არ ერევა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში. კანონი კულტის მსახურთ უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სინდისის თავისუფლების პრინციპი არ გამოხატავს კონკრეტულად ამა თუ იმ ქვეყანაში რომელიმე სარწმუნოების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ამის მაგალითი შეიძლება იყოს საქართველო, სადაც ტრადიციული რელიგია არის მართლმადიდებლური სარწმუნოება. ამ რელიგიამ საქართველოს ისტორიაში უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა, მან შეადუღაბა ქართული ეროვნული ცნობიერება და გადაამწყვეტი როლი ითამაშა ერის გადარჩენის საქმეში. ამ განსაკუთრებული როლის კონსტიტუციური აღიარება არ

ეწინააღმდეგება სინდისის თავისუფლების პრინციპებს.

სინდისის თავისუფლების პრინციპების დაცვა გულისხმობს რელიგიური ორგანიზაციების ადგილის განსაზღვრას ამა თუ იმ ქვეყნის განათლების სისტემაში. როგორც ცნობილია, ყველა დემოკრატიული ქვეყნის განათლების სისტემა საეროა, ამიტომ რელიგიური აღზრდა შეიძლება ხორციელდებოდეს არა საერო სკოლებში, არამედ ამისათვის სპეციალურად განსაზღვრულ შენობებში, რომლებიც რელიგიურ ორგანიზაციებს ეკუთვნით. კანონი, მართალია, პატივს სცემს მშობლების უფლებას უზრუნველყონ შვილების რელიგიური აღზრდა, მაგრამ ეს უაღრესად ფაქიზი პროცესი უნდა მიმდინარეობდეს სხვა რწმენის ადამიანთა მიმართ შემწყობარებლობისა და პატივისცემის სულისკვეთებით. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში რელიგიური დისციპლინების სწავლება (რელიგიათმცოდნეობა, რელიგიის ისტორია, რელიგია და კულტურა და ა.შ.) უნდა ატარებდეს ინფორმაციულ-შემეცნებით ხასიათს და უნდა გამოირიცხავდეს რელიგიური რიტუალების აღსრულებას.

კანონი რელიგიურ ორგანიზაციებს ანიჭებს იურიდიული პირის უფლებას. რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისუფლად ჩაატარონ რელიგიური რიტუალები ტაძრებში, სასაფლაოებზე, ბინებში, სამხედრო ნაწილებში, საპატიმროებში, სამკურნალო დაწესებულებებში. მათ შეუძლიათ გაავრცელონ რელიგიური ლიტერატურა და საკულტო საგნები. მათ უფლება აქვთ გასწიონ საქველმოქმედო საქმიანობა, დააარსონ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანოები, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო შეკრებებში.

კანონი აწესრიგებს რელიგიური ორგანიზაციების სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობას, არეგულირებს მათ საკუთრებას და ფინანსურ ურთიერთობებს და ა.შ.



სინდისის თავისუფლების პრინციპების დამკვიდრება ბევრი პრობლემის გადაწყვეტას უწყობს ხელს. იგი ყველა ადამიანის ნების გამომხატველია, დემოკრატიული, ჭეშმარიტი ცხოვრების წესის გამარჯვების პირობაა.

ასეთია, ზოგადად, რელიგიისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების ძირითადი პრინციპები, რომლებიც სხვადასხვა სისტემებში შესაბამისად კონსტიტუციურად არის დაკანონებული. ახლა შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებაშია თვითონ რელიგია სახელმწიფოს მიმართ, აღიარებს თუ არა მის უფლებებს, ან რა მოთხოვნებს უყენებს მას. აქ ჩვენ საუბარი ქრისტიანულ რელიგიაზე გვქმნება.

შუა საუკუნეებში ევროპაში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც საეკლესიო და სახელმწიფო ხელისუფლება, ორივე, რომის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა, საერო ხელისუფლება პაპის ვასალებად ითვლებოდა. პაპის ნებართვით ხდებოდა იმპერატორების კურთხევა, ხოლო საჭირო შემთხვევაში პაპს შეეძლო ტახტიდან გადაეგდო არასასურველი იმპერატორი. თავიანთი მიზნებისათვის პაპები შეიარაღებულ ძალასაც მიმართავდნენ, ისინი სრულუფლებიანი მონარქები იყვნენ, ხელისუფლებასა და ჯარზე საკუთარი იურისდიქცია გააჩნდათ. კათოლიკურ ეკლესიას ეს განუსაზღვრელი უფლებები თანდათან წაართვა რეფორმაციამ, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყო. მაგრამ შუასაუკუნეობრივი დოქტრინა, გარდა ვატიკანის სახელმწიფოსა, ზოგჯერ ხელშეკრულების სახით მაინც რჩება იმ სახელმწიფოებში, სადაც კათოლიკური თემი არსებობს. მაგრამ ძირითად კათოლიკურ ქვეყნებში მოქმედებს რეფორმაციის ცნობილი პრინციპი: “ვისია ხელისუფლება, მისია რელიგია”. ეს პრინციპი კი განსხვავებული სარწმუნოების მიმდევართა დევნასაც გულისხმობს, რისი მაგალითებიც





არაერთია. ამჟამად ძირითად კათოლიკურ ქვეყნებში საზოგადოებრივი ეკლესიურობის პრინციპი მოქმედებს, რომლის მიხედვითაც ოფიციალური ეკლესია უბირატესობით სარგებლობს, ხოლო სხვა რელიგიური თემების უფლებები შეზღუდულია. მაგრამ მრავალკონფესიურ სახელმწიფოებში, კერძოდ ამერიკაში, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, რაც გულისხმობს ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობას, რელიგიური თემების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. თუმცა არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ქვეყნის მოსახლეობის რელიგიურ სურათს და რამდენადაც აქ უმრავლესობა ქრისტიანია, ეს ვლინდება სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის აღსრულებაში (ბიბლიაზე დაფიცება, უქმე დღეების ქრისტიანული აღნიშვნა და ა.შ.). ზოგიერთ თანამედროვე ქვეყნებში-ინგლისი, შვეცია, დანია, საბერძნეთი სახელმწიფოებრივი ეკლესიები ფუნქციონირებენ, ზოგან ასეთი სტატუსი ერთზე მეტ რელიგიას აქვს, მაგალითად გერმანიაში კათოლიკური და ევანგელიკური, ფინეთში მართლმადიდებლური და ლუთერანული. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, იგი ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული სარწმუნოების სტატუსს ინარჩუნებს, ზოგან მას სახელმწიფო რელიგიის სტატუსი აქვს (საბერძნეთი, ფინეთი), ზოგან რელიგიურ უმცირესობას შეადგენს, ხოლო სხვაგან იგი გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მაგრამ მართლმადიდებლობა ყველა შემთხვევაში ეყრდნობა ქრისტეს მცნებებს, მოციქულთა მოძღვრებას და წმინდა კანონებს, რომლის შედეგადაც “ბჭენი ჯოჯოხეთისანი, ვერ ერეოდინან მას“ (მათ. 16, 18). მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, ღმერთმა სახელმწიფოს იმის უფლება მისცა, რომ მან ხალხი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სახელით კეთილ გზაზე ატაროს. წმ. წერილი ყოველ ადამიანს ავალებს სახელმწიფო

წესრიგის დაცვას: “ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება ღვთისაგან, ხოლო არსებილნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი. ამიტომ ხელმწიფების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღვთის დადგენილებას, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“ (რომ. 13, 1-2).

წმ. წერილის ამ მოთხოვნის შესრულების მაგალითს გვაძლევს თვითონ იესო. ამქვეყნად მოვლენის შემდეგ, იგი ამქვეყნიური წესებით ცხოვრობს, ემორჩილება ხელისუფლებას და არაერთხელ მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლების ღვთიურ წყაროზე. როცა მას ეკითხებიან უნდა მიეცეს თუ არა კეისარს ხარკი, იგი პირდაპირ პასუხობს: “მიეციოთ კეისარსა კეისარს და ღვთისა-ღმერთსა!“ (მთ. 22, 21). ამასვე ასწავლიდნენ მოციქულები.

მართლმადიდებლური მოძღვრება უალრესად ფაქიზად უდგება ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებას. ეკლესია იესო ქრისტეს მიერ იქნა დაფუძნებული. სახელმწიფო ღმერთის მიერ დადგენილი ისტორიული პროცესია. ეკლესია იბრძვის ადამიანის მარადიული გადარჩენისათვის, სახელმწიფო კი ადამიანთა ამქვეყნიური, მიწიერი კეთილდღეობისთვისაა მოწოდებული. თავიანთი მიზნების მისაღწევად ეკლესიასა და სახელმწიფოს სხვადასხვა საშუალებანი გააჩნიათ. სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს იძულებითი მეთოდები, მაშინ, როცა ეკლესია ილწვის ადამიანთა სულიერი, ზნეობრივი გადარჩენისათვის და მთლიანად გამორიცხავს ფიზიკურ ძალადობას. ამის მაგალითს იძლევა მართლმადიდებლობის მთელი ისტორია, როცა არ ყოფილა რაიმე შემთხვევა მას რომ ძალდატანებისათვის მიემართოს. მოციქულთა მეექვსე და 81-ე კანონი, VII მსოფლიო კრების მეათე კანონი ერთმანეთისაგან ყოფს საეკლესიო და სახელმწიფო საქმეებს. იგი

სამღვდელოებას უკრძალავს სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას და ასწავლის, რომ ეკლესია საერო საქმეებში არ არის, მაგრამ მისი წევრები უნდა დაემორჩილოს, როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო კანონებს.

ისტორიულად, როგორც კარგადაა ცნობილი, ქრისტიანობა სასტიკად იდევნებოდა, მაგრამ თავის დასაცავად ეკლესიას პოლიტიკური საშუალებებისათვის არასოდეს მიუმართავს. იგი დიდსულოვნად იტანდა დევნა-შევიწროებას და ხელისუფლების მიმართ მუდამ ლოიალურ დამოკიდებულებაში იყო. ამა თუ იმ სახელმწიფოში ეკლესიის სტატუსი სახელმწიფოზეა დამოკიდებული, მას შეუძლია ეკლესიას მიანიჭოს სრული თავისუფლება, ან შეზღუდოს მისი უფლებები, თუმცა ეკლესიის მხრიდან ლოიალური პოზიცია უცვლელი რჩება და მის არსენალში დევს მხოლოდ სულიერი იარაღი, რომლითაც წინ მიუძღვება ადამიანს ჭეშმარიტებისაკენ.

ქრისტიანობის არსებობის მთელი ისტორია აჩვენებს, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ყველაზე იდეალური ფორმა მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძველზეა შესაძლებელი. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი პრინციპები ყველაზე ნათლად ბიზანტიის სახელმწიფო და სჯულის კანონებში იქნა დაფიქსირებული. ამ პრინციპების არსს ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობა წარმოადგენს. ეპისკოპოსი ემორჩილება სახელმწიფო ხელისუფლებას იმიტომ, რომ მისი ქვეშევრდომია, ხოლო სახელმწიფოს წარმომადგენელი იმიტომ ემორჩილება ეპისკოპოსს, რომ იგი ეკლესიის წევრია და მისგან ხსნას ელის. სახელმწიფო ეკლესიისაგან სულიერ დახმარებასა და ლოცვა-კურთხევას მოელის, ხოლო ეკლესიაც, თავის მხრივ, სახელმწიფო

დახმარებას საჭიროებს, რათა ეკლესიაც, თავის მხრივ, სახელმწიფო დახმარებას საჭიროებს, რათა უწყვეტად უწინამძღვროს თავიანთ სულიერ შვილებს.

მართლმადიდებლობა მღვდლობასა და მეფობას უდიდეს სკეთედ თვლის, რადგან მღვდლობა საღმრთო საქმეს ემსახურება, ხოლო მეფობა კი კაცობრივ საქმეს ხელმძღვანელობს. ორივე ისინი ადამიანური ცხოვრების აუცილებელი ელემენტებია და მათი ნორმალური ურთიერთობა კაცობრიობას მხოლოდ სარგებლობასა და სიკეთეს მოუტანს. სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების კლასიკური ფორმულა გადმოცემულია IX საუკუნის ბიზანტიურ კანონთა კრებულში “ეპანაგოგა“. მასში კერძოდ ნათქვამია: “საერო ხელისუფლება და მღვდლობა ერთმანეთს ისევე ეკუთვნიან, როგორც ხორცი და სული, და სახელმწიფოს მოწყობისათვის ზუსტად ისევე აუცილებელნი არიან, როგორც ხორცი და სული ცოცხალი ადამიანისათვის. მათი კავშირი და თანხმობა სახელმწიფოს კეთილდღეობას განაპირობებს“. ჩვენ ამავე აზრს ვხვდებით VII მსოფლიო კრების აქტებშიც, სადაც ვკითხულობთ: “მღვდელი საიმპერატორო ხელისუფლების მაკურთხეველი და განმაბტკიცებელია, ხოლო საიმპერატორო ხელისუფალი-სამართლიანი კანონების მეშვეობით ქვეყნის მმართველი“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1999 წ. გვ. 147).

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა საუკუნეების მანძილზე იყო უდიდესი ინტერესის საგანი. ამიტომ ამ პრობლემის დღევანდელი გადაწყვეტა აუცილებლად მოითხოვს იმ მდიდარი მასალის შესწავლასა და გათვალისწინებას, რომელიც ჩვენამდე დაგროვდა.

## სარეკომენდაციო ლიტერატურა



ტ. ახელისი, რელიგიის შედარებითი შესწავლის ნარკვევები. 1906, რუს.

ბერდიაევი ნ., ახალი რელიგიური ცნობიერება და საზოგადოება, 1907, რუს.

ნ. ბოგოლიუბოვი, რელიგიის ფილოსოფია, 1918, რუს.

ტ. ბუტკევიჩი, რელიგია, მისი არსება და წარმოშობა, 1902, რუს.

კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რელიგიის შესახებ, 1988

ვ. ვუნდტი, ადამიანთა ფსიქოლოგიის ელემენტები, 1913, რუს.

ს. გლაგოლევი, რელიგიის ისტორიის ნარკვევები, 1902, რუს.

ვ. გედფინგი, რელიგიის ფილოსოფია, 1909, რუს.

ა. ალჩანინოვი, რელიგიის ისტორია, 1909, რუს.

ა. მენზისი, რელიგიის ისტორია, 1899, რუს.

მ. მიულერი, რელიგია, როგორც შედარებითი შესწავლის საგანი, 1987, რუს.

მ. მიულერი, შედარებითი თეოლოგია, რუს.

ე. პრაისი, რელიგიის ისტორია, 1904, რუს.

ო. ფლეიდერერი, რელიგიისა და რელიგიების შესახებ, 1909, რუს.

ს. ტოკარევი, რელიგია მსოფლიო ხალხთა ისტორიაში, 1964, რუს.

შანტეპი დე ლია სოსეი, რელიგიის ილუსტრირებული ისტორია, 1913, რუს.



- ი. კრიველავი, რელიგიის ისტორია, 1987, რუს.
- ე. აბრამოვა, ადამიანის გამოსახვა ხელოვნებაში, 1966, რუს.
- პ. ეფიმენკო, პირველყოფილი საზოგადოება, 1953, რუს.
- ლევ-ბრუილი, პირველყოფილი აზროვნება, 1930, რუს.
- ვ. მიხაილოვსკი, შამანობა, 1892, რუს.
- გ. ობერმეიერი, ისტორიამდელი ადამიანი, 1913, რუს.
- ვ. სოლოვიოვი, პირველყოფილი წარმართობა, თხზ.
- ტ. 6, რუს.
- ა. ტეილორი, პირველყოფილი კულტურა, 1939, რუს.
- ს. ტეილორი, რელიგიის პირველყოფილი ფორმები, 1963, რუს.
- ფრეზერი, ოქროს ტოტი, 1928, რუს.
- ხაიტუნი, ტოტემიზმი, მისი არსი და წარმოშობა, 1957, რუს.
- ლ. შრედერი, რელიგიის არსება და საწყისები, 1903, რუს.
- შტეინბერგი, პირველყოფილი რელიგია ეთნოგრაფიის შუქზე, 1936, რუს.
- პეროდოტე, ისტორია, 1888, რუს.
- რ. კიპერი, ძველი აღმოსავლეთი და ეგეოსის კულტურა, 1916, რუს.
- ალტმანი, ბერძნული მითოლოგია, 1937, რუს.
- ალათაური მითები, 1953.
- ზელინსკი, ძველი ბერძნული რელიგია, 1918, რუს.
- ჰომეროსი, ილიადა, ოდისეა...



სტრუვე, ძველი საბერძნეთი, 1956, რუს.

ვ. სტრუვე, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, 1940, რუს.

ზ. კოსიდოვსკი, როცა მზე იყო ღმერთი, 1968, რუს.  
ძველი აღმოსავლეთის ისტორია, 1984

ა. მორე, ეგვიპტის მეფეები და ღმერთები, 1914, რუს.

გილგამეში, ბაბილონის ეპოსი, 1919, რუს.

ნ. ნიკოლსკი, ძველი ბაბილონი, 1913, რუს.

ნ. ფლიშნერი, შუამდინარეთის კულტურა და ხელოვნება, 1958, რუს.

ვედები, კრებული "არმაღანი"

ა: ბარტი, ინდოეთის რელიგიები, 1858, რუს.

ბეტანი, დუგლასი, აღმოსავლეთის დიდი რელიგიები, 1893, რუს.

ბ. ლუნია, ინდური კულტურის ისტორია, 1960, რუს.

რადჰა კრიშნანი, ინდური ფილოსოფია, 1956, რუს.

კოჩეტოვი, ბუდიზმი, 1983

ა. ბელენკი, იუდაიზმი, 1974, რუს.

მასე, ისლამი, 1981, რუს.

ახმედოვი, ისლამის სოციალური დოქტრინა, 1981, რუს.

ფრ. ფუნკი, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, 1911, რუს.

ს. ტრუბეცკოი, მოძღვრება ლოგოსის შესახებ, 1906, რუს.

ბუტკევიჩი, იესო ქრისტეს ცხოვრება, 1887, რუს.

ე. რენანი, ქრისტეს ცხოვრება, 1989



ა. რობერტსონი, ქრისტიანობის წარმოშობა, 1965, რუს.

ვ. ბოლოტოვი, ორიგენის მოძღვრება სამყაროს შესახებ, 1879, რუს.

ბ. შეგლოვი, აპოლოგეტი ტერტულიანე, 1888, რუს.

პლ. იოსელიანი, ქართული ეკლესიის ისტორია, 1840, რუს.

ბ. საბინინი, ქართული ეკლესიის ისტორია, 1877, რუს.

ჯავახოვი, მოციქულ ანდრიასა და წმ. ნინოს მქადაგებლური მოღვაწეობა.

ა. ხანანოვი, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის წყაროები, 1889, რუს.

ბ. მარი, საქართველოს ისტორია, 1906

ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I

მ. თამარაშვილი, ქართველი კათოლიკენი, თბ. 1997.

პ. ჯაფარიძე, ქართული ეკლესიის ისტორია, თბ. 1988.

აგეევი, ქრისტიანობა და მისი დამოკიდებულება მიწიერი ცხოვრებისადმი, 1909.

პ. გუსევი, ქრისტიანობა, ზნეობის საფუძველი, 1894

პ. ჯონსონი, ქრისტიანები და კომუნისზმი, 1917 წ.

ვ. წიქვაძე, ისლამი, თბ. 1997

ბ. პაპუაშვილი, რელიგიის ისტორია, თბ. 1997

ე. ნადირაძე, რელიგიის ისტორია, თბ. 1997

ბ. ბერდიაევი, თავისუფლების ფილოსოფია, 1911, რუს.

ა. ვედენსკი, ღმერთის რწმენა, მისი წარმოშობა და





არსება, 1891, რუს.

ჭეველი, რელიგიის ფილოსოფია, 1975, რუს.

ვ. ჯემსი, რელიგიური ცოდნის მრავალსახეობა, 1910

ი. კანტი, რელიგია მხოლოდ რწმენის საზღვრებში, 1983

რ. შტაინერი, მისტიკა, 1917.

ტეიარ დე შარდენი, ადამიანის ფენომენი, 1915

ს. ფრანკი, რელიგია და მეცნიერება, 1953

ა. ბერგსონი, მეტაფიზიკის შესავალი, 1912

ე. გაბიძაშვილი, დიდი სჯულის კანონი, თბ. 1986

ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, თბ.

1989

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტულენი, სიტყვანი, ქადაგებანი, ტ. I-II, თბ. 1997

დჰამაპადა

ბიბლია

ყურანი

ჟურნალი "ჯვარი ვაზისა"

ჟურნალი "რელიგია"

ჟურნალი "მეცნიერება და რელიგია", რუს.

ჟურნალი "საქართველოს ეკლესიის კალენდარი".

50  
n181/402

F 89.812  
3  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების